პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80
ექსპედიციის 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის 13—80.

დღიური

- საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი ლოკარნოს ხელშეკრულების დამტკიცების გარშემო.
- პარიზიდან ბელგრადში უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, დაბრუნდა სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი ნინჩიჩი.
- ინგლისის მთავრობა იხილავს საკითხს ეგვიპტეში შექმნილ მდგომარეობის შესახებ.
- სპარსეთი, დასავლეთ ჩინეთი, ოსმალეთი, ავღანისტანი და მონღოლეთი მონაწილეობას ღებულობენ ნიჟეგოროდის ბაზრობაზე.
- ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებში მოვიდა დიდი სეტყვა და ნიაღვარი.

შაბათი, 5 ივნისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 126 (1581)

ცაკის მესამე სესია

1926 წლ. ივნისის 11-ს სოხუმში გაიხსნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი მესამე სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
2. აფხაზეთის ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
3. ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
5. შრომა-გასწორების კოდექსი.
6. სამაზრო აღმასკომების დებულება.
7. სახალხო სასამართლოები.
8. საბჭოთა არჩევნები.
9. სესიიდან სესიამდე ს. ს. ცაკ—ის პრეზიდიუმის მიერ მიღებული კანონთა დამტკიცება.
10. მიმდინარე საკითხები.

ცაკის წევრთა საყურადღებოდ

10 ივნისს, საღამოს გადის გემი ქ. ბათომიდან სოხუმში. ცაკის წევრები აუცილებლად უნდა იყვნენ ბათუმში ამ დროისათვის.

ქ. თბილისიდან ქ: ბათომში მატარებელი გადის ივნისის 9.

ნ. 1333 4—4. ს. ს. ცაკ—ის მდივანი ს. თოდრია.

პლენუმის შედეგები

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმმა მოგვცა გარკვეული პასუხი მთავარ საკითხებზე, რომელნიც წამოჭრილი არიან პარტიისა და ხელისუფლების წინაშე.

პლენუმმა პირველ ყოვლისა მოიწონა ცაკას პრეზიდიუმის მოღვაწეობა, მიმართული ქვეყნის მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის აღორძინებისაკენ. ამ მიზნით პერსპექტიულ და სამუშაო გეგმის გამომუშავება, შესაძლებელ საშუალებათა გაღება, მტკიცე რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტების შექმნა, მიზანშეწონილი ხელმძღვანელობა სათანადო ორგანოებზე, ადგილების გაძლიერება მუშაკებით,—აქეთკენ იყო მიმართული ცაკას პრეზიდიუმის ყურადღება და საქმიანობა.

რამდენადაც სოციალისტური აღმშენებლობა სულ უფრო რთულდება და პრაქტიკულ ნიადაგზეა დამდგარი, იმდენად შემდეგისათვის აუცილებელი ხდება სისტემატიურ პარტხელმძღვანელობის მეტი გაძლიერება ეკონომიურ ორგანოებზე, რათა მათ გადაუხრელად გაატარონ პარტიის ხაზი თავის ყოველდღიურ მუშაობაში და რათა ეს მუშაობა მიმდინარეობდეს შეთანხმებულად, ქვეყნის მეურნეობის ყველა ელემენტებისათვის სათანადო ანგარიშის გაწევის, მათ შორის საჭირო პროპორციის დაცვის და მთლიანი რესპუბლიკანური გეგმის განხორციელების ნიადაგზე.

ეს ხელმძღვანელობა უნდა გამოიხატოს როგორც დირექტივების მიცემაში, ისე უმაღლეს პარტორგანოების გადაწყვეტილებათა სწორად გატარების სისტემატიურ კანტროლში, ვინაიდან გადაწყვეტილებები არა იშვიათად მახინჯდება სინამდვილეში. შესრულების მუდმივი და ფხიზელი კანტროლი ერთ-ერთი მთავარი ამოცანათაგანია პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ახლანდელი სინამდვილის უმთავრეს ლოზუნგის—მომჭირნეობის რეჟიმის—სწორად და მტკიცედ გატარებას. ყოველგვარი უნაყოფო ხარჯების მოსპობა, ულმობელი ბრძოლა ხელგაშლილობასთან, უგეგმო მუშაობასთან, სამეურნეო და სამმართველო აპარატის რაციონალიზაცია. აქედან ამ გზით მიღებულ საშუალებათა მოხმარება გადუდებელ აღმშენებლობისათვის, სოციალისტური დაგროვება, — აი, საითკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ენერგია. ამ ლოზუნგს არა აქვს ხანმოკლე კამპანიის ხასიათი. ის უნდა ტარდებოდეს სისტემატიურად და საფუძვლად უნდა ედოს მთელ ჩვენ აღმშენებლობითი მუშაობას. ამასთან, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასსების და მათი ორგანიზაციების აქტიურ ჩაბმას ამ საქმეში. უამისოდ დასახულ მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

პლენუმი შეჩერდა ყველა ამ ამოცანებზე. გარდა ამისა, მან მკაფიო დირექტივები მოგვცა მრავალ სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის და გლეხობის საკითხებს.

პლენუმმა ხაზი გაუსვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელის გაფართოების აუცილებლობას, გლეხურ მეურნეობათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მოქცევას მასში. სხვათა შორის დიდი ყურადღების ღირსია გლეხობის სხვადასხვა საწარმოო გაერთიანებათა ორგანიზაცია, რომელთა საშუალებით უფრო მოსახერხებელია გლეხობის მეურნეობის აღორძინება, მისი წარმართვა კოლექტიური გზით და კოლექტივისტური სულის გაღვიძება გლეხობაში. ამ მხრივ არსებული ფაქტიური მდგომარეობა საფუძვლიანად არ არის შესწავლილი და ცენტრიდან ასეთ გაერთიანებებს საჭირო ხელმძღვანელობა არ ეწეოდა. ამას კი ზოგან მოჰყვა სხვადასხვა კოლექტიურ ამხანაგობათა მახინჯ ფორმებში ჩამოყალიბება და მათი აცდენა სწორი გზიდან. ამიერიდან ჩვენი მშენებლობის ამ მხარეს უნდა მიექცეს გაცილებით მეტი ყურადღება, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

სოფლის იმ საკითხებს შორის, რომლებზედაც პლენუმმა იქონია მსჯელობა, აღსანიშნავია აგრედვე მომავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია. მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონში მთელი რიგი არსებითი ცვლილებებია შეტანილი, რომელთა მიზანია ღარიბ გლეხობის ინტერესების მეტი უზრუნველყოფა, საშემოსავლო გადასახადზე გადასვლა. პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ ახალი გადასახადის შინაარსი ფართოდ გააცნონ გლეხობას და მიიღონ ყოველი ზომა გადასახადის სრულიად და უმტკივნეულოდ აკრეფისათვის.

პლენუმმა, გარდა ამისა, ყურადღება მიაქცია ერთ მეტად საჭირ-ბოროტო საკითხს, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი აგრარული რეფორმის ბედისათვის. ვლაპარაკობთ მიწის ყიდვა-გაყიდვის ფაქტებზე, რომლებმაც მასიური ხასიათი მიიღო სოფლად. ეს ემუქრება ჩატარებულ აგრარულ რეფორმას და აძლიერებს კულაკურ ელემენტებს. საჭიროა ამ მოვლენას უსასტიკესი ბრძოლა გამოეცხადოს. ამ მხრივ უნდა იქნას გამომუშავებული დაწვრილებითი ღონისძიებანი.

პლენუმი, გარდა ამისა, შეჩერდა ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის და მისთვის ნივთიერ დახმარების გაძლიერების აუცილებლობაზე, უმაღლეს პარტორგანოთა მიერ მიღებულ დადგენილებათა მიხედვით. სოფლად გრძელდება მოსახლეობის ფენებად დაყოფა. კულაკობა ცდილობს ღარიბ გლეხთა ეკონომიურ და პოლიტიკურ დამორჩილებას. სათანადო ეკონომიური და ორგანიზაციული ღონისძიებებით ჩვენ უნდა წელში გავმართოთ ღარიბი გლეხობა და საშუალო გლეხობასთან მისი დაკავშირებით შევქმნათ მთლიანი ფრონტი კულაკობის წინააღმდეგ.

პლენუმმა ცალკე განიხილა სახალხო განათლების საკითხი ჩვენში. ამ დარგში მიღწევები თვალსაჩინოა. შეუდარებლად გაიზარდა მოწაფეთა და მასწავლებელთა რიცხვი. მოსახლეობა სტიქიურ ლტოლვას იჩენს სკოლისადმი. მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია შემდეგისათვის. უსახსრობისა და მომზადებულ პედაგოგების სიმცირის გამო სკოლის გარეშე კიდევ დარჩენილია ბავშვების დიდი პროცენტი. ჩვენ უნდა შევეცადოთ მახლობელ დროისათვის შემოვიღოთ საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლება.

გარდა ამისა, ჩვენი სასკოლო სისტემა ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენი სკოლები, რომელთაც დღემდე ვერ შესძლეს ცალმხრივი ჰუმანიტარული განათლების სისტემისათვის თავის დაღწევა, მეტ წილად უშვებენ ცხოვრებისათვის სრულიად გამოუსადეგ ახალგაზრდობას, რომელიც უმუშევრობის წყაროს წარმოადგენს. ჩვენი ქვეყანა დღეს უდიდეს აღმშენებლობაშია ჩაბმული და მას ესაჭიროება კვალიფიკაციის მატარებელი მუშაკები. ასეთები უნდა მოგვცეს ჩვენმა სკოლამ. ყოველ მიზეზს გარეშე ჩვენ სკოლებს უნდა მიეცეს სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიალურ-ტეხნიკური და პროფესიული ხასიათი. ამ მხრივ პლენუმმა კიდეც გამოიმუშავა ვრცელი პრაქტიკული რეზოლიუცია, რომელსაც ჩვენ ხვალ გამოვაქვეყნებთ.

პლენუმის მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმო წმინდა პარტიულ საკითხებს. აქ პირველ რიგში დგას პარტიის ზრდის და მისი შემადგენლობის მოწესრიგება. მშრომელთა ყველა წრეებში, მათი საზოგადოებრივი აქტივობის ზრდასთან ერთად, შემჩნეულია მასიური ლტოლვა ჩვენი პარტიის რიგებისაკენ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ პარტიის ზრდა ხდება უმთავრესად გლეხობის და მოსამსახურეთა ხარჯზე. ამდენად სუსტდება მისი პროლეტარული ნაწილი, რომელიც პარტიის ხერხემალს შეადგენს. აუცილებელია უშუალოდ დაზგასთან მდგარ მოწინავე მუშების მოზიდვა პარტიაში, მოსამსახურეთა მიღების შეზღუდვა და საჭირო სიფრთხილის გამოჩენა პარტიაში შემავალ გლეხობისადმი. პარტიის რიგებში უნდა ჩაებათ მოჯამაგირე და ღარიბი გლეხები, ამასთან საშუალო გლეხობის მოწინავე ელემენტები, ყველა მათი წინასწარი ინდივიდუალური შემოწმების შემდეგ. პარტიის შემადგენლობაში უნდა იყოს დაცული ისეთი პროპორცია, როცა პროლეტარულ კადრის ხელმძღვანელობა სავსებით იქნება უზრუნველყოფილი.

ამასთან, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის ხელმძღვანელობას კომკავშირზე. კომკავშირი ბოლო ხანებში ძალიან გაიზარდა რიცხვობრივად. ეს გვავალებს პარტხელმძღვანელობის გაძლიერებას მასზე და მის თვისობრივ გაუმჯობესებას. უნდა გადიდებულ იქნეს ჯერ კიდევ მეტად მცირე პარტიული კადრი კომკავშირში; სტაჟშესრულებული კომკავშირელები უნდა იქნან პარტიაში გადარიცხული.

ბოლოს, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს შინაპარტიულ დემოკრატიის მტკიცედ გატარებას პარტიულ მასაში, ამავე დროს პარტიის მთლიანობის დაცვას და ყოველგვარ გადახრის და კინკლაობის აღმოფხვრას მის რიგებში. ეს ძირითადი პირობაა, რომ პარტიამ შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოს აღმშენებლობას და მშრომელთ, რომელთა აქტივობა და შეგნება იზრდება.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ამის ნიმუში ჩვენ გვაქვს აფხაზეთში. იქ მტკიცედ არ ტარდებოდა პარტიის ხაზი ნაციონალურ საკითხში და ადგილი ჰქონდა სხვადასხვა დაჯგუფებას და კინკლაობას. პლენუმმა ამ მახინჯ მოვლენათა აღმოსაფხვრელად მიიღო მთელი რიგი გადაჭრილი ღონისძიებები. ნაციონალიზაცია გატარდება გადაუხრელად. აფხაზეთში მოსახლე ყველა ერების უფლებები და ინტერესები უზრუნველყოფილი იქნება სავსებით. აფხაზეთის მაგალითი ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს. ჩვენ ფხიზელი თვალყური უნდა ვადევნოთ, რათა პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ხაზი არ იქნეს თუ გინდ ოდნავ გაღუნული.

როგორც, ვხედავთ, პლენუმის მუშაობა მრავალფეროვანი იყო. მან გადასჭრა ჩვენი სინამდვილის ბევრი სადღეისო და საჭირ-ბოროტო საკითხი. მათ შესახებ ჩვენ უკვე გვაქვს სათანადო გადაწყვეტილებანი. ჩვენი პოლიტიკის და მშენებლობის გზა ერთხელ კიდევ იქნა გაშუქებული დღევანდელ პირობებთან დაკავშირებით. პლენუმის დადგენილებათა მტკიცედ და საერთო ძალღონით გატარება,—აი, საითკენ მოუწოდებთ ჩვენ ადგილობრივ ორგანიზაციებს.

◆

საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის რეზოლიუციები

ცეკას პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ანგარიში მისი მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობიდან დღემდე, ცეკას პლენუმი სავსებით იწონებს ცეკას პრეზიდიუმის მუშაობას საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობის დადგენილებათა და პარტიის ყრილობების და თათბირების რეზოლიუციათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

პლენუმი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ცეკას პრეზიდიუმმა სავსებით დროულად და სისწორით გადასჭრა საკითხი სახელმწიფო და ადგილობრივი მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, რაც, კერძოთ, გამოიხატა რეალურ საპერსპექტივო გეგმის შედგენაში და სათანადო თანხების გაღებაში რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტების ხაზით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ცეკას ღონისძიებები მტკიცე სახელმწიფო ადგილობრივ და სათემო ბიუჯეტების შესადგენათ. ამ ღონისძიებებში აღმშენებლობის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რის შედეგათ ჩვენ გვაქვს რეალური საფუძველი ადგილობრივი ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.

ამ ამოცანების განხორციელებას დიდათ ხელს უწყობდა სამეურნეო, საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ მუშაობის ხელმძღვანელობაში გეგმიანობის შეტანა და აგრეთვე მთელი რიგი ხელმძღვანელ მუშაკების გაგზავნა მაზრებში და ოლქებში.

გამოდის რა საკავშირო კომპარტიის ცეკას აპრილის პლენუმის და ამიერკავკასიის გაფართოებულ პარტიულ თათბირის გადაწყვეტილებებიდან, საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმი აუცილებლად სთვლის მისცეს ცეკას პრეზიდიუმს მომავალი მუშაობისათვის შემდეგი მითითება:

აიღოს კურსი იმ მიმართულებით, რომ სისტემატიურად და ყოველდღიურად შეამოწმოს, მოჰყავთ თუ არა სისრულეში ცენტრალურ საბჭოთა და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ხელმძღვანელ პარტორგანოების გადაწყვეტილებანი და მითითებანი. ამასთან დაკავშირებით დაევალოს ცეკას პრეზიდიუმს აწარმოოს სასტიკი ბრძოლა ხელმძღვანელ მუშაკების ყოველივე სახის უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ მუშაობის სხვადასხვა დარგში.

საკავშირო კომპარტიის ცეკას აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება მოითხოვს მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის სფეროში წარმოებულ მუშაობის მტკიცე ხელმძღვანელობას, ყველა ღონისძიებების გეგმიან დასაწყისისათვის შეფარდებას და რეალურ რესურსებისათვის ანგარიშის გაწევას.

სახელმწიფო და ადგილობრივ მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის განვითარება შეფარდებულ უნდა იქნეს ბანკის კრედიტის რაციონალურ პოლიტიკასთან და სასოფლო მეურნეობის კოოპერაციაში გაერთიანების ამოცანებთან.

აღნიშნავს რა კომუნების, არტელების, სასოფლო - სამეურნეო კოლექტივების ზრდას და ცენტრის მხრივ მათდამი არასაკმაო ხელმძღვანელობას, ცეკას პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს დააჩქაროს მათი შესწავლა და მიიღოს მთელი რიგი კონკრეტულ ზომებისა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მეორეს მხრივ, აღნიშნავს რა მომავალ სასოფლო - სამეურნეო გადასახადის წარმატებით აკრეფის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ცეკას პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს აწარმოონ სისტემატიური მუშაობა სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალი დებულების გლეხობისათვის დაწვრილებით გასაცნობათ, სასოფლო - სამეურნეო გადასახადის 100 პროცენტით აკრეფის კოლოსალური მნიშვნელობის განსამარტავათ და გლეხობის ფართე მასების ჩასაბმელად დაბეგვრის ობიექტების სიის შედგენის საქმეში.

მიმდინარე პერიოდის ამოცანები მტკიცეთ მოითხოვენ, რათა ყველა ღონისძიებები, როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო - მეურნეობის სფეროში სასტიკათ შეთანხმებულ იქნეს ეკონომიის რეჟიმთან და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანასთან.

გლეხობის ფენებად დაყოფის და მის წიაღიდან სხვადასხვა კლასობრივ ჯგუფების გამოყოფის პროცესები გადაჭრით მოითხოვენ პრაქტიკულ ღონისძიებების მიღებას, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანოების მხრივ, ღარიბი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების საკითხები მოითხოვენ ქვეყნის რაიონებათ დაყოფას მიზანშეწონილად, რისთვისაც პლენუმს აუცილებლათ მიაჩნია ამ საკითხის სასწრაფოდ გადაჭრა ეკონომიურ, ნაციონალურ და ყოფა-ცხოვრების პირობების მიხედვით.

ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს უფრო სისტემატიური ხელმძღვანელობა გაუწიოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწათ - მოქმედების სახ. კომისარიატის, ფინანსთა სახ. კომისარიატის, შინავაჭრობის სახ. კომისარიატის და სხვ. ცენტრალურ სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანოების მუშაობას.

აღნიშნავს რა ცეკას ღონისძიებებს ცეკავშირის, წარმოკავშირის და პირველი საფეხურის კოოპერატიული ქსელის გაჯანსაღებისათვის, პლენუმი ცეკას პრეზიდიუმს ავალებს ხელმძღვანელობა გაუწიოს მომავალშიაც კოოპერატიულ ორგანიზაციებს კოოპერატიულ გაერთიანებათა საბჭოს საშუალებით.

მოსახლეობის ფართე მასების კულტურულ მოთხოვნილებათა მნიშვნელოვანი ზრდა მოითხოვს ცეკასაგან მტკიცე პარტხელმძღვანელობას ხელოვნების სფეროში. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს რა ცეკას მნიშვნელოვან მუშაობას პარტიული ხაზის გასატარებლათ ლიტერატურის სფეროში კერძოთ, საქართველოს მწერალთა და შემდეგ პროლეტარულ მწერალთა ყრილობების ჩატარების დროს, პლენუმი ავალებს ცეკას მომავალშიაც სისტემატიურად გაატაროს პარტიის სამხატვრო პოლიტიკა და მიიღოს საჭირო ზომები პროლეტარული გავლენის გასაღრმავებლათ.

ყველა აღნიშნულ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მასების მთლიანობის და მჭიდრო კავშირის პირობებში, რისთვისაც პლენუმი ავალებს ცეკას მომავალშიაც ამხილოს ყოველგვარი გადახრა საერთო პარტიულ ხაზიდან და შინა-პარტიული დემოკრატიის პრინციპებიდან, მიიღოს შემდეგი ღონისძიებები პარტხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად და მთელი პარტიული მუშაობის გასაცხოველებლად.

დაევალოს ცეკას პრეზიდიუმს შეისწავლოს და დაამუშაოს საკითხი სოფლის უპარტიო აქტივის შესახებ.

აღნიშნავს რა, რომ პარტორგანიზაციები ვერ უწევენ საკმაო ხელმძღვანელობას კომკავშირს, ბავშვთა მოძრაობას და ქალთა შორის მუშაობას, პლენუმი ავალებს სამაზრო და საოლქო კომიტეტებს, მიაქციონ სერიოზული ყურადღება ყოველდღიურ მუშაობის პროცესში პარტმუშაობის ამ დარგებს. აღნიშნავს რა პროვინციის მუშაკებით გაძლიერების და ცოცხალი ხელმძღვანელობის გაფართოების ფაქტს, პლენუმი ავალებს ცეკას განაგრძოს ეს მუშაობა.

ცეკას პრეზიდიუმმა სასწრაფოდ უნდა შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები სათემო ერთეულების გამაგრების საკითხში.

მიწის ყიდვა - გაყიდვის შემთხვევების გახშირების გამო დაევალოს ცეკას პრეზიდიუმს სასწრაფოდ დაამუშაოს ეს საკითხი და მიიღოს სათანადო ზომები.

საქართველოს კომპარტიის ზრდისა და შემადგენლობის მოწესრიგების შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო საფუძვლის განმტკიცებამ საქართველოში, რაც მთელი ქვეყნის ეკონომიურ ზრდაში გამოიხატა, და განსაკუთრებით ნათლად სოფელში სჩანს, კულტურული დონის ასაწევად მიღებულმა ზომებმა, ანტისაბჭოთა ძალების დაშლამ, საბჭოთა დემოკრატიის საფუძვლების გაფართოებამ მნიშვნელოვანი გარდატეხა გამოიწვიეს საქართველოს ყველა მშრომელთა წრეების სულიერ განწყობილებაში. აქედან წარმოსდგება მუშებისა და გლეხების მისწრაფება პარტიისაკენ.

რადგან საქართველოში ჩვენი პარტია გარემოცულია წვრილი ბურჟუაზიით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მტკიცე პროლეტარული კადრის შექმნას, რომელიც საუკეთესო თავდებს წარმოადგენს პარტიის მთლიანობისთვის ლენინიზმის საფუძველზე.

ამ მომენტში ჩვენი პარტიის შემადგენლობა ხასიათდება შემდეგნაირად:

1) უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში პარტია მეტად გაიზარდა (5000 კაცი).

2) ზრდა უმთავრესათ გლეხური აქტივის ხარჯზე ხდებოდა, ეს აიხსნება პარტიის ახალი კურსით სოფლის მიმართ; აქედან გამომდინარეობს ნაწილობრივი გაუარესება პარტიის სოციალური შემადგენლობისა, რაიც პროლეტარული ნაწილის პროცენტულ შემცირებაში გამოიხატა.

3) პარტიაში დიდია სახელ. მოსამსახურეების პროცენტი (20,3%).

4) საკმაოდ არ ხდება პარტიის რეზერვების შედგენა კომკავშირის წევრების და სოფლად მყოფ მოჯამაგირეებიდან.

5) პარტიული კადრის სიმცირე (5,6%) კომკავშირში.

6) მუშა და გლეხ ქალების რიცხვის ნაკლებობა პარტიაში (5,8%).

7) მნიშვნელოვანი ნაწილი მუშების საუკეთესო ელემენტებისა ყოფილ მენშევიკებიდან უკვე პარტიაშია შეყვანილი.

საქართ. კომპარტიის ზრდის ზემოაღნიშნული მომენტების მიხედვით, ცენტ. კომიტეტის პლენუმი წინადადებას იძლევა ორგანიზაციის მომავალი ზრდის დროს შემდეგი დებულებებით იხელმძღვანელოს.

1. უწინარეს ყოვლისა კურსი მიმართული უნდა იყოს პროლეტარული კადრის გადიდებისკენ, ამისთვის **პარტიაში უნდა შეყვანილ იქნან მუშების მოწინავე წრეები, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში არიან ჩაბმულნი.**

ეს ზრდა უნდა მოხდეს იმ უპარტიო აქტივის ხარჯზე, რომელიც პარტიის უჯრედების გარშემოა დაჯგუფებული და მასსიურ პროლეტარულ ორგანიზაციების სკოლა აქვს გავლილი, მაგალითად: პროფკავშირებისა, საბჭოებისა, მოხალისეთა ორგანიზაციებისა და სხ.

2. სასტიკად უნდა მოწესრიგდეს გლეხური მასსების მოწოლა პარტიაზე, უნდა ხდებოდეს მათი ზედმიწევნითი დაცხრილვა პარტიაში მიღების დროს. მაგრამ ეს არ ნიშნავს პარტიის კარების დაკეტვას გლეხკაცობის საუკეთესო მოწინავე ნაწილისთვის. „განსაზღვრული პროცენტის მიღება გლეხკაცობის საუკეთესო წარმომადგენლებიდან პარტიის შემადგენლობაში პარტიისათვის აუცილებელ დასაყრდნობს წარმოადგენს სოფლად“ (სტალინი). ამიტომ გლეხების მიღების დროს პარტიაში აუცილებლად სასტიკი პერსონალური შერჩევა უნდა ხდებოდეს. ჩვენი პარტიის გლეხური ნაწილის ზრდა უმთავრესად უნდა ხდებოდეს სოფლის კომკავშირის შემადგენლობის მოწინავე ელემენტების ხარჯზე, პირველ რიგში მოჯამაგირეებისა და ღატაკების, აგრეთვე იმ საშუალო შეძლების გლეხკაცობის საუკეთესო ნაწილის და უპარტიო გლეხური აქტივის საუკეთესო ნაწილის ხარჯზე, რომელიც სოფლად სხვადასხვა საზოგადოებრივ და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაშია ჩაბმული.

3. რადგან მეტად ძლიერია წვრილბურჟუაზიული ელემენტების მისწრაფება პარტიისკენ, განსაკუთრებით სახელმწ. მოსამსახურეების წრეებში, ამ ელემენტების მიღების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს XIII პარტყრილობის გადაწყვეტილებას ამ საგანზე. აუცილებლად საჭიროა, რომ პარტიაში შესვლის მსურველი მოსამსახურე ყოველმხრივ გამოიცადოს, რა რეალური სარგებლობის მოტანა შეუძლია მას პარტიისა და პროლეტარული დიქტატურის ორგანოებისათვის და რამდენად მომწიფებულია ის პოლიტიკურად.

4. სოფლის მასწავლებლების პარტიაში მიღების დროს, აუცილებლად უფრო მეტი შერჩევაა საჭირო. ორგანიზაციებმა სოფლის მასწავლებლების მიღების დროს უნდა იხელმძღვანელონ იმ მოთხოვნილებით, რომელიც ნაგულისხმევია XIII პარტყრილობის რეზოლიუციებში მოსამსახურეების მიღების შესახებ.

5. საუკეთესო მოწინავე ელემენტები ყოფილ მენშევიკ-მუშებიდან უკვე მიღებული არიან ჩვენს პარტიაში. მაგრამ მაინც პარტიის ზღუდეების გარეთ რჩებიან მნიშვნელოვანი წრეები ყოფილ მენშევიკებისა.

ამიტომ საქართველოში არსებულ განსაკუთრებულ პირობების მიხედვით, საჭიროა, რომ შემდეგში ორგანიზაციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს მოწინავე რევოლიუციონური ნაწილი ყოფილ მენშევიკ მუშების, რომლებმაც საბოლოოდ ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს თავის მენშევიკურ წარსულთან. ყოფილ მენშევიკების მიღება პარტიაში მხოლოდ უჯრედების საშუალებით უნდა ხდებოდეს.

6. ჩვენი პარტიის ძირითად რეზერვს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირი წარმოადგენს, რომლის წევრების პარტიაში მიღებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. პარტიული ნაწილი და პარტიის გავლენა ა. ლ. კომკავშირის ორგანიზაციებზე, რომელთაც თითქმის 60.000-დე წევრი ჰყავს, მეტად უმნიშვნელოა. ამიტომ ჩვენი ამოცანაა პარტიულ კადრის ყოველმხრივ გაძლიერება საქართველოს ა. ლ. კომკავშირის ორგანიზაციაში, განსაკუთრებით მის გლეხურ ნაწილში. პარტიის რიგებში პირველ ყოვლისა მიღებული უნდა იქნენ მუშაკები ქვედა საფეხურის კომკავშირული აქტივის შემადგენლობიდან, რომელშიაც პარტიულების პროცენტი ძალიან მცირეა.

პლენუმი ადასტურებს სამდივნოს გადაწყვეტილებას ა. ლ. კომკავშირი პარტიული კადრის გაუმჯობესების შესახებ, რის გამო პარტორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ აუცილებლად პარტიაში უნდა იქნენ მიღებული ა. ლ. კომკავშირის ჰასაკ გადაცილებული და აგრეთვე სხვა ჰასაკში მყოფი წევრები, მუშური და გლეხური ახალგაზრდობის იმ ნაწილიდან, რომელსაც დამსახურება მიუძღვის აქტიურ კომკავშირულ და საზოგადოებრივ მუშაობაში.

7. პარტიაში ქალთა არასაკმაოდ ჩაბმა პარტორგანიზაციების წინაშე აყენებს ამოცანას, რომ უფრო ინტენსიურად ხდებოდეს ქალების შემოკრება პარტიის გარშემო მუშა და გლეხ ქალებისაგან, რომელთაც განვლილი აქვთ სადელეგატო კრებების სკოლა და რომელნიც ჩაბმული არიან საბჭოებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში.

8. მიუხედავათ იმისა, რომ საგრძნობია მიღწევები კანდიდატების პარტიის წევრად გადარიცხვის საქმეში, მაინც საგრძნობი ნაწილი მუშებისა, რომელთაც კანდიდატობის სტაჟი განვლილი აქვთ, დღემდე არ არის პარტიაში გადაყვანილი. პარტორგანიზაციებმა, განსაკუთრებით ქალაქის ორგანიზაციებმა, სადაც მუშა ახალგაზრდობა არსებობს, აუცილებლად ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ კანდიდატი მუშები თავის დროზე მიღებული იქნენ პარტიის წევრებად. ამასთან ერთად სისტემატიურად უნდა ხდებოდეს კანდიდატთა შემადგენლობის შემოწმება, რათა განდევნილ იქნენ პარტიისათვის უვარგისი ელემენტები. არ არის აგრეთვე განაწილებული უფლება-მოვალეობა პარტიის წევრებს და კანდიდატებს შორის, უჯრედებში პარტიის კანდიდატები პარტიის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებენ კენჭის ყრაში ამა თუ იმ საკითხის გადაჭრის დროს.

პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს მოახერხონ უფლება-მოვალეობის სისწორით განსაზღვრა ნამდვილ წევრებსა და კანდიდატებს შორის, განმარტონ ორგანიზაციებში (უჯრედებში) მათ შორის არსებული განსხვავება, შესძლონ იმის მიღწევა, რომ საკანდიდატო სტაჟის გავლა იქცეს ისეთ სკოლად, სადაც შემოწმებული იქნება კანდიდატის ვარგისიანობა პარტიისათვის, როგორც რევოლიუციონური ბოლშევიკური გამობრძმედილის, ისე პარტიის წევრისათვის საჭირო პოლიტიკური მომზადების მხრივ.

9. საერთოდ, ჩვენი პარტიის ჰასაკობრივი შემადგენლობა დამაკმაყოფილებელია. მიუხედავათ ამისა, ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგების დროს საჭირო ყურადღება მიექცეს პარტიაში მისაღებთა ჰასაკობრივ შემადგენლობას; პარტიაში არ უნდა იქნენ მიღებული ისეთი პირები, რომელთაც თავისი ჰასაკის მიხედვით არ შეუძლიათ საქმით დახმარება აღმოუჩინონ პარტიას მის რევოლიუციონურ მუშაობაში.

10. პლენუმი ავალებს ყველა ორგანიზაციებს მოახდინონ პარტიის წევრთა სოციალური მდგომარეობის შემოწმება, რათა უფრო სწორი სოციალური შეფარდება დამყარდეს ჩვენი პარტიის ცალკე კატეგორიებს შორის. კომპარტიის წევრების სოციალური მდგომარეობის გამორკვევის დროს, ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკანტროლო კომისიის მითითებებით, რომელნიც ამ საკითხს შეეხება.

11. საჭიროა ბოლო მოეღოს საქმის გაჭიანურებას პარტიაში მუშების მიღების დროს; საოლქო და სამაზრო კომიტეტებმა სასწრაფოდ უნდა განიხილონ უჯრედების მიერ წარმოდგენილი ახლად მიღებულ კანდიდატების დამტკიცების საკითხი.

მთელს მუშაობაში, რომელიც სწარმოებს პარტორგანიზაციების ზრდის მოსაწესრიგებლად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორგანიზაციის თვისობრივ შემადგენლობის გაუმჯობესებას, რიცხვობრივ გადიდების ხარჯზე.

12. აღძრულ იქნეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წინაშე საკითხი იმ ძველი წესის დატოვების შესახებ, რომლის თანახმად საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამტკიცებს არაპროლეტარულ ელემენტების პარტიაში მიღებას.

მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ

1. მოისმინა რა მოხსენება ცეკას, ცენტრ. საკანტრ. კომისიის და მუშ. და გლეხ. ინსპექციის პრეზიდიუმების ღონისძიებათა შესახებ მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად, საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმი იწონებს ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. პლენუმი ავალებს ცეკას და ცენტ. საკანტროლო კომისიის პრეზიდიუმებს, ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებს, რომ გაატარონ ბოლომდე ეს ღონისძიებანი სრული სიმტკიცით, საკავშირო კომპარტიის ცეკას ცირკულიარის სასტიკად დაცვით და აგრეთვე, იმ დირექტივების შესრულებით, რომლებიც შემუშავებული იყო ამ ცირკულიარის მიხედვით და ამიერ-კავკასიის უმაღლეს პარტიულ ორგანოების მიერ.

2. მომჭირნეობის რეჟიმისთვის მებრძოლ კომისიის მუშაობამ როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ უკვე მოგვცა გარკვეული შედეგები.

აღნიშნავს რა დაწესებულებებში მოწყობილ კომისიათა მუშაობის წინასწარ მიღწევებს, პლენუმი ავალებს ცეკას და ცენტრ. საკანტროლო კომისიის პრეზიდიუმებს, რათა მიიღონ ზომები ასეთი კომისიების შესაქმნელად ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამაზრო ქალაქებში. ეს კომისიები დაუყოვნებლივ და მტკიცედ უნდა შეუდგენ იქ უნაყოფო ხარჯების შემცირებას.

3. მთელ სახალხო მეურნეობაში და მთლიანად მმართველობაში მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დამყარებისათვის აუცილებლად საჭიროა მუშათა მასების ჩაბმა ამ საქმეში. აქ თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშონ საწარმოო თათბირებმა და ეკონომკომისიებმა, ისევე როგორც ძირითადმა მასიურმა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა.

ეს როლი განსაკუთრებულის სიცხადითაა გამოთქმული ამხ. სტალინისა და კუიბიშევის მიმართვაში, სადაც საჭიროდ არის აღნიშნული შემდეგი ზომები: „მეურნეობის მუშაკების დაწვრილებითი საქმიანი მოხსენების მოწყობა მუშათა მასის წინაშე თავიანთ წარმოებებზე, საწარმოო თათბირებზე და სხ., უყაირათო მოვლენების მიზეზთა აღმოჩენის მიზნით და ზედნართი ხარჯების შესამცირებელ ზომათა განხილვა, უყაირათობისა და მფლანგველობისათვის სასტიკი პასუხისმგებლობის გაძლიერება, არასაწარმოო ხარჯების მოსპობა, მიღებულ ღონისძიებათა ნამდვილად განხორციელებისათვის თვალყურის დევნება და მუშათა კრებების და საწარმოო თათბირების ამ მიმართულებით საქმიან მითითებათა ცხოვრებაში გატარება“.

ზემოხსენებულ დირექტივების მიხედვით პარტიის ერთი გადაუდებელი ამოცანათაგანია საწარმოო თათბირების და ეკონომკომისიების მუშაობის გაცხოველება წარმოებებში. ამიტომ პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოებს მიიღონ ამ მიმართულებით ყოველგვარი ზომები სათანადო კამპანიების ჩატარებით.

4. ამასთან ერთად პლენუმი მოაგონებს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, რომ მიუხედავათ თავიდანვე ამ მუშაობის დამკვრელი ხასიათის დასახვისა, მომჭირნეობის რეჟიმის გატარება მომავალში სისტემატიურად უნდა მიმდინარეობდეს და ყველა საბჭოთა, პროფესიონალურ, პარტიულ, სავაჭრო, კოოპერატიულ, საკანტროლო და სხ. ორგანოების ყოველდღიურ, ხანგრძლივ მუშაობად უნდა გახდეს. მომჭირნეობის რეჟიმისათვის განუწყვეტელი ბრძოლა გადაჭრით უნდა იქმნას მიმართული ყველა ზედმეტი ზედნართი ხარჯების შესამცირებლად, ყოველგვარ უყაირათო და უპასუხისმგებლო მოქმედებათა აღმოსაფხვრელად.

კიდევ მაისის გაფიცვის გაკვეთილების შესახებ

(„პრავდას“ მოწინავე)

ინგლისის ტრედიუნიონების გენერალური საბჭოს კაპიტულაციის შემდეგ ევროპის ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატიული პრესა არაჩვეულებრივი აღტაცებით შეუდგენ მოსკოვის „მხილებას“.

„დეილი მეილის“ პუბლიცისტებიდან დაწყებული, „ფორვერტსის“ პუბლიცისტებით გათავებული შეთხზულია მრავალი ლეგენდა „მოსკოვის ხელმძღვანელობისა“ და „კომუნისტურ პიროტეხნიკის საიდუმლოებათა“ შესახებ.

ჩვენს წინააღმდეგ მომართულ ამ გაცოფებულ ღვარძლით აღსავსე გამოსვლების საფუძველია ორი გარემოება:

საერთაშორისო ბურჟუაზიას და მის აგენტებს — ყველა ჯურის სოციალისტებს არ სურთ შეურიგდენ სამაგალითოდ ჩატარებულ სოლიდარობის დემონსტრაციას და იმ დახმარებას, რომელსაც უწევდენ და უწევენ საბჭოთა მუშები თავის კლასობრივ ძმებს.

საერთაშორისო ბურჟუაზია და მის წინაშე ქვემძრომი „ბელადები“ მეტად უკმაყოფილონი არიან მეორეს მხრით იმით, რომ ჩვენი პრესა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ინგლისის ამბებს და ყოველთვის უნათებდა ინგლისის მუშებს ბრძოლის გზას რევოლიუციონური მარქსიზმის, ე. ი. ლენინიზმის ბრწყინვალე შუქით.

ზოგიერთებს „არ მოსწონდათ“ ჩვენ მიერ მოხდენილ მოვლენათა ანალიზი; ზოგიერთს „არასიმპატიურად“ ეჩვენებოდა ჩვენი აზრი ტომასებისა და ბევინების შესახებ; ვილაცას „შეუფერებლად“ მიაჩნდა, რომ ჩვენ ვააშკარავებთ გაფიცვის ცხად და ფარულ ჭახრაკებს; ვილაცას „თავმოყვარეობას ლახავდა“ ჩვენი ლაპარაკი გაბატონებულ კლასის ბანაკში როლების განაწილების შესახებ.

ბურჟუაზიულ და მენშევიკურ პრესას სურს ეხლა დიდი გაფიცვის ჩაშლის შემდეგ ჩირქი მოსცხოს ჩვენ მიერ საკითხის გაშუქებას. მენშევიკური ბაუერის ტიპის ლიტერატორები აღშფოთებულნი არიან ჩვენი „არადელიკატობისა“ „სრულიად უდანაშაულო“ ბელადების მიმართ. ისინი რამდენიმე გესლს ანთხევენ, ვითომდა, ჩვენ მიერ მოხდენილ არსებული მოძრაობის გაქანების გადაფასების გამო.

ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა შევჩერდეთ იმ „გამოთქმებზე“, რომლებსაც უკანა რიცხვით ხმარობენ ის ინგლისელებიც კი, რომლებიც გვარიან დიდის მანძილით არიან დაშორებული კომუნიზმისაგან. ჩვენ ვლაპარაკობთ ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრთა შესახებ. ის, რასაც ისინი ლაპარაკობენ ეხლა „ნიუ ლიდერის“ და „ფორვერტსის“ ფურცლებზე, ცოტაოდენ ნათელს ჰფენს იმას, რაც ხდებოდა საყოველთაო გაფიცვის „იმა მხარეს“, გვიჩვენებს აგრეთვე, თუ რაზომ ვმოქმედებდით ჩვენ „პიროტექნიკური“ ჯადოსნობით, როცა ჩვენ შეუბრალებლად ვააშკარავებდით ფაქტებს მათი ნამდვილი სახით.

ბრეისფორდის, ბუტროიტის და უიტლის წერილებში, „ნიუ ლიდერის“ მოწინავეში, წერილში—„დიდი გაფიცვის საიდუმლო ისტორია“ (ლენსბერის ყოველკვირეული ორგანო) გენერალურ საბჭოს უმაგალითო კაპიტულიაციის ფაქტი, ფაქტი „ბელადთა“ გამცემლობის როლისა აშკარად და ნათლად არის აღიარებული. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის პასუხისმგებელი პუბლიცისტები იძულებული არიან აღიარონ, რომ გენერალური საბჭო იმდენად არ ხელმძღვანელობდა მოძრაობას, რამდენადაც ხელს უშლიდა და ჰბორკავდა მას და რომ მან გასცა მოძრაობა ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში.

„გამოძახილი, რომელიც ბრძოლისათვის მოწოდებას მოჰყვა, საუცხოვო და აღმგზნებელი იყო. ჩემის აზრით, მან შეაშინა და გააოცა არა მარტო კაპიტალისტები და მთავრობა, არამედ თვით მუშათა ბელადებიც. პირველი ცნობები გაფიცვის შეწყვეტის შესახებ ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომ თუმცა მთავრობის რეპუტაცია გადარჩენილ იქნა, მაგრამ მუშათა მდგომარეობაც იქმნა გადარჩენილი. მაგრამ ძალიან ჩქარა ჩვენ იძულებული ვიყავით მივსულიყავით სრულიად დაუჯერებელ დასკვნამდე, რომ ის, რასაც ადგილი ჰქონდა, იყო საზიზღარი და სიტყვაშეუბრუნებელი კაპიტულიაცია. განცვიფრებაში მოდიხარ, როგორ ვერ შესძლეს ტრედ-იუნიონების ამ ლიდერებმა ის მაინც, რომ მათი წევრები უკანვე მიეღოთ სამუშაოზე. გენერალურმა საბჭომ ბოლდუინს იმაზე მეტი მისცა ვიდრე ბოლდუინი მოითხოვდა, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტი, რასაც იგი ელოდა. რამოდენიმე ხანი გავა, სანამ ჩვენ გავიგებთ სისწორით, თუ რა მიზეზები იყვნენ ამ საშინელი დანგრევისა, მაგრამ მე ეჭვი არ შემდის, რომ როცა ყოველივე ნათელი გახდება, ამ მიზეზთა პირველ რიგში მხდალობა იდგომება“.

აი, ბრეისფორდის ცნობა გაფიცვის წინ:

„საბჭოსა და მაღაროს მუშათა შორის შეხლა-შემოხლამ კილამ განხეთქილებამდე მიგვიყვანა კვირას (22 მაისს). იმისაგან, რაც მე გავიგონე ამ საღამოს, ისეთი შთაბეჭდილება შემექნა, რომ ჩვენ ვდგევართ ახალი განხეთქილებისა და ახალი „შავი პარასკევის“ წინაშე.

მაგრამ თუ საბჭო ჰფიქრობდა სამთამადნო მუშების მიტოვებას, მთავრობამ ამ შემთხვევაში იხსნა იგი თავისი-თავისაგან, შესწყვიტა რა მოლაპარაკება იმ საბაბით, რომ „დეილი მეილის“ მბეჭდავებმა მოწინავეზე ცენზურის დაწესებით კონსტიტუცია დაარღვიეს. საბჭოს წინაშე ფრიად რთული ამოცანა იდგა. იგი თითქმის ავტომატიურად გაჰყვა გაფიცვას. ყველაზე უფრო მას ეშინოდა იმის, რომ ეს გაფიცვა განვითარდება ისე, რომ „მას შეიძლება ეწოდოს რევოლიუციონური“.

ბატონი ბრეისფორდი აღიარებს, რომ ხელმძღვანელობა საცოდავი იყო და „აღნიშნავს“ რა „ლიდერების“ მორალურ გაკოტრებას, იგი სცდილობს კაპიტულიაციის ფაქტს გამოუნახოს გაკოტრებულთათვის „დასაბუთებანი“. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ არაფერი არ იყო მოფიქრებული. უბედურობის ფესვი, ბრეისფორდის აზრით, იმაშია, რომ არ იყო შესწავლილი „საკითხის მექანიკა და ფსიქოლოგია“, და „ამას შედეგათ ჩვენ სასტიკად დაივისაჯეთ საკითხის წინასწარ შეუსწავლელობის გამო“.

ფაქტიურად, გენერალური საბჭოს გეგმა თავიდანვე კომპრომისული იყო და ამ გეგმას, როგორც ბრეისფორდი გვიამბობს, „იმპროვიზაცია“ მოუხდინა . ბევინმა, რომელიც ამ „ბრძოლაში ყოველთვის გენერალი იყო ისე, როგორც ტომასი დიპლომატის ფუნქციას ასრულებდა“.

ცხადია, რომ სანატრელი არაა იმ არმიის ბედი, რომლის „გენერალია“ ბევინი და „დიპლომატი“ კი სოციალ-დემოკრატების მეფე ტომასი. სწორედ ის დიპლომატი, რომელიც ეხლაც იცავს რკინისგზის მაგნატებს რკინისგზის მუშათა „დაცემისაგან“. მძიმეა მდგომარეობა იმ გაფიცულ არმიისა, რომლის „გენერალი“ შეძრომის მისიას ასრულებს მოპირდაპირე კლასის სასარგებლოდ. მაგრამ აქედან გამომდინარეობს ყველაფერი, რაც გნებავთ, მხოლოდ არა ბრეისფორდის „ყველაფრის მიტევების“ დახავსებული ქადაგობა.

მთავრობის სტრაგედია ბრძოლის დროს, გენ. საბჭოს „სტრატეგია“ და მასების განწყობილება ნათლადაა წარმოდგენილი წერილში—„დიდი გაფიცვის საიდუმლო ისტორია“:

„მთავრობას არ სურდა ზავი. გენერალურ საბჭოს კი სწყუროდა იგი. გენერალურ საბჭოს ყველა სიტყვები სისუსტის მაჩვენებლად იქნენ მიღებული. ის, რაც არ იცოდა მთავრობამ, და რაც არ იცოდა გენერალურ საბჭომაც, იყო ის, რომ მთელ მხარეში მუშათა მასებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი მაღაროს მუშათათვის მხარის დაჭერა, თავიანთი სოლიდარობის ჩვენება რეაქციის წინააღმდეგ გამოსვლით“.

ეხლა, საყოველთაო გაფიცვის შემდეგ, ინგლისის მუშათა კლასის წრეებში საკმაო დიდის ინტერესით ხდება ღირებულებათა თავისებური გადაფასება. სულ უფრო და უფრო ეპარებათ ეჭვი ტრადიციულ „ტრედიუნიონურ“ ფეტიშში, სულ უფრო და უფრო მეტ უნდობლობას ჰქმნის მასებში კონსტიტუციური წესები და პირველ რიგში დგება „პოლიტიკის“ როლი, საკითხი ბელადთა ამორჩევისა და საკითხი ბრძოლის მეთოდებისა საზოგადოდ და საყოველთაო გაფიცვის მეთოდებისა კერძოდ.

ეს პროცესი, რომელიც მის შეგნებაში ხდება, ზედაფენებშიც ჰპოულობს გამოსახვას. საყოველთაო გაფიცვის მნიშვნელობისა და გამოყენების საკითხში სამმა თვალსაზრისმა იჩინა თავი.

მემარჯვენე ფრთის და ბელადთა თვალსაზრისი. ტომასები, მაკდონალდები და კომპანია ეხლა წინააღმდეგი არიან საყოველთაო გაფიცვისა, როგორც „ბრძოლის მეთოდისა“. ეს ვაჟბატონები ფიცს სდებენ კაპიტალისტების წინაშე, რომ იგი აღარ განმეორდება. „მომავალში თქვენ უკვე უფრო ნაკლებს გაიგონებთ ამ ჩვენი ერესის შესახებ“, სწერს მაკდონალდი იმ „ფორვერტსის“ ერთ-ერთ წერილში, რომელშიაც სხვა ავტორები ამხილებენ „ბელადთა“ კაპიტულიაციას.

სულ უფრო და უფრო იკარგება ცენტრის მერყევი ბელადების თვალსაზრისი, რომელთაგან ზოგს „მემარცხენედაც“ კი მოაქვს თავი. ეს ხალხი სცდილობს ისეთი სახე მიიღოს, რომ თითქოს არაფერი მომხდარა, რომ არავითარ კაპიტულიაციას არ ჰქონია ადგილი. ზოგი ამ „მემარცხენეთაგანი“ იქამდიც კი მივიდნენ, რომ განაცხადეს, თითქოს მაისის გაფიცვის შეწყვეტით გენერალურმა საბჭომ გამოაშკარავა არა თავისი სისუსტე, არა თავისი დამარცხება, არამედ თავისი ძალა. რასაკვირველია, ეს თვალსაზრისი, რომელიც ამბობს, რომ ყოველივე ისე იყო შესრულებული, როგორც საჭირო იყო, მხოლოდ ფიქციაა დაბნეული „ბელადებისათვის“ საკუთარ თავის ნანუგეშოდ. ამ ფიქციას სამუდამოთ დაჰმარხავს ინგლისის მუშათა მოძრაობის განვითარების ფაქტები მომავალში.

მესამე თვალსაზრისი არის ის, რომელიც საგნობრივ გაკვეთილს იღებს „ეკონომიკის“ და პოლიტიკის ანდა კავშირის შესახებ. გაკვეთილს, რომელიც მოგვცა ბრძოლის მსვლელობამ და კლასთა შეტაკების ფაქტებმა.

საყოველთაო გაფიცვა, რომლის განვითარების შინაგან კანონებზე ძალადობას ახდენენ ხელმძღვანელები, საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც „ბელადები“ ხელოვნურად ამწყვდევენ ცეხურ, სწორედ იმ დროს, როცა ბურჟუაზია და სწორედ იმ რდოს, როცა ბურჟუაზია და მთავრობა აწარმოებენ პოლიტიკურ შეტევას მუშათა კლასის წინააღმდეგ, საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ამ გარემოებაში არ იქცევა პოლიტიკურ ბრძოლად, აუცილებლად დამარცხებით გათავდება.

ასეთია მაისის გაფიცვის დიადი გაკვეთილი. ეს გაკვეთილი სულ უფრო და უფრო ღრმად შეიჭრა ბრიტანეთის მუშათა კლასის ფართო მასების შეგნებაში. ინგლისის მუშათა მოძრაობის ტალღის აღმოხეთქვა მომავალში სრულიად სხვაგვარ საფუძველზე მოხდება.

ტელეგრაფით მოსკოვიდან.

◆

სამთამადნო მუშები არავითარ დათმობაზე არ მიდიან

მთავრობამ გააგრძელა საგანგებო წესების ვადა

მაკდონალდ-ტომასები წინააღმდეგი არიან გაფიცვის

ინგლისის კომპარტიის ცეკას პლენუმი გაფიცვის შესახებ

როგორ გასცა ტომასმა გაფიცვა

ლონდონი, 3 ივნისი. სამხრეთ-უელსის მაღაროს მუშათა წარმომადგენელმა **იუზმა „მანჩესტერ გარდიენის“** თანამშრომელს გადასცა დამახასიათებელი წვრილმანები იმ საუბრის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჰერბერტ სმიტსა და ტომასს შორის საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის წინ.

როდესაც **მიუმ განაცხადა**—ამბობს **იუზი**,—რომ ის შეუთანხმდა ჰერბერტ **სამუელს**, ტომასმა დაუმატა:

— „მე შემიძლია დაგარწმუნოთ, სმიტ, რომ მაღაროს მეპატრონეები შესწყვეტენ ლოკაუტს და თქვენი მუშები დაუყოვნებლივ დაუბრუნდებიან სამუშაოს“.

— მიჩვენეთ მაღაროს მეპატრონეების წერილობითი ვალდებულება, — სთქვა სმიტმა.

— თქვენ გეუბნებით მე, ჯიმმი,—შენიშნა სმიტმა,—რომ თქვენი ხალხი სამთამადნო მუშების წყალობით დაჰკარგავს ყოველივე იმას, რაც მათ მოიპოვეს მრავალ წლის განმავლობაში. წყეული ვიყო, თუ მე განვაცხადო მსგავსი რამ. რას ვაკეთებთ ჩვენ, სამთამადნო მუშები, როცა გაფიცვა გამოვაცხადეთ? ჩვენ გვინდა მივიღოთ პასუხისმგებელ პირთა მიერ ხელმოწერილი ვალდებულება, რომელიც გარანტიას მოგვცემს, რომ ყველა ჩვენს მუშებს უკანასკნელ კაცამდე დააბრუნებენ სამუშაოზე და რეპრესიებს არ ექნება ადგილი. ასევე მოიქეცით თქვენც. გაქვს თუ არა გარანტია, რომ ყველა თქვენი მუშები დაუბრუნდება სამუშაოს. თუმცა ჩვენ არა გვაქვს განზრახვა გაფიცვა შევწყვიტოთ, მაგრამ ჩვენ მზადა ვართ მივეშველოთ თქვენ ხალხს, რომ ყველა ისინი მიღებულ იქნენ უკან.

ყოველივე ამაზე ტომასმა უპასუხა ჰებერტ სმიტს:

— „ნუ ერევით სხვის საქმეში, ჰერბერტ.

— ჩვენ თვითონ ვიცით თუ როგორ მოვიქცეთ სმიტ,—დაუმატა ბრომლეიმ.

— „იმის შესახებ, თუ ვინ იყო მართალი, თქვენ შეგიძლიათ იმსჯელოთ შედეგების მიხედვით,—დაამთავრა იუზმა თავისი საუბარი კორესპონდენტთან.

მაკდონალდის გულახდილობა

ლონდონი, 3 ივნისი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ყოველთვიურ ჟურნალში **„სოშელიტ რევიუ“**-ში გამოქვეყნებულია მაკდონალდის ვრცელი წერილი საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

მაკდონალდი აცხადებს, რომ პირადათ მისი აზრით, საყოველთაო გაფიცვა უნაყოფოა და დასძენს: „გაფიცვის გამოცხადების მიზანი იყო სამთამადნო მუშებისთვის დახმარების აღმოჩენა, მაგრამ მაინც სხვადასხვა პროფკავშირებს არ შეუწყვეტიათ მუშაობა მანამდე, სანამ არ დაინახეს, რომ თვითონვე საფრთხის წინაშე იდგენ“.

მაკდონალდი აცხადებს, რომ საყოველთაო გაფიცვა არ შეიძლება სამრეწველო ბრძოლის იარაღად იქნეს გამოყენებული. როგორც იარაღი, ის უვარგისია. ის უსარგებლოა, ვინაიდან მას არ აქვს ისეთი მიზანი, რომ მისი განხორციელება გამარჯვებად ჩაითვალოს. თუ ბრძოლა იმიტომ სწარმოებდა, რომ ის გაფიცვით დამთავრებულიყო, ეს არღვევს ტრედიუნიონიზმს. პასუხისმგებლობა იმათ ეკისრებათ, ვინც ქადაგებდა მოუფიქრებელ საყოველთაო გაფიცვას და ვინც ამ უგუნურებაში მუშები ჩაითრია. საყოველთაო გაფიცვა საუკეთესო მუქარაა, მაგრამ თუ ერთხელ მას სახელი გაუტყდა, ის აღარ შეიძლება გამოყენებულ იქნეს“.

კიდევ ერთი წინადადება

ლონდონი, 3 ივნისი. მაღაროს მეპატრონეებმა სამთამადნო მუშების წარმომადგენლები კერძო თათბირზე მიიწვიეს, მაგრამ სმიტი და რიჩარდსონი ბრიუსელში გაემგზავრენ სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე დასასწრებლად.

კუკიც აქ მიემგზავრება ხვალ.

პრესაში გავრცელდა ხმები, რომ მაღაროს მეპატრონეებს განზრახვა აქვთ მოითხოვონ შეთანხმება წინანდელი სამუშაო ხელფასის დაცვის ნიადაგზე—სამუშაო დროის 8 საათამდე გადიდებით.

კომპარტიის ცეკას პლენუმი

ლონდონი, 3 ივნისი. ინგლისის კომპარტიის ცეკას პლენუმმა დაამტკიცა მოხსენება, რომელიც შეიცავდა მოვლენათა ანალიზს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების მომენტიდან.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ **მუშების განწყობილება უაღრესად მტკიცე იყო, ხოლო ხელმძღვანელობა—ყოვლად სუსტი.**

მოხსენების გამო მიღებული რეზოლიუცია მოუწოდებს დახმარება აღმოეჩინოთ სამთამადნო მუშებს ქვანახშირის გაზიდვის აკრძალვით. შემდეგ რეზოლიუცია მოუწოდებს მუშათა მასებს შემდეგი ბრძოლისათვის, პროფკავშირებში და კოოპერატივებში სისტემატიურ კამპანიის საწარმოებლად მემარცხენე ფრთის გაძლიერებისა და მასაში კომპარტიის გავლენის განმტკიცების მიზნით.

გატარებული ანკეტა მოწმობს პარტიის წევრთა რიცხვის მნიშვნელოვან ზრდას საერთო გაფიცვის დროს. წინასწარი ცნობებით, კომპარტიაში ახლად შესულ წევრთა რიცხვი 1.500 კაცს შეადგენს. ფიქრობენ, რომ კომპარტიის ახალ წევრთა რიცხვი 2.000-დე უნდა იყოს; ამგვარად, პარტიის წევრთა საერთო რიცხვი 8.000-ს აღწევს.

ქვანახშირის შეზიდვა

ბერლინი, 3 ივნისი. ტრანსპორტელების საერთაშორისო ფედერაციის სოლიდარობის კამპანიის შეწყვეტის გამო, გერმანიისა და ჰოლანდიის ნავთსადგურებში შესამჩნევად გაძლიერდა ქვანახშირის გაგზავნა ინგლისში.

რურის ოლქში შემოღებულია ზედმეტი სამუშაო საათები ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის.

მუშათა პარტიებიდან მხოლოდ კომუნისტები აწარმოებენ მუშაობას სოლიდარობის კამპანიის გაგრძელებისათვის.

ჩერჩილის პასუხი

ლონდონი, 3 ივნისი. ჩერჩილს შეკითხვა მისცეს ახალ საკანონმდებლო ზომების შესახებ, რომელიც მიღებული უნდა იქნეს **საყოველთაო გაფიცვის თავიდან აცილების მიზნით.** ჩერჩილმა საპასუხოდ განაცხადა, რომ მთავრობა უსათუოდ განიხილავს ამ საკითხს, მაგრამ ამჟამად არავითარი განცხადების გაკეთება არ შეუძლია ამის შესახებ.

თათბირი გრძელდება

ლონდონი, 3 ივნისი. ბოლდუინი საკითხს სამთამადნო მუშების გაფიცვის შესახებ იხილავდა კაბინეტის ზოგიერთ წევრის და მეფის სანახშირო კომისიის წევრებთან ერთად.

მაღაროების მეპატრონეების ასოციაციის თავმჯდომარემ **ვილიამსმა** სამთამადნო მუშების ფედერაციის თავმჯდომარეს **ჰერბერტ სმიტს** წერილი გაუგზავნა, რომლითაც თათბირზე იწვევს მას რაც შეიძლება დაჩქარებით.

ბრომლეის განცხადება

ლონდონი, 3 ივნისი. რკინის გზების მემანქანეების და ცეცხლფარეშების კავშირის მდივანმა **ბრომლეიმ** კომპარტიის ორგანო „უორკერ უიკლი“-ს წარმომადგენელთან საუბარში უარჰყო კუკის განცხადება, თითქოს მას მუქარით ეთქვას, რომ მოუწოდებს ორთქლმავალთა მემანქანეებს გაფიცვის შეწყვეტისაკენ. ბრომლეიმ ამასთანავე განაცხადა, რომ **ეს შეუძლებელი იყო, ვინაიდან მუშები სამუშაოს არ დაუბრუნდებოდენ, სანამ გენერალური საბჭო ბრძანებას არ გასცემდა“.**

ბრომლეიმ განაცხადა, რომ ის არ ეწინააღმდეგება კრიტიკას, განსაკუთრებით ეხლანდელ პირობებში.

„საპატიო დოქტორი“

ლონდონი, 3 ივნისი. კემბრიჯის უნივერსიტეტმა უარი სთქვა მაკდონალდისათვის საპატიო დოქტორის ხარისხის მიცემის განზრახვაზე, ვინაიდან უნივერსიტეტის საბჭოს ზოგიერთი წევრი ამის წინააღმდეგ წავიდა.

მაკდონალდმა აცნობა უნივერსიტეტს, რომ წარმოშობილ უთანხმოებათა გამო, იგი უარს აცხადებს საპატიო წოდების მიღებაზე.

მუშებთან ერთად

ლონდონი, 3 ივნისი. გენერალურ საბჭოს წევრმა ბენ ტერნერმა (ფეიქართა კავშირიდან) „უორკერ უიკლი“-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე, თუ რა პოზიციას იცავს ის,—განაცხადა: „მე ისევე, როგორც ჩვენი კავშირი, სავსებით სამთამადნო მუშებს ვუჭერ მხარს, რამდენადაც საჭიროა ბრძოლა სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ“.

შემდეგ ბენ ტერნერმა განაცხადა: „გენერალური საბჭო წარსდგება პროფკავშირების წინაშე ამ თვის მუშაობის ანგარიშით და მოემზადება იმისათვის, რომ შეხვდეს თავისი მოქმედების კრიტიკას“.

ახალი სუბსიდია

ლონდონი, 4 ივნისი. თემთა პალატაში **ჩერჩილმა** განაცხადა, რომ **შესაძლებელია მთავრობამ ახალი სუბსიდია მისცეს მაღაროს მეპატრონეებს.** სუბსიდიის რაოდენობა 3 მილ. გირ. სტერლინგს არ აღემატება.

წერილი სმიტს

ლონდონი, 4 ივნისი. კუკმა დაადასტურა მაღაროს მეპატრონეთაგან წერილის მიღება ჰერბერტ სმიტის სახელზე. კუკმა განაცხადა:

„მე არ ვიცი ამ წერილის შინაარსი და არ მაქვს უფლება გავხსნა ის. ამიტომ ამ წერილს მე წავიღებ ბრიუსელში, სადაც ვაპირებ წასვლას“. მეორე განცხადებაში **კუკი პროტესტს აცხადებს იმ შეურაცმყოფელ მეთოდების წინააღმდეგ, რომელნიც შეითვისა მაღამეპატრონეთა ორგანიზაციამ.**

სმიტის გამგზავრება

ლონდონი, 4 ივნისი. მაღაროს მუშათა ფედერაციის თავმჯდომარე **ჰერბერტ სმიტი** გაემგზავრა ბრიუსელში, სადაც შესდგება მაღაროს მუშების საერთაშორისო კავშირის კონფერენცია.

ხიქსის პასუხი

ლონდონი, 4 ივნისი. თემთა პალატის სხდომაზე მთავრობას მისცეს შეკითხვა—რა ზომებია მიღებული იმ პირთა მიმართ, რომლებმაც საყოველთაო გაფიცვის დროს მოქმედების საბჭოები დაარსეს დერგამის ოლქში კონსტიტუციურ ხელისუფლების შეცვლის მიზნით.

ჯონსონ ხიქსმა უპასუხა, რომ ეს საკითხი ყოველ მხრივ იქმნა განხილული მთავრობის მიერ და **მოქმედების საბჭოს ბევრი წევრი უკვე ციხეშია.**

კრიზისი მწვავდება

ლონდონი, 3 ივნისი. ქვა-ნახშირის **ნაკლებობა მრავალ სამრეწველო წარმოებებს აიძულებს ნავთით გათბობაზე გადავიდენ.** ლუდის ქარხნების მთელი რიგი უკვე შეუდგა ამის განხორციელებას; მრავალ ქარხანას კი განზრახვა აქვს ამ მაგალითს მიჰყვეს.

ლონდონ - შუა ინგლისი—შოტლანდიის რკინის გზასთან ერთად სხვა რკინის გზებიც განიხილავენ საკითხს ნავთით გათბობაზე გადასვლის შესახებ.

ნავთით გათბობაზე გადასვლას უმეტეს შემთხვევებში მუდმივი ხასიათი ექნება და ამგვარად, გავლენას მოახდენს ქვა-ნახშირის საშინაო ბაზარზე.

რურის ქვა-ნახშირი

ბერლინი, 3 ივნისი. მსხვილი მრეწველობის ორგანო **„დოიჩე ბერგვერკეცეიტუნგის“** ცნობით, ქვა-ნახშირის საშუალო ამოღებამ რურის ოლქში აიწია 323.000 ტონიდან აპრილში, 363.000 ტონამდე მაისში.

ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი სოლიდარობის კამპანიის შეწყვეტამ რურის სამთამადნო მრეწველებს მისცა საშუალება გაეყიდათ ნახშირის მოგროვილი მარაგი, რომელიც შემცირდა 20 ათასამდე. ინგლისის სამთამადნო მუშების გაფიცვა ძალიან სასარგებლო გამოდგა რურის ქვა-ნახშირის მრეწველთათვის, რომლებმაც გასულ თვეში გაჰყიდეს 1 მილ. ტონა ქვა-ნახშირი ჩვეულებრივ ნორმაზე მეტი.

პრეზიდენტის არჩევის შემდეგ

გენ. მალჩევსკი

ვილნო, 3 ივნისი. **გაძლიერებული დარაჯთა რაზმის თანხლებით ვილნოში ჩამოიყვანეს ვიტოსის მთავრობის ყოფილი სამხედრო მინისტრი გენერალი მალჩევსკი.**

მალჩევსკი მოათავსეს ანტოკოლის ციხეში.

ისევ სკშინსკი

ვარშავა, 3 ივნისი. ხმები დადის, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელს სკშინსკის ან გრაფ ადამ ტარნოვსკის შესთავაზებენ.

თუ სკშინსკის დანიშნავენ, ეხლანდელი გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი ლონდონში გაიგზავნება ელჩად.

„შიში შეიქმნს სიყვარულსა“

ვარშავა, 3 ივნისი. მემარჯვენე პრესა ახალი პრეზიდენტით კმაყოფილია. ყველაზე შეურიგებელი პოზნანის გაზეთებიც კი ახალ პრეზიდენტის შესახებ შემარიგებელის ტონით ლაპარაკობენ.

პოზნანის დამორჩილება

ვარშავა, 3 ივნისი. პოზნანში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას ისე უყურებენ, როგორც ცენტრალურ მთავრობისადმი დამორჩილებას.

ვარშავა, 3 ივნისი. პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ უკრაინელებისა და ბელორუსების გადაწყვეტილებამ პილსუდსკისათვის ხმის მიცემის დროს თავის შეკავების შესახებ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პილსუდსკზე. ეროვნულ უმცირესობათა მხრით გამოთქმულმა უნდობლობამ დიდი როლი ითამაშა პილსუდსკის მიერ პრეზიდენტობაზე უარის თქმის გარდაწყვეტაში.

პარიზის სურვილი

პარიზი, 3 ივნისი. მას შემდეგ, რაც პილსუდსკიმ მოახდინა სამხედრო გადატრიალება, საფრანგეთის ყველა გაზეთები შიშს გამოსთქვამენ პოლონეთის მომავალი საგარეო პოლიტიკის შესახებ.

პარიზში განსაკუთრებული სიმპატიით სარგებლობენ პოზნანის ჯგუფები, რომლის საშუალებით, როგორც პარიზში ფიქრობენ, შესაძლებელი გახდება მთავრობას დაუბრუნდეს ფრანკოფილური ელემენტები.

აბდ-ელ-ქერიმის ბედი

პარიზი, 4 ივნისი. აბდ-ელ-ქერიმის ბედი გამოურკვეველია. ტარგუისტიდან გამოვიდა 250 ჯორისაგან შემდგარი ქარავანი დატვირთული აბდ-ელ-ქერიმის ქონებით. ქარავანს ახლავს აბდ-ელ-ქერიმის 8 ცოლი.

ინგლისი და ეგვიპტე

ლონდონი, 4 ივნისი. ინგლისის მინისტრთა კაბინეტი განაგრძობს ეგვიპტეში შექმნილ მდგომარეობის განხილვას.

ზაგლულ-ფაშას საუბარი ჰქონდა ლოიდთან, მაგრამ საუბარს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ფიქრობენ, რომ **მთავრობა არ დაადასტურებს ზაგლულ-ფაშას კაბინეტს. ამ შემთხვევაში პარლამენტი დათხოვნილ იქნება.**

ლოკარნოს ხელშეკრულების გარშემო

პარიზი, 4 ივნისი. „მატენ“-ს ცნობით, ლოკარნოს ხელშეკრულების რატიფიკაცია უზრუნველყოფილია.

გაზეთი „რადიკალ“ სწერს: „ბანალური არ არის, რომ მილიერანი ამტკიცებს ბრიანის პოლიტიკას“.

„ავენირი“ ამბობს: „ხელშეკრულებების რატიფიკაცია მოხდება, მაგრამ ყოველგვარი აღფრთოვანების გარეშე“.

„ჰუმანიტე“ სწერს: „მილიერანისათვის შეკითხვის მიცემის ერთად-ერთი მიზეზი იყო ბრიანის ახალი ორგანიზაცია, რადგან მას **დახმარებას უწევენ მემარჯვენენი.**

პარიზი, 4 ივნისი. სენატში დაიწყო კამათი ლოკარნოს ხელშეკრულების რატიფიკაციის გარშემო.

ნინჩიჩის გასტროლები

ვენა, 3 ივნისი. სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრი ნინჩიჩი პარიზიდან ბელგრადში დაბრუნდა. მისი მოლაპარაკების შესახებ საფრანგეთის მთავრობასთან გარკვეული ცნობა არაა გამოქვეყნებული.

სამხრეთ-სლავიის პრესა ამტკიცებს, რომ საფრანგეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულების ხელისმოწერის შესახებ ცნობა ნაადრევია.

ფორდის შემოსავალი

ლონდონი, 4 ივნისი. „დეილი მეილი“-ს ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყება, რომ **ფორდის საავტომობილო კომპანიის დაახლოებით შემოსავალი 1919-დან 1924 წლამდე უდრის 1.050 მილ. გირ. სტერლინგს.** ეს თანხა მთლიანად გადავიდა გენრიხ ფორდის და მის ოჯახის განკარგულებაში.

„მუშების წარმომადგენელი“

პარიზი, 3 ივნისი. ერთა ლიგასთან არსებულ საერთაშორისო შრომის ბიუროს სესიამ, რომლის სხდომები სწარმოებს ჟენევაში, 68 ხმით, წინააღმდეგ 31-ისა იცნო ფაშისტურ პროფკავშირის გენერალურ მდივნის როსსინის მანდატი, რომელიც მას ანიჭებს უფლებას იტალიის პროლეტარიატის წარმომადგენლობისა.

პარიზი, 3 ივნისი. დატუსაღებულია კომპარტიის სენის ფედერაციის ყოფილი მდივანი გილბერტი, რომელსაც ბრალად ედება „სამხრეთ საფრანგეთში საპროპაგანდო მიზნით ყოფნის დროს მოკვლისათვის მოწოდება“.

კომუნისტების დევნა

პარიზი, 3 ივნისი. ალჟირში ჩასული კომუნისტი დეპუტატი **კარნავონი** ფაშისტებმა დაიჭირეს სადგურიდან გამოსვლისთანავე და ავტომობილით წაიყვანეს ქალაქიდან 60 კილომეტრის მოშორებით.

„იუმანიტე“ პოლიციელებს ბრალს სდებს ფაშისტებისათვის [illegible] რაში.

უკანასკნელი ცნობები

შანხაის დემონსტრაციის მსხვერპლნი

პეკინი, 4 ივნისი. 30 მაისს დახვრეტების წლის თავზე, შანხაიში უკანასკნელ დემონსტრაციების დროს მძიმედ დაჭრეს 10 კაცი. ბევრი დემონსტრაციის მონაწილე სასამართლოზეა გადაცემული.

იაპონიის შიში

ტოკიო, 4 ივნისი. გაზეთი „ჯაპან ტაიმსი“ შიშს გამოსთქვამს ჩინეთის განზრახვის გამო პეკინ-მუკდენის რკინისგზის ხაზის გაფართოების შესახებ, ვინაიდან იგი სამხრეთ-მანჯურიის რკინისგზის ექსპლოატაციას საფრთხის წინაშე დააყენებს.

გაზეთი აღელვებულია აგრეთვე იმ ხმებით, რომ საბჭოთა კავშირს განზრახვა აქვს რკინისგზები გაიყვანოს მონღოლეთში, რაიც, როგორც გაზეთი შიშობს, „შეიძლება ისეთ საკითხებს შეეხოს, რაც აღელვებს იაპონიას, ინგლისს, ჩინეთს და საბჭოთა კავშირს“.

გაზეთების აზრით, რკინისგზის გაყვანის გეგმები შედეგია იმისა, რომ იაპონელებმა ტაო-ნან-ციციკარის ხაზი გაიყვანეს.

1.800 ჰაეროპლანი

ვაშინგტონი, 3 ივნისი. ამერიკის სენატმა მიიღო კანონპროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია 1.800 ახალი სამხედრო, საზღვაო და თავდაცვის ჰაეროპლანების აგება.

სესხის საკითხი

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. ავტორიტეტული წყაროების ცნობით, ამერიკის მიერ საფრანგეთისათვის სესხის მიცემის საკითხი დაკავშირებულია საფრანგეთის მიერ ვალების შესახებ იმ შეთანხმების რატიფიკაციასთან, რომელიც დასდვეს ერთი თვის წინედ ამერიკის ფინანსთა მინისტრმა მელლონმა და საფრანგეთის ელჩმა ბერანჟემ.

ტრანსპორტელების მიმართვა

მოსკოვი, 4 ივნისი. საბჭოთა კავშირის ცეკას მეხუთე გაფართოებულმა პლენუმმა მოწოდებით მიმართა კავშირის ყველა წევრებს, რომ გააძლიერონ გაფიცულ მაღაროს მუშათა დახმარების კამპანია.

ისპანელ რევოლიუციონერების გასამართლება

მოსკოვი, 4 ივნისი. მალე ბარსელონის სამხედრო სასამართლოს წინაშე წარსდგება ექვსი ისპანელი ამხანაგები, რომლებიც რამდენიმე თვეა. ყველა ისინი აქტიური კომუნისტებია, დიდ მონაწილეობას იღებდენ პროფინტერნის პრინციპებისა და ტაქტიკის გატარებაში. პროფინტერნის აღმასრულებელი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს, აიმაღლონ თავისი ხმა იმ დევნის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლნი არიან ისპანელი ამხანაგები.

ფინანსთა კომის. განკარგულება

მოსკოვი, 4 ივნისი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა განკარგულება გასცა, რომ მიღებულ იქნას კანონით გათვალისწინებული ზომები წარმოებათა და დაწესებულებათა იმ ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომლებიც არ შეიძენენ 8 პროც. სესხს.

სასეზონო სამუშაოები

მოსკოვი, 4 ივნისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მცირეოდენი დამატებით სასეზონო სამუშაოების შრომის პირობები, რომელიც დაუყოვნებლივ შევა ძალაში.

აბდ-ელ-ქერიმი

ბერლინი, 4 ივნისი. ფესში ჩაიყვანეს აბდ-ელ-ქერიმი.

მეორე 8%-ანი სესხი

მოსკოვი, 4 ივნისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სახ. კომსაბჭოს დადგენილება მეორე სახელმწიფო 8 პროცენტიან საშინაო სესხის გამოშვების შესახებ.

გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგ. ყრილობის დამთავრება

მოსკოვი, 4 ივნისი. გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა წარმომადგენლების სრ. რუსეთის ყრილობა უკვე დამთავრდა.

ყრილობამ გადასწყვიტა მიმართოს მოწოდებით ყველა გლეხკომებს, რომ გააძლიერონ მუშაობა უპატრონო ბავშვთათვის თავშესაფარის მიცემისათვის; ყოველმა გლეხკომმა უნდა შეინახოს ერთი უპატრონო ბავშვი მაინც.

ნავთის ამოღების გადიდება

მოსკოვი, 4 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცნობით, 1926—27 წლის ნავთის ამოღების პროგრამის შესასრულებლად საჭიროა ამობურღვის პროგრამის გაფართოება რამდენიმე წელში.

განზრახული რაოდენობის ნავთის—561,2 მილ. ფუთის ამოსაღებად საჭირო იქნება 212.185.000 მანეთის დახარჯვა.

დელეგაციის ჩამოსვლა

ლენინგრადი, 4 ივნისი. ჩამოვიდა უცხოეთის კვების კავშირების დელეგაცია საბჭოთა კავშირის კვების კავშირის ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად.

სამეცნიერო აკადემიის ექსპედიცია

ლენინგრადი, 4 ივნისი. მონღოლეთში გაემგზავრა სამეცნიერო აკადემიის ექსპედიცია 6 რაზმის შემადგენლობით, რომელიც იმუშავებს ადგილობრივ ნოემბრამდი.

მოსციცკის დაფიცება

ვარშავა, 4 ივნისი. დღეს მეფის კოშკში მოხდა პრეზიდენტ მოსციცკის დაფიცება. დაესწრენ ნაციონალურ კრების წევრები, დიპლომატიური კორპუსი, მთავრობა, პოლონეთის და უცხოეთის პრესის წარმომადგენელი.

ბეტლერის მთავრობა გადადგა. პრეზიდენტმა მიიღო გადადგომა და დაავალა მინისტრებს განაგრძონ მოვალეობის შესრულება ახალი მთავრობის შედგენამდი.

ბერლინი, 4 ივნისი. ვარშავიდან იუწყებიან, რომ მოსციცკის დაფიცება უკვე მოხდა. უკანასკნელად მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად დაფიცების ცერემონია სეიმიდან გადატანილ იქნა მეფის კოშკში, რადგან გავრცელებულ ხმების თანახმად პილსუდსკის საფრთხე მოელოდა ქუჩაში გავლის დროს. რადგან კოშკში შესაფერი დარბაზი არ იყო, ზეიმზე არავინ არ მოუწვევიათ.

დეპუტატი — მკვლელობის მომწყობი

ბერლინი, 4 ივნისი. პრუსიის ლანდტაგის უკანასკნელ სხდომაზე დროებით დეპუტატის ხელუხლებლობის უფლება ახადეს უკიდურეს ნაციონალისტს ულლეს, რომელსაც უკანასკნელი პოლიტიკური მკვლელობების მოწყობა ბრალდება.

ქალ. ლიუბეკის 700 წლის შესრულების გამო

ბერლინი, 4 ივნისი. ქალაქ ლიუბეკის 700 წლის შესრულების გამო მოხდა ზეიმი. დაესწრენ ბალტიის სახელმწიფოების წარმომადგენელნი.

მენშევიკების მორიგი ღალატი

ბერლინი, 3 ივნისი. ყოფილ საგვარეულო ქონებათა უფასოდ ჩამორთმევის საკითხის შესახებ საყოველთაო კენჭის ყრის წინ გერმანიის ბურჟუაზიული პარტიები აერთიანებენ თავიანთ ძალებს.

ამ ახლო ხანში შეიქნა სპეციალური კომიტეტი, რომლის მიზანია გაძლიერებული აგიტაციის წარმოება და ყოველგვარი ზომების მიღება კენჭის ყრის ჩაშლისათვის.

ბურჟუაზიულ პარტიების მთლიანი ფრონტის მოუხეჭავად სოციალ-დემოკრატები კვლავ უარს აცხადებენ კომუნისტებთან თანამშრომლობაზე.

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის

პლენუმის სხდომა

რომელიც დანიშნული იყო დღეს,
5 ივნისს, დილის 10 საათზე
გაიხსნება დღესვე საღამოს 6 საათზე
საქ. მ. გ. ინსპექციის სახკომატის ბინაზე (რუსთაველის ქ. 24, მესამე სართული).
დასწრება ყველა ც. ს. კომისიის წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.

უჯრედების მუშაობის ზოგიერთი ნაკლის შესახებ

ჩვენს პარტიულ უჯრედებს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად ჯერ კიდევ ახასიათებს მრავალი ნაკლი. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს სოფლად. ეს გასაგებიც არის. სოფლის უჯრედი, ხშირად თემკომიც, ღარიბია მომზადებულ და გამოცდილ პარტმუშაკებით. ის მოკლებულია, აგრეთვე მთელი რიგი პირობების გამო, სისტემატიურ ხელმძღვანელობას სამაზრო ცენტრებისაგან.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგან ძალიან მოისუსტებს პარტიული ხელმძღვანელობა, როგორც საბჭოთა, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. გურიის კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა ეს თავის დადგენილებაში. როგორც ვსთქვით, ეს ნაწილობრივ გამოცდილ მუშაკების ნაკლებობით აიხსნება, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფრის ამით გამართლებაც არ შეიძლება. ზოგან ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთ გადახრას, რომელიც თითქოს კარგა ხანია აღმოფხვრილი უნდა ყოფილიყო პარტმუშაობის პრაქტიკიდან. ზოგიერთ უჯრედებს არ მიაჩნიათ თავის საქმეთ ხსენებულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. რასაკვირველია, ეს გადახრა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა იქნეს აცილებული თავიდან. პარტიული ხელმძღვანელობა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაზე უსათუოდ უნდა გაძლიერდეს. პარტიის უმაღლეს ორგანიზაციების დადგენილებები ამ საკითხზე ურყევად და უცვლელად უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

სუსტია აგრეთვე ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედებზე. კომკავშირის რიგები განსაკუთრებით სწრაფად იზრდება უკანასკნელ წლის განმავლობაში. საქართ. ა. ლ. კომკავშირის უკანასკნელ ყრილობაზე გამოირკვა, რომ კომკავშირის წევრთა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა. ეს გარემოება ფრიად რთულ ამოცანებს აყენებს, როგორც თვით კომკავშირის, ისე პარტიულ ორგანიზაციების წინაშე. კომკავშირში უნდა გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა, უამისოდ კომკავშირი ვერ შეასრულებს იმ დიდ მოვალეობას, რომელიც მას დაკისრებული აქვს. მართალია, პარტიულ უჯრედებს, როგორც ვსთქვით, ხშირად ძალიან ნაკლებად მოეპოვებათ შესაფერისად მომზადებული ძალები, მაგრამ კომუჯრედებმა, მიუხედავათ ძალთა ნაკლებობისა, მაინც საუკეთესო ძალები უნდა მისცეს ხელმძღვანელად ა. ლ. კ. კავშირის უჯრედებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არ გაკეთდება. არ არის იშვიათი ისეთი შემთხვევა, როდესაც კომკავშირის უჯრედზე კომუჯრედები ისეთ ამხანაგებს მიამაგრებენ ხოლმე, რომლებიც თავის განვითარებით და პოლიტმომზადებით უფრო დაბლა სდგანან, ვიდრე კომკავშირლები. რა თქმა უნდა, ასეთ ამხანაგებს კომკავშირის უჯრედში არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, რადგან მათ შესაფერისი ავტორიტეტი და გავლენა არ ექნება კომკავშირლებს შორის.

ყურადღების ღირსია, აგრეთვე, ღია კრებების მოწვევისა და დღის წესრიგის შემუშავების საქმე, რომელიც ბევრ ადგილას ორივე ფეხზე მოიკოჭლებს. ყველა ამ ნაკლს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც თვით უჯრედებმა, ისე თემკომმა და რაიკომმა და სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობით გამოასწორონ.

ბანიძე.

ჩხარის თერჯოლას კომუჯრედების მდგომარეობა

(შორაპნის მაზრა)

შორაპნის სამაზრო კომიტეტთან არსებული ორგთათბირმა მოისმინა ინსტრუქტორის მოხსენება ჩხარის და თერჯოლას კომუჯრედების მუშაობის შესახებ.

თათბირმა აღნიშნა, რომ უჯრედების კრებები ხდება ნორმალურად. უჯრედების წევრთა რაოდენობა იზრდება. საწევრო გადასახადი წესიერად შემოდის. უჯრედში სწარმოებს პარტპროგრამის და წესდების შესწავლა.

მიუხედავად ამისა უჯრედებს თვის ახლავთ ნაკლიც.

უჯრედების **ბიუროების** სხდომები არ ეწყობა სისტემატიურად.

ღია კრებები იშვიათად ეწყობა. უჯრედები ვერ უწევენ ხელმძღვანელობას „რემედასს“, გლეხკომს და სხვა ორგანიზაციებს.

არის წევრების კრებებზე დაუსწრებლობის შემთხვევებიც. ა. კ. კ. თემკომთან და სადელეგატო ქალთა კრებაზე წარმომადგენლობა ფორმალურია.

ჩხარის რაიკომის ხელმძღვანელობა უჯრედებზე სუსტია.

ორგთათბირმა, გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები ამ ორგანიზაციებში პარტმუშაობის გამოსაცხოველებლად. რაიკომს და უჯრედებს ევალებათ დაუყოვნებლივ გაატარონ ცხოვრებაში შემდეგი:

1. ჩხარის რაიკომმა ხშირად უნდა გამოიწვიოს ბიუროების წევრ. და მისცეს მათ სათანადო ახსნა-განმარტება. რაიკომის წევ. უნდა დაესწროს უჯრედების სხდომებს და უხელმძღვანელონ და მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა-გატარებაში.
2. სია იმ პირების რომელნიც არ ესწრებიან კრებებს და აგრეთვე, იმათი სიაც ვინც სისტემატიურად ლოთობს და არღვევს პარტდისციპლინას გადაეგზავნოს სამაზრკომს, სათანადო ზომების მისაღებად.
3. ა. კ. კ. და ქალთა სადელეგატო კრებებზე მიმაგრებულნი იქნან უფრო მეტად მომზადებული ამხანაგები, რომელნიც შესძლებენ სათანადო ხელმძღვანელობის გაწევას.
4. ხშირად იქნას მოწვეული ღია კრებები უპარტიო გლეხობის და მასწავლებლობის თანდასწრებით მათ წინასწარ უნდა ეცნობოთ ამის შესახებ.
5. უჯრედებმა ხშირად უნდა მოისმინონ კომფრაქციების მოხსენება მათი მუშაობის შესახებ, და მისცენ მათ სათანადო მითითებები.
6. ყველა კითხვები უნდა წინასწარ დამუშავდეს უჯრედების ბიუროებში.

იანეთელი.

მეტი ყურადღება პოლიტგანვითარების საქმეს

(ამაღლება, გურია)

ამაღლების თემის კომუჯრედში 40 წევრი და კანდიდატია. წევრთა დიდი უმრავლესობა გლეხები არიან. უჯრედი 5 სოფლის კომუნისტებს აერთიანებს, რაც მის მუშაობას საკმაოდ ართულებდა. ხელმძღვანელობა თემკომის მხრივ (უჯრედი ჩახატაურის თემკომში შედიოდა) სუსტი იყო. ამ გარემოებამ გამოიწვია ამაღლების თემში ცალკე თემკომის დაარსება, რომელიც უშუალოდ მაზრკომის ხელმძღვანელობით მუშაობს. თემკომი უკვე შეუდგა მუშაობას. [illegible] სამუშაო, რომელსაც უნდა მიაქციოს [illegible] თემკომმა, არის წევრთა პოლიტგანვითარების დონის ამაღლებაზე ზრუნვა. საჭიროა პოლიტსკოლის დაარსება, რაშიც თემკომს სამაზრო კომიტეტიც უნდა დაეხმაროს. უჯრედში ერთ-ერთი ნაკლი ის იყო, რომ ბევრი კანდიდატები ირიცხებოდა. უმრავლესობას გავლილი ჰქონდა საკანდიდატო სტაჟი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მათი გადარიცხვა პარტიაში მაინც შეფერხებული იყო. ეს ნაკლი ამჟამად გამოსწორებულია. უკანასკნელი ერთნახევარი თვის განმავლობაში პარტიაში 20 კანდიდატი [illegible].

გოშა.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ფიქრები გამოფენაზე

სოფლის შვილი ვარ.

ხვნა, თოხნა, თიბვა, კალოობა—ყველა ეს ბეგარა საკმაოთ მომიხდია ცხოვრებაში.

უმამულობა, საქონლის დახოცვა. ავდარი და სხვა ათასგვარი გაჭირვება—სოფლის გარემოებიდან წარმოშობილი, ყველა მინახავს.

შეიძლება დიდი ხნობით არ ვყოფილვარ შებმული ამ გაჭირვების უღელში, მაგრამ მისი ჰპანწყვეტა უფრო მწვავეთ მიგრძვნია, ვიდრე იმ გლეხს, რომელსაც იქ უთენდება და უღამდება სიცოცხლის დღენი.

მართალია დღეს ცულისა და ბარის მაგიერ კალამი მიჭირავს ხელში. ქალაქის ცხოვრებაც მძლეთ შემოიჭრა თავისი აუცილებლობით—ჩემს არსებაში. მაგრამ ჩემი ფიქრები მაინც კარგად მოქნეული ქამანდივით ხშირად გადასწვდებიან ხოლმე სოფლის არეს, გლეხის ჭირვარამს.

ყველაზე მეტად სოფლის ტკივილები ეხებიან ჩემს გულს. მიზეზი ცხადია:

სოფელი უფრო სუსტია, ღარიბი, ჩამორჩენილი.

თუ ვისმეს შეუძლია თავის სიღარიბეზე ხმა ამოიღოს—ის აღარ მებრალება.

მაგრამ თუ ვინმე დამუნჯებულა თავისი ჩამორჩენისა და გაჭირვებისაგან—ის ყოველთვის სიბრალულს იწვევს ჩემში.

—:—

გლეხი და მიწა.

ეს ერთი მთლიანი არსებაა.

გაიყრებიან ძმები, მამა-შვილი, ცოლქმარი, მაგრამ გლეხისა და მიწის გაყოფა ისევე შეუძლებელია, როგორც ადამიანის მფეთქავი გულისა.

ამავე დროს კი მიწა აღარა ყოფნის გლეხს და აქედან იწყება სწორედ მისი ნამდვილი ვაი-ვაგლახიც.

რამდენჯერ მიფიქრია ერთ თავისებურ საკითხზე:

ოჯახს ჰქონდა ოციოდე დღის მიწა. ერთად ცხოვრობდა ოთხი-ხუთი ძმა. გაიყვენ. თითოს ერგო ოთხი-ხუთი დღის მიწა. ეხლა იმათი შვილები უნდა გაიყარონ და ოჯახს უნდა ერგოს ერთი ან ორი დღიური.

შემდეგმა თაობამ რაღა ჰქნას? სად წავიდეს? რა ეშველება?

მიწა შემცირდა, გამოიფიტა. ხალხი კი უფრო და უფრო მრავლდება.

აქ ერთი თაობის, გაჭირდეს—ორი თაობის მანძილზე არსებითად უნდა შეიცვალოს მიწის მოვლა და სარგებლობა. უამისოდ სიღარიბეს ისევე ვერ აირთმევა თავი, როგორც სიკვდილს.

და აქ ძალა-უნებურად უნდა სთხოვო შველა თანამედროვე ქიმიას, ტეხნიკას და საერთოდ კულტურას.

მიწის განოყიერება, სწრაფი და ნაკლები შრომით მეტი მოსავალის მიღება—აი, რა არის საჭირო.

ამ ფიქრებმა მიმაცილეს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

—:—

დღეს ევროპა და ამერიკა სცდილობს დაელაპარაკოს ჩვენ გლეხკაცობას კრეიცისა და ლანცის, კრუპპის და ფორდის ენით.

მათი ენა კი არის: რკინის გუთნები, ტრაქტორები, სათესი, სარკვევი, სათიბი და სალეწი მანქანები. სეპარატორები, ინკუბატორები და სხვა მრავალი აპარატები.

ჩვენმა გლეხმაც უეჭველად უნდა შეისწავლოს ეს უცხო ენა, რომლის წყალობითაც გამოვა ცხოვრების სასიკეთო შარაზე.

არ შეიძლება ხალხი, მშრომელი და მუყაითი ხალხი, დაბეჩავდეს დღევანდელ ხანაში მიწის სივიწროისა და მოუვლელობის გამო.

ძალა-უნებურად უნდა შებობლდეს ბლუნძი ტრაქტორი ჩვენს მინდორ-ველებში. უნდა შეიჭრენ იქ მკვირცხლი სათიბი მანქანები. უნდა ახმაურდეს სალეწიც.

ეს იქნება დაზოგვა მიწის, შრომის, საქონლის, დროსი.

ეს არის აუცილებელი გზა—ვისაც აქვს წინსვლის უნარი, გამძლეობა და ცხოვრების შეთვისება.

მანქანა, ტეხნიკა აუცილებლად უნდა შეიჭრას სოფელში.

ვისი წყალობით?

მთავრობის, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების, კოოპერატივების, ამხანაგობების, გლეხკომების ან ახლად შექმნილი ორგანოების, რომლებიც დაარსებენ მრავალ პუნქტებს და გააქირავებენ მანქანებს თავიანთი მექანიკოსების და ხელმძღვანელების თანხლებით.

უამისოდ მანქანა ვერ შევა სოფელში და დარჩება შორიდან საცქერად ქალაქის საწყობებში.

—:—

დავდივარ. ვუცქერი ამ ახმახ და რთულ მანქანებს.

ვსცნობ მათ ძალასა და აუცილებლობას.

დიაღ, ეს ტრაქტორია—სამუდამო დავიწყებაში რომ უნდა გადატყორცნოს რვა-უღელა ხარ-კამეჩით მძიმედ დაძრული გუთანი.

ეს სათიბი მანქანაა, რომელიც ღააუქმებს პირ-აწყობილ ნამგალსა და ცელს.

ეს სალეწი მანქანაა, რომ მოიღებს კალოობას.

ტრაქტორზე ველარ დასძახებს მეხრე ჰოროველას.

სათიბზე ველარ დააგუგუნებენ ჰოოპუნას.

—:—

გამოფენის არე-მარეზე აინთენ ელექტროს ლამპები.

ჩემშიაც ანთიან ეს ლამპები და უხვად ანათებენ ჩვენს ბრწყინვალე მომავალს.

მოკეთე.

სინდიკატი „სელმაში“

საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მანქანების საამშენებლო მრეწველობა ამიერ-კავკასიის გამოფენაზე წარმოდგენილია სინდიკატ „სელმაშ“-ის სახით.

ეს სინდიკატი ამ ჟამად აერთიანებს 30-დე მსხვილ ფაბრიკა-ქარხანას და ამზადებს სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს.

სინდიკატის ყველა ქარხნების საწარმოო გეგმა მიმდინარე წლისათვის დამტკიცებულია 76 მილიონ მანეთის რაოდენობით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდების გეგმა მიმდინარე წლისათვის დამტკიცებულია 106,5 მილიონ მანეთის რაოდენობით, შეიძლება ითქვას, რომ გეგმის 75 პროც. ანხორციელებენ საბჭოთა ქარხნები.

გასული წლის განმავლობაში საბჭოთა ქარხნებმა გაასაღეს 45 მილიონ მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია ჩვენი მანქანების ღირსების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც დაამტკიცა მთელმა რიგმა გამოცდებმა.



„რუს ასტორგ“-ის პავილიონი

სინდიკატ „სელმაშ“-ის პავილიონში გამოფენილია 60 სხვადასხვა მანქანა და იარაღი, რომლებიც შეეფერებიან ადგილობრივ პირობებს; საერთოდ კი სინდიკატი ამზადებს 150-დე სხვადასხვა მანქანა-იარაღს.

გამოფენის სტუმრებისათვის „სელმაშ“-ს დამზადებული აქვს სპეციალური წიგნი, რომელშიაც ექსპონატების მნახველებს შეაქვთ თავისი შთაბეჭდილებები; ამ წიგნში ჩაწერილია მრავალი გლეხის და სპეციალისტის აზრი „სელმაშის“ ექსპონატების შესახებ.

სპეციალისტების დასკვნის თანახმად, „სელმაშის“ მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი მანქანები საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში ჩვენ სრული შესაძლებლობა გვექნება ამიერ-კავკასიის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირში დამზადებული მანქანებით.

რამოდენიმე დღის შემდეგ მოხდება „სელმაშის“ ყველა მანქანების გამოცდა; დღეიდან კი გამოფენაზე იწყება მანქანების დემონსტრაცია. მანქანები ნაჩვენები იქნება როგორც უმოქრაო მდგომარეობაში, ისე მუშაობის დროს. პავილიონში მუშაობს რამოდენიმე სპეციალისტი, რომელსაც ახსნა-განმარტებას აძლევენ ექსკურსანტებს.

გლეხთა ექსკურსიები

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად ჩამოსულ გლეხებისათვის დიდუბეში, გამოფენის ახლოს მოწყობილია სპეციალური ბინა.

გლეხების საერთო ბინა მოთავსებულია რკინის გზის მეათე პოლკის ყაზარმაში. აქ გლეხებს დათმობილი აქვს 17 მოზრდილი ოთახი, რომლებშიაც სდგას 170 საწოლი. გლეხებს ეძლევათ ლეიბი, ჩარსავი, ბალიში და საბანი. ამასთანავე ისინი სარგებლობენ უფასო სასმელ-საჭმელით; ეძლევათ სადილი, ჩაი და სხვა.

ექსკურსანტი გლეხები თბილისში რჩებიან ორი-სამი დღე. დღევანდლამდე გამოფენა დაათვალიერა 120 გლეხმა ექსკურსანტმა, მათ შორის იყვნენ გლეხი ქალებიც.

ჯგუფ-ჯგუფობით გლეხები მოდიან უმთავრესად აზერბეიჯანიდან, ნაწილი მოდის სომხეთიდანაც. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან არსებულ საექსკურსიო ბიუროს გლეხების ექსკურსიების მოწყობის საქმეში ასეთი წესი აქვს შეტანილი:

პირველად გლეხების ექსკურსიები ჩატარდება აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან, შემდეგ საქართველოდან და სომხეთიდან და ბოლოს საქართველოდან და აზერბეიჯანიდან. ასეთი შერეული წესის მიზანია სხვადასხვა ეროვნების გლეხები შეახვედროს ერთმანეთს, რომ მათ გაიცნონ ერთიმეორე, დაუახლოვდნენ ერთმანეთს და გამოფენის დათვალიერების შემდეგ მსჯელობა იქონიონ, თუ სად რომელი მანქანა იქნება გამოსადეგი.

საერთო ბინაში გლეხებისათვის მოწყობილია კლუბი და ლენინის კუთხე. საღამოობით აქ თავს იყრიან გლეხები და წითელარმიელები; ეს უკანასკნელები მათ ესაუბრებიან სხვადასხვა საკითხებზე და უკითხავენ ლექცია—მოხსენებებს.

გამოფენა დიდ ინტერესს იწვევს გლეხებში. ისინი დაწვრილებით ეცნობიან ყველა მანქანებს და ითვალისწინებენ მათ ღირსება-ნაკლულევანებებს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. თავისი შთაბეჭდილებები მათ გადააქვთ ქაღალდზე, შემდეგ კი სწერენ ანკეტებში, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით აქვს დამზადებული საექსკურსიო ბიუროს.

საექსკურსიო ბიუროს მიერ გამოყოფილია სპეციალური ლექტორები, რომლებიც ახსნა-განმარტებას აძლევენ გლეხებს გამოფენაზე.

გამოფენის ქრონიკა

გლეხთა ექსკურსია

დღეს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად აზერბეიჯანიდან თბილისში ჩამოვა 75 გლეხი-ექსკურსანტი.

რამდენი კაცი ათვალიერებს გამოფენას

ყოველდღე გამოფენას ათვალიერებს 1000-დე ექსკურსანტი, უმთავრესად მოწაფეები და წითელარმიელები.

გლეხების ჩამოსვლა

გუშინ გამოფენის დასათვალიერებლად თბილისში ჩამოვიდა 27 გლეხი აღდამიდან და 11 განჯიდან (აზერბეიჯანი).

რკინისგზელთა ექსკურსია

კვირას, 6 ივნის, გამოფენას დაათვალიერებენ ამიერ-კავკასიის რკინისგზების მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურენი.

სიმფონიური კონცერტი

დღეს გამოფენაზე გაიმართება მორიგი სიმფონიური კონცერტი ვანო ფალიაშვილის დირიჟორობით.

მანქანების დემონსტრაცია

დღეიდან გამოფენაზე იწყება სასოფლო-სამეურნეო მანქანების დემონსტრაცია. მანქანები ნაჩვენები იქნება მუშაობის დროს.

უცხო ფირმების წარმომადგენლები

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დასასწრებლად თბილისში ჩამოსულია უცხო ფირმების 34 წარმომადგენელი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

პირველი შედეგები

მომჭირნეობის რეჟიმის გატარებამ საქართველოში უკვე საგრძნობი შედეგები გამოიღო. ცენტრალურ კომისიაში წარდგენილია 4 კომისიის მოხსენება მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების შესახებ: საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოში, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში და მუშათა კოოპერატივში.

დავიწყოთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან. აქ უკვე არის დიდი მიღწევები. პირველ რიგში შემცირებულია თამბაქოს ტრესტის ხარჯები. დამტკიცებულია, რომ თამბაქოს ტრესტის ყველა ფაბრიკებში არის ზედმეტი მუშა-ხელი 40 კაცამდე; შემოკლება შეამცირებს ხარჯებს 2.000 მანეთით თვეში.

ამასთანავე დასმულია საკითხი პროცენტების შემცირების შესახებ; კოოპერაცია ტრესტს ნედლი თამბაქოს დამზადებაში ახდევინებს 10 პროცენტს, იმ დროს, როდესაც ეს დამზადება ტრესტს უჯდება არა უმეტეს 4 პროცენტისა. იმ შემთხვევაში, თუ ტრესტი კოოპერაციას გადაუხდის 5 პროცენტს, შეიძლება შემონახული იქნეს 40.000 მანეთზე მეტი.

პოლიგრაფიულ ტრესტში შემუშავებულია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები, რომელთაგან ჯერ-ჯერობით ცხოვრებაში გატარებულია შემდეგი: შემოკლებულია ფაქტორების შტატი; ამ უკანასკნელთა მოვალეობა დაეკისრა წარმოებების გამგეთა მოადგილეებს, რაც ეკონომიას იძლევა 3.619 მანეთის რაოდენობით წელიწადში; გაუქმებულია მსუბუქი ავტომობილები, რაც ეკონომიას იძლევა 1.212 მანეთის რაოდენობით წელიწადში.

ამრიგად პოლიგრაფიულ ტრესტში უკვე მიღწეულია რეალური ეკონომია 4.831 მანეთის რაოდენობით წელიწადში.

ამას გარდა, განზრახულია ბინების საიჯარო ფასის შემცირება 50 პროცენტამდე, რაც ეკონომიას მოგვცემს 36 ათას მანეთამდე.

ტყავტრესტში მიღწეულია ეკონომია 8.623 მანეთის რაოდენობით.

ლითონის ტრესტში შტატი შემოკლებულია 11 კაცით, რაც ეკონომიას იძლევა 10.000 მანეთის რაოდენობით წელიწადში.

ასეთივე ღონისძიებები გატარებულია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დანარჩენ ტრესტებშიც. საერთოთ, ყველა ტრესტებში დღევანდლამდე მიღწეულია ეკონომია 11 მილ. 047.000 მანეთის რაოდენობით. მიმდინარე საოპერაციო წლის დამლევამდე კი ეკონომია მიაღწევს 45.550.000 მანეთამდე.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, შემოკლებულია ხარჯები, რაც საერთო ეკონომიას იძლევა 43.417 მანეთის რაოდენობით.

შემოკლებულია შტატი, განათების და გათბობის ხარჯები, ზედნადები ხარჯები, სატრანსპორტო ხარჯები და სხვა.

ეკონომიის რეჟიმის გამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ მუშკოოპში ჩაატარა შემდეგი მუშაობა: სწარმოებს საწყობების გაერთიანება, ერთი საწყობი გაუქმებული იქნება სრულიად; ყველა საქონელი თავმოყრილი იქნება ვამგეობასთან არსებულ საწყობში და დატოვებული იქნება ერთი დამხმარე საწყობი კარტოფილის შესანახავად. შტატების შემოკლებით მიღწეული იქნა ეკონომია 996 მანეთის რაოდენობით წელიწადში; საერთო ეკონომია კი ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ის დიდი იქნება. განზრახულია შტატების შემოკლება სავაჭრო განყოფილებაში, რაც ეკონომიას მოგვცემს 3.000 მანეთის რაოდენობით წელიწადში.

გადასინჯულია სია იმ მოსამსახურეთა, რომელთაც ეძლევათ ტრამვაის ბილეთები და ფული ტრამვაით სამოგზაუროდ. გადასინჯვას შედეგათ მოჰყვა ეკონომიის მიღება 756 მანეთის რაოდენობით წელიწადში. ამას გარდა, ტარდება კიდევ სხვა ღონისძიებები, რომლებიც აგრეთვე საგრძნობლად შეამცირებენ ხარჯებს.

„დებულებით გაუთვალისწინებელი ხარჯები“

(ერთი პასუხის გამო)

„კომუნისტის“ 16 მაისის ნომერში დაიბეჭდა მუშა კორესპონდენტ „თიოკოლის“ ერთი საყურადღებო კორესპონდენცია. საქმე ეხებოდა ამიერ-კავკასიის ერთ-ერთ რესპუბლიკის გზატკეცილების სამმართველოს უფროსს. წერილშიაც ასე იყო ნათქვამი: „ერთ-ერთი რესპუბლიკის“.

„თიოკოლი“ აღნიშნავდა, რომ მოსკოვში მივლინებით გამგზავრებულ უფროსმა წარმოადგინა ხარჯების ანგარიში, სადაც რატომღაც ბაქოში დახარჯული ფულებიც იყო ნაჩვენები და სხვა ისეთი თანხები, რომელთა გამართლებაც არაფრით არ შეიძლება.

ამ კორესპონდენციის საპასუხოდ იწერება პასუხი, რომელშიაც უსახელო დაწესებულებას ფარდა ეხდება და მოპასუხის როლში გამოდის საქართველოს გზატკეცილების სამმართველო. ის სწერს: „გთხოვთ მოათავსოთ უახლოეს ნომერში, რომ თუმცა წერილში აღნიშნული ხარჯები გამოწვეული იყო, როგორც სჩანს ამასთანავე დართულ განმარტებიდან, საქმის საჭიროებით, მაგრამ, **რადგანაც ზოგიერთი მათგანი არ არის გათვალისწინებული მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯების დებულებით, სამმართველოს უფროსმა ზედნახარჯი 47 მან. 50 კ. (95 მანეთიდან) შეიტანა სალაროში ორდერით № 392“.**

კეთილი და პატიოსანი, ვთქვათ ეს ხარჯები „არ არის გათვალისწინებული მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯების დებულებით“, მაგრამ რაღა ეხლა მოიძებნა და გამოირკვა ეს „დებულებები“? ნუ თუ ეს სამმართველოს უფროსმა არ იცოდა „რასაც იქმოდა“. როცა მას ანაგარიშში შეჰქონდა ეს ხარჯები!

განმარტებებში, რომელიც დართული აქვს სამმართველოს პასუხს, ჩვენ, სხვათაშორის, ვპოულობთ შემდეგ ადგილს:

„თუმცა თბილისში, ბაქოში და მოსკოვში ბარგის გადამზიდავებზე დაიხარჯა **11 მ. 50 კ.**, მაგრამ რაკი ასეთი ხარჯი გათვალისწინებული არაა მივლინების დებულებით, მთელი თანხა 11 მ. 50 კ. შეგვაქვს სამმართველოს სალაროში“.

ესეც ძალიან კარგი. არ იყო გათვალისწინებული და შეტანილია სამმართველოს სალაროში. მაგრამ სად გაგონილა, რომ მივლინებაში მყოფ კაცს იმდენი ბარგი ბარხანა წაეღოს თან, რომ მისი მხოლოდ ეტლიდან ვაგონში მიტანმოტანაზე **11 მანეთი და 50 კ.** დაიხარჯოს, მაშინ, როცა თითო ცალი ბარგის ზიდატანაზე 10 კაპ. დაწესებულია ფასად. ვთქვათ ორი შაურის ნაცვლად, როგორც ეს საზოგადოთ ხდება ხოლმე, ჩვენმა ხელგაშლილმა მგზავრმა გადამზიდავებს თითო აბაზი მისცა. ბარგის გადაზიდვა თითო ქალაქში ორ-ორჯერ შეუხვდა—ჩასვლა წამოსვლა. ამ ანგარიშით თითეულ შემთხვევაში მას 1 მან. 90 კ. ეხარჯება. აბაზის კვალობაზე ეს შეადგენს 9½ ნაჭერ ბარგს.

რა მიჰქონდა ამდენი მოსკოვში სამმართველოს უფროსს, ან რა მოჰქონდა ასე ბლომად მოსკოვიდან თბილისისაკენ?

აქ შეიძლება დაუშვათ ორი რამ: ან ანგარიშში შეტანილი თანხა ფიქტიურია, რაც ჩვენ არას დიდებით არ გვინდა დავიჯეროთ, ან და მოქალაქე უფროსს აუცილებელი ბარგი აუკიდია, რომელსაც, ყოველ შემთხვევაში საქართველოს გზა-ტკეცილებთან შორეული ნათესაური კავშირიც არ ქონიათ.

თანხა თავისთავად უმნიშვნელოა, მაგრამ ამ უმნიშვნელო თანხების საერთო ჯამმა მხოლოდ ერთი მივლინების დროს შეადგინა 47 მ. 50 კ., რომელიც დაუბრუნდა გზატკეცილების სამმართველოს ღარიბ სალაროს.

რამდენი ასეთი „უმნიშვნელო“ თანხები იძირება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დაწესებულებებში მივლინების დროს, ეს მხოლოდ მომჭირნეობის რეჟიმისათვის მებრძოლ ცენტრალურმა კომისიამ უწყოდეს.

ნ. გეკალი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

მავნე ჩვეულება

ბევრ ჩვენს წარმოებებში მუშა-მოსამსახურეებს თავიანთ წარმოების პროდუქცია საბითუმო ფასების მიხედვით, ან მნიშვნელოვანი პროცენტების დაკლებით ეძლევათ. ზოგიერთ შემთხვევაში კი იგივე საქონელი ეძლევათ მუშა-მოსამსახურეებს, როგორც ჯამაგირის ნატურალური დამატება. დღეს, როცა მომჭირნეობის რეჟიმი საყოველთაო და სავალდებულო ამოცანათაა აღიარებული, ეს საკითხი უთუოდ უნდა გადაისინჯოს.

„მოსკოვის „პრავდა“-ში (№ 128) ამხ. ხემოვი შემდეგს სწერს ამ მავნე ჩვეულების შესახებ:

„ეს ტრადიცია უთუოდ არ შეეფერება ჩვენს მომჭირნეობის რეჟიმის პოლიტიკას. საკავშირო მუშგლეხინის საკონტროლო-შემმოწმებელ სექტორის მიერ მოხდენილ გამოკვლევამ, რომელიც შეეხო 50 დაწესებულებას, დაგვანახვა, რომ მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში მუშათა კრედიტის გარეშე დაწესებულებათა თანამშრომლებზე საცალო ფასებზე 10—35 პროც. დაკლებით გაცემულია 430.000 მანეთის საქონელი, რაც შეადგენს 70.000 მანეთის დაკლებას, ამასთანავე საქონელი იცემა ნისიათ 2—6 თვემდე. მაგრამ დღემდე (შვიდი თვის განმავლობაში) გადახდილი არაა 150.000 მანეთიც, ე. ი. გაცემულ საქონლის ერთი მესამედი ფასი“.

ასეთი მდგომარეობა მხოლოდ 50 დაწესებულებებშია, მაგრამ რა სურათს მივიღებდით ჩვენ, რომ მუშგლეხინის შემოწმება დაწესებულებათა უმრავლესობას შეხებოდა?

„დაწესებულებათა სია,—სწერს ამხ. ხემოვი,—შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც საკმარისია. რამდენია ისეთი დაწესებულებები, სადაც მუშგლეხინის ფეხი არ დადგმულა? ადვილი წარმოსადგენია, რამდენი მილიონი იღუპება, ისეთი მილიონები, რომელთა გამოყენება სხვა სასარგებლო საქმეზე უფრო შეიძლებოდა, მით უფრო, ჩვენს აუარება სამეურნეო და ფინანსიურ სიძნელეთა პირობებში, როცა განსაკუთრებულ მომჭირნეობით გვიხდება საშუალებათა დაგროვება ჩვენი მრეწველობის აღმშენებლობისათვის. ამ უმსგავსობებას საზღვარი უნდა დაედოს. ადგილკომების ნეიტრალობა და სარევიზიო კომისიების სამარისებური სიჩუმე,—ყოვლად დაუშვებელია ამ საკითხში.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელისმოწერა ივნისისათვის

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ბოროტმოქმედება

ქუთაისი, 4 ივნისი. მილიციონერი ნაჭყებია გაგზავნილი იყო ქუთაისის დამზღვევ სალაროში, სადაც მას სალაროსათვის დახმარება უნდა აღმოეჩინა ფულის შეკრებაში. ყალბი დოკუმენტების შემწეობით ის აგროვებდა ფულს და ითვისებდა. ჯერ-ჯერობით გამორკვეულია, რომ მას 200 მანეთი აქვს მითვისებული. საქმე პროკურორს გადაეცა.

შაქრის მომარაგება

ახალსენაკი, 4 ივნისი. სამაზრო აღმასკომის სავაჭრო სექციამ შეიძინა 2.100 ფუთი შაქარი. გირვანქა შაქრის ფასი ერთი კაპეიკით შემცირდა.

მილიციის გადასინჯვა

ახალსენაკი, 4 ივნისი. სამაზრო აღმასკომმა შეადგინა კომისია, რომელმაც უნდა გადასინჯოს სამაზრო მილიციის პირადი შემადგენლობა.

სასოფლო-სამეურნეო კურსები

ახალსენაკი, 4 ივნისი. სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გახსნას აბაშაში ორკვირეული სასოფლო-სამეურნეო კურსები.

ყოველი თემიდან კურსებზე გაიგზავნება კარგი მეურნე გლეხი. კურსებს საერთო ხელმძღვანელობას აგრონომიული განყოფილება გაუწევს.

ნათესების მდგომარეობა

ლიუქსემბურგი, 4 ივნისი. წვიმებმა გააუმჯობესა ნათესების და ბაღების მდგომარეობა. ბალების მიხედვით მომავალისათვის მდგომარეობა ასეთია: ხორბალი 3,5, ქერი 3,5, შვრია—4, ჭვავი—4, ბამბა—3, ბალჩა—3, ვენახები—3,5, ხეხილი—3,5, კარტოფილი—3.

ალაგ-ალაგ სეტყვა მოვიდა. ზარალს არკვევენ.

აფხაზეთი

საწვრიმალო ფასების დაკლება

სოხუმი, 4 ივნისი. აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდა საწვრიმალო ფასების დამკლები რესპუბლიკანური კომისია; კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ნესტორ ლაკობა. ამავე დროს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან დაარსდა სპეციალური კომისია იმ საკითხების გასაშუქებლად, რომელნიც რესპუბლიკანურმა კომისიამ უნდა განიხილოს.

წერილები

ფეხზე უნდა დავაყენოთ

(ჩვენი ოზურგეთელი კორესპონდენტისაგან)

გურიაში ზოგიერთი „ეპოები" გაკოტრების გზაზე დგანან. ეს ავადმყოფობა გასულ წელს პირველად დაეტყო ლანჩხუთის „ეპოს", რომელსაც 36.000 მან. ზარალი აღმოაჩნდა. მაგრამ თამასუქების ვადის გაგრძელებით და ახალი გრძელვადიანი სესხის მიღებით მან არსებობა შეინარჩუნა. ასეთივე დახმარება გაეწია სუფსის „ეპოსაც", რომელსაც გადაეწერა 15.000 მანეთის ვექსილი გრძელი ვადით. მერყევ მდგომარეობაშია ჯუმათის, საჭამიასერის და ნაგომრის „ეპოები". ამათ შორის განსაკუთრებით დაეცა ნაგომრის „ეპო".

რამ გამოიწვია მისი დაცემა?! დღიდგან დაარსებისა იქ მოხდა ოთხი გაფლანგვა, რაც უდრის 8.000 მანეთს. დამნაშავენი პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი, მაგრამ ამ თანხის განაღდება შეუძლო გახდა. ამ უკანასკნელ გაფლანგვების გამო გამგეობის 2 წევრი: პ. მახარაძე და ხ. სტეფანია დაპატიმრებული იქნენ, რამაც, მომუშავების უყოლობის გამო, უფრო გაართულა მდგომარეობა. საქმის უპატრონობის გამო თამასუქები პროტესტში წავიდა და ამრიგად დადგა ყოფნა-არყოფნის საკითხი.

გურიის კომიტეტმა და სამაზრო აღმასკომმა ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება. გაითვალისწინა რა, რომ ნაგომარი არის ეკონომიური ცენტრი, რომლის „ეპოც" აერთიანებს 5 თემს და მიიღო რა მხედველობაში ისიც, რომ ამ „ეპო"-ს შეკავშირებული ყავს 1.500 წევრი—დაადგინა: მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი ასენებული „ეპოს" ლიკვიდაცია.

ეთხოვოს ს. კ. პ. ცეკასთან არსებულ კოოპერატიულ საბჭოს ნაგომრის „ეპოს" გაუგრძელოს ვადა 10.000 მანეთის თამასუქებისა რამოდენიმე თვით და მიეცეს ამავე „ეპოს" გრძელ ვადიანი სესხათ 10.000 მანეთი. ამ „ეპოს" ფეხზე დაყენების მიზნით სასწრაფოდ გაგზავნილი იქნეს ნაგომრის „ეპოში" სამუშაოდ ამხ. ევტიხი კაცაძე. დაევალოს მასვე შეამციროს შტატი მინიმუმამდე.

თუ აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება, ამხ. კაცაძის გამოცდილ ხელმძღვანელობით ნაგომრის „ეპო" ერთი წლის განმავლობაში საკუთარ ფეხებზე დადგება. მას ამ სეზონის პარკის ოპერაცია 1500 მანეთს აძლევს. საზოგადოება აბრეშუმიდგან „ეპომ" უნდა მიიღოს 2.500 მანეთი.

ქ. უჯამაჯურიძე.

მივბაძოთ გერმანელ გლეხებს

(სართიჭალა, გარე-კახეთი)

ქართველ სოფელთან ერთად ამ თემში შედის გერმანელთა ახალშენი.

გერმანელებს მთელი სახლები ერთ გეგმაზე აქვთ აშენებული. თითოეულ მეკომურს თავისი ეზო-კარმიდამო მშვენიერად შემოფარგლულ და შემოფიცრული აქვთ. ყოველ სახლს თავისი საწრეტი და შემოსავლელი ატანია, რომ წვიმამ, ნიაღვარმა, ან ცეცხლმა არ დააზიანოს, საქონლის თავლა-ბოსელი და ქინახულის შესანახავი იქვე გვერდით აქვთ, რომ ყოველ წუთს შესაძლო იყოს მეთვალყურეობა.

სამაგიეროთ აქვე მცხოვრებ ქართველ გლეხობას ქოხმახები ერთიმეორეზე აქვთ მიყრილი, უგეგმოდ, უმეტესად ჩალით გადახურული. ეზოები ძეძვით შემოღობილი აქვთ.

ამ რამდენიმე წლის წინად ერთმა წერაკითხვის უცოდინარმა, მაგრამ შეგნებულმა გლეხმა, ალ. გემგაშვილმა, რომელსაც გლეხური კარგი ცხოვრება სხვა ქვეყნებშიაც ენახა და ადგილობრივ გერმანელებისგახაც მიეღო ცოდნა, ისეთი სახლი ააშენა, რომ ავ თვალს არ ენახვებოდა.

აქ უნდა გაჩაღებულიყო გონივრული სამეურნეო ცხოვრება, აღმშენებლობითი მუშაობა.

იმის მაგიერ, რომ ამ გლეხისთვის ხელი მოემართნათ, მისი სახლის კედელზევე მეზობელმა გლეხმა ჩალური ქოხი მიადგა, ცხვირის წინ სამზარეულო ჩაუდგა,—ერთის სიტყვით ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული ბეჯითი გლეხის შესავიწროებლათ.

ალ. გენგაშვილი ეუბნება სოფელს, ჩემი შენობა სოფლის კოოპერატივისთვის ზედმისწრებაა, ან სხვა საზოგადო მიზნისთვის, აიღეთ ნახევარ ფასად დაგითმობთ, ხოლო თუ ამას არ ისურვებთ, ჩემს მომიჯნავე გლეხს ორჯერ მეტს ადგილზე გადავიყვან, ჩალურის მაგიერ ქვიტკირის სახლს ავუშენებ, ოღონდ მოსალოდნელ უბედურებისგან მეც გადავრჩე, იგიცა და სოფელიცო.

ადგილობრივ შერეულმა კომისიამ გენგაშვილის განცხადება სამართლიანად სცნო, მაგრამ ეს განცხადება დღესაც არაა მოყვანილი სისრულეში. ვფიქრობთ, რომ ხელისუფლება ასეთ წამოწყებებს გლეხებსშორის ხელს შეუწყობს, რითაც დიდ სამსახურს გაუწევს სოფლის ეკონომიურათ და კულტურულათ წინმსვლელობას.

სოსია გარეკახელი.

დროზე მოგვაწოდეთ.

(სოფ. დიმი, ქუთ. მაზრა).

ქუთაისის მაზრაში წელს ვენახებს კარგი პირი უჩანს, მაგრამ ბაზარზე წელს ნაკლებად სჩანს შაბიამანი, გოგირდი, ვენახის სარწყავი მანქანები და მისი ნაწილები. როგორც ეტყობა, არც კოოპერატივებს აქვთ მისი მარაგი, რომ გლეხობა დააკმაყოფილოს.

უკვე ვენახები კარგა ხანია მოსარწყავია და ეს მასალები კი არ იშოვება. გლეხობა გაფაციცებით დარბის და დაეძებს შაბიამანს, გოგირდს, ვერმორელს და მის ნაწილებს, მაგრამ ვერ შოულობს.

საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ამ საკითხს სერიოზული ყურადღება მიექცეს, რათა მშრომელი გლეხობა არ დარჩეს უწამლოდ და უმანქანოთ.

დიმელი.

წერილებიდან

ს. ოჯოლანი (ახალც. მ.)

როდის უნდა მოთავდეს? მთავარ საბაჟომ გახსნა კრედიტი ს. ოჯოლანში საბაჟოს სადარაჯოს ასაშენებლათ. შენობის აგებას ხელი მოჰკიდა მაზრის კომუნალურ განყოფილებამ, რომელმაც სახლი სანახევროთ გააკეთა და შემდეგ მუშაობა შეაჩერა, რადგან ფული აღარ აღმოჩნდა. ამდენი ნაშრომ-ნაწვალები ქრება დღეს უპატრონოთ პარტახდება. გარდა ამისა, სადარაჯოს აშენებაზე იმუშავა გლეხებმა, რომელთაც მისაღები აქვთ ორას მანეთამდე და უკვე ექვსი თვე გადის, ფულს არავინ აძლევს. მთავარ საბჟოს სამმართველომ, მიიღოს ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლათ.

ჯვარცმელი.

ლეხაინდრაო-ოქოლიის თ. (ხონ. მ.)

ვაჭრები უნდა აილაგმონ. ჩვენს თემში ძალიან მომრავლდნენ ჩარჩ-ვაჭრები. ორი წელიწადია ისინი უპატენტოთ ვაჭრობენ. გარდა ამისა თუ ვისმე აქვს საწვრილმანოს პატენტი, ის ღვინითაც ვაჭრობს. დროა სამფინგანმა მოხედოს ამ თემს.

ღარიბი.

ს. კოლხიდა (გაგრის მ.)

გამგე არ გვივარგა. გვაქვს ქოხ-სამკითხველო, მაგრამ ის არც ერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთს არ ღებულობს. გამგეც თავს არ იწუხებს ამით მაინც და მაინც. თუ გაზეთები არ იქნება, მას მუშაობაც მოაკლდება. ამგვარი სამკითხველო ვის, რათ გამოადგება?

იქაური.

ს. ბუგეული (რაჭის მ.)

ბუაძე თავლიობს. ქოხ-სამკითხველოს გამგე ბუაძე ხშირათ არ ცხადდება სამსახურში. გასაღებს აძლევს მილიციელს, რომელსაც ავალებს სამკითხველოს გაღებას. ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია.

ეშმაკი.

ერწოს რაიონი (თბ. მაზრა).

ჭირი მოვსპოთ. მსხვილფეხა საქონლის ჭირი ერწო-თიანეთში მოსპობილია. ეზოები, სადაც ჭირი აღმოჩნდა, დაბეჭდილი და დალუქული იყო, მთელ რაიონში სასტიკი კარანტინი იყო მოწყობილი. აცრამდე დაბეჭდილ ეზოებში დაეცა 5 სული. 10 მაისს 506 სული საქონელი აიცრა. აცრის შემდეგ ავადმყოფობა და დაცემა საქონლისა არ მომხდარა. ასე რომ რამოდენიმე დღის შემდეგ კარანტინი ამ რაიონებში მოხსნილი იქნება.

იუსტინეხშვილი.

სურების რაიონი (გურია).

კონტრაბანდისტებმა აგვიკლეს. წინათ აქ იყო რაიმილიცია, რომლის შიშით კონტრაბანდისტობა ფეხს ვერ იკიდებდა. ამ ბოლო ხანს მილიცია რატომღაც მოხსნეს და კონტრაბანდისტებმა აიკლეს სურების რაიონი. ყველგან და ყოველთვის კონტრაბანდაზეა ლაპარაკი. ერთმა კულაკმა მითხრა: „ზოგს ბედი სწყალობს, ზოგს უბედობა,—ერთი ქალიშვილი მყავდა, ისეთ კონტრაბანდისტს გავატანე, სახლში თოფ-თოფათ რომ უწყვია შევიოტები"-ო. დროა მაზრის მილიციამ მოხედოს ჩვენს რაიონსაც.

მუშაკი.

შუა-სურები (გურია).

მონარდე ნოქარი. გვაქვს კოოპერატივი, მაგრამ ის ბევრათ არაფრათ გვარგია. ნოქარი მეზობელ სასადილოში სულ ნარდს თამაშობს, კოოპერატივი კი გამოკეტილია. თუ მიხედე და სთხოვე წაყოლა, შემოგყვირებს: „რა შავ ფეხზე მოხედი, დოშაშ გავაგორებდი და ეხლა დუიქე დამჯდა, წეღან რომ ვიყავი კოოპერატივში, რატომ მაშინ არ მოდი"-ო.

ტიტრამ.

ზესტაფონი.

გიორგობის მსხვერპლი. ამას წინათ წვრილი ცოლშვილის პატრონი მოქ. გოგიაშვილი გაემგზავრა მახლობელ სოფელში გიორგობის დღესასწაულზე. აქ, როგორც საზოგადოთ ხდება, გოგიაშვილი ძალზე დათვრა და სახლში დაბრუნებისას გადავარდა მდინარე ყვირილაში, რომელმაც ის დაახრჩო.

თედო ცინცაძე.

ლანჩხუთი.

დანელიას ცემა უყვარს. მასწავლებელ დანელიასაგან ისე არიან დაშინებულადგილობრივი ცხრაწლედის მოწაფეები, რომ თვალის გასწორებასაც ვერ უბედავენ. ამას წინათ გაკვეთილზე დავვიანებისათვის მან ისე წაუჯიკავა მოწაფე სერგო ბარამიძეს, რომ საბრალო ბავშვი ორ საჟენზე გაცურდა. ვინ დანიშნა ასეთი უხეში კაცი მასწავლებლად ლანჩხუთის ცხრაწლედში?

ახელი.

თერჯოლა (შორ. მაზრა).

წერკუმის ფული რა იქნა? ჯერ იყო და შარშან დაიკარგა უგზო-უკვლოდ წერკუმის სასარგებლოდ შეკრებილი 30 მანეთი. წელს შეაგროვეს 40 მანეთი და არც მისი ბედი იცის კაცმა. როდის მოეღება ბოლო ასეთ მდგომარეობას?

სტუმარი.

მუშათა ცხოვრება

დუშეთის საბავშვო ახალშენის თანამშრომლებში

(წერილი ქ. დუშეთიდან)

ქ. დუშეთში არსებული თბილისის საბავშვო ახალშენში არის სამოცდა ხუთამდე თანამშრომელი. ამათში 19 პედაგოგიურ დარგში მომუშავეა, ხოლო დანარჩენნი კი ტეხნიკურის. აქვე არსებობს განათლების მუშაკთა კავშირის მეორე ადგილკომი, რომელიც ამ თანამშრომელთა ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება. უნდა ითქვას რომ ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. გაჩაღებულია კულტურული მუშაობა. სახელდობრ: ჩამოყალიბებულია დრამატიული წრე, რომელიც დროგამოშვებით მართავს საღამო წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნით, ეწყობა ლიტერატურული გასამართლებები, არსებობს სხვადასხვა საზოგადოებრივი უჯრედები, როგორიც არის მაგალითად: „წერკუმსი", „ავიოქიმი". „რემედასი" და სხვა.

ადგილკომის ხელმძღვანელობით თანამშრომლები ახლო მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ მუშაობაში. ერთი თვის წინეთ ადგილკომის ხელმძღვანელობით გაიმართა საღამო-წარმოდგენა, რომლის შემოსავლიდან 20 მანეთი გადაიდო „წერკუმსის" სასარგებლოდ, რაიც ვადაეცა დანიშნულებისამებრ დუშეთის „წერკუმსის" სამაზრო გამგეობას. 10 მანეთი კი გადაიდო ღარიბ პიონერთა კოლექტივის სასარგებლოდ. ადგილკომის მუშაობაში არის ნაკლიც, რაც უნდა გამოასწოროს მანვე.

მაგალითად: კავშირის წევრებს და, განსაკუთრებით კი, ტეხნიკუმის თანამშრომლებს არა აქვთ ელემენტარული წარმოდგენა პროფკავშირის წესწყობილებაზე და წესდებაზე; საჭიროა ჩამოყალიბებული იქნას პროფწრე.

კავშირის წევრების ძალიან მცირე რიცხვს აქვს გამოწერილი გაზეთები. გაზეთები თავის დროზე არ მოდის, რაც იწვევს თანამშრომელთა შორის უკმაყოფილებას. ადგილკომმა უნდა მოაგვაროს გაზეთების მიწოდების საკითხი და უნდა დააინტერესოს კავშირის წევრები გაზეთის გამოწერაში.

აქ გამოდიოდა კედლის გაზეთი, მაგრამ კავშირის წევრთა მიერ მასალების მიუწოდებლობის გამო გაზეთი ვერ გამოდის სისტემატიურად და გამოდის მხოლოდ რომელიმე რევოლიუციონურ დღესასწაულებთან დაკავშირებით.

საჭიროა ყოველივე ნაკლის გამოსწორებაზე იზრუნოს ადგილკომმა.

ი. კალანდაძე.

მოაგვარეთ ეს საკითხი

ქუჩებზე მომუშავე ტვირთმზიდავ მუშებს შორის ძალიან ხშირათ, თითქმის ყოველ დღე დიდ ჩხუბსა და აყალმაყალს აქვს ადგილი, განსაკუთრებით მე-10 სამილიციო რაიონში კამოს, პლეხანოვის და ყოფ. ტატიანის ქუჩებზე. ზოგჯერ საქმე იქამდე მიდის რომ ოცი ოცდა ათი მუშა დაერევიან ერთიმეორეს და კეტებით თავპირს ამტვრევენ.

ამის მიზეზია შემდეგი: მუშების ერთი ნაწილი კავშირის წევრებია, მეორე ნაწილი კავშირს გარეშე მუშაობს. კავშირის წევრი მუშები არა წევრებს სამუშაოს არ ანებებენ და ამ ნიადაგზე იმართება ჩხუბი და უბედურება. ზოგჯერ ასეთ ჩხუბს უფრო ამწვავებენ ზოგიერთი კავშირის წარმომადგენლები საკითხისადმი უხეირო მიდგომით. ისინი მუშებს ეუბნებიან: თქვენ კავშირის წევრები არა ხართ და მუშაობის უფლება არა გაქვთო! ეს გარემოება უფრო აღიზიანებს მუშებს.

ასე საკითხისადმი მიდგომა არ ვარგა. ერთმა მუშამ ასე სთქვა: მუშურ ქვეყანაში მუშაობას გვიშლიანო! როგორ შეიძლება ქუჩის მუშას მუშაობა აეკრძალო, როდესაც მას სხვა საარსებო წყარო არ გააჩნია.

ეს საკითხი პროფკავშირთა საბჭომ დროზე უნდა მოაგვაროს თორემ აქ შესაძლებელია რაიმე უბედურება მოხდეს.

მუშკორი დ. გორდაძე.

საფეიქრო ტრესტის ფაბკომის გადარჩევა.

ამ დღეებში ტრესტის კლუბის დარბაზში შესდგა ფეიქართა პროფკავშირის წევრების საერთო კრება ფაბკომის ახლად ასარჩევად. კრებაზე გამოცხადდა მუშა-მოსამსახურეთა 90 პროცენტი.

კრების გახსნამდე მუშებს ჯგუფ-ჯგუფად მოეყარათ თავი და მსჯელობდენ ახალ ფაბკომში ასარჩევ ამხანაგებზე.

პირველად მოსმენილ იქნა ძველი ფაბკომის და სარევიზიო კომისიის ანგარიში. მოხსენებათა გარშემო გაიმართა ცხარე კამათი. შემოვიდა 60-მდე შეკითხვა და გამოვიდა 10 ამხანაგი, რომელნიც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდენ ძველი ფაბკომის მუშაობას და აღნიშნავდენ აგრეთვე მუშაობის დადებით მხარეებსაც.

ფაბკომის და სარევიზიო კომისიის მუშაობა კრებამ ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და ახალ ფაბკომს მისცა მტკიცე დავალება—გამოასწოროს ძველ მუშაობაში არსებული დეფექტები.

არჩევნების დასაწყისში კავშირის ცენტრალური გამგეობიდან ამხ. ვლ. მესხი მოუწოდებს კრებას—თითეული კანდიდატი ყოველმხრივ შეაფასონ მათი საქმის უნარიანობის მიხედვით, მით უმეტეს, რომ ფაბკომი ირჩევა 1 წლით.

შემდეგ ახალ ფაბკომში არჩეულ იქნა 7 წევრი და 2 კანდიდატი.

სარევიზიო კომისიაში სამი ამხანაგი.

ფაბკომის თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ამხ. ძაგნიძე.

კ.—ია.

ვინ მოაშლევინებს „ნათლიმამობას" ამ „მოხელეს"?

მთავარ სახელოსნოს მთავარ კანტორაში მუშაობს რამოდენიმე ქალი რემინგტონის საბეჭდავ მანქანაზე, რომლებიც ღებულობენ ტარიფის მიხედვით ჯამაგირს მეცხრე თანრიგით. მაგრამ მათ შორის არის „ბედნიერი" ქალი—ქელბაქიანისა, რომელიც ღებულობს ჯამაგირს მეთორმეტე თანრიგით და აგრეთვე ყოველთვიურად ჯამაგირის გარდა იღებს ზედმეტი მუშაობისათვის, რაც შეადგენს არა ნაკლებ ძირითადი ჯამაგირის 50 პროცენტს. ის ფაქტიურად ზედმეტს მუშაობს თუ არა, ალაჰმა უწყის.

რას ნიშნავს ეს. თუ არა „ნათლიმამობას"? სხვა მემანქანე ქალები თუ უკეთესად არ მუშაობენ, ყოველ შემთხვევაში მას, ქელბაქიანს, არ ჩამოუვარდებიან. მაშ, რაშია საქმე?

ალბად გვიპასუხებს თვით სახელოსნოს უფროსი მოქ. მაისუროვი, რომლის განკარგულებაშიაც არიან ყველა მუშა-მოსამსახურეები და ბუხჰალტერი მუმლაძეც.

მუშკორი ჰაჰი.

„შრომის" ქუჩაა, თუ ღორების?

არის ქუჩები, რომელნიც ატარებენ შესაფერ სახელს, მაგ., ბაზრის ქუჩა იმიტომ ჰქვიან ერთ ქუჩას, რომ იქ მართლაც ბაზარია და სხვ. მაგრამ მე მიკვირს და მგონია გასაკვირიც არის, თუ რატომ ჰქვიან ამ ქუჩას მისთვის შეუფერებელი სახელი „შრომის ქუჩა"?! მე მგონია, რომ უფრო შესაფერისი იქნებოდა, რომ მისთვის დაერქვათ „ღორების ქუჩა". და აი რატომ. ხსენებულ ქუჩაზე, სახ. № 45-ში, ცხოვრობს მეეტლე ვინმე აბრამა, რომელსაც ჰყავს ცხენები და ღორები.

დადიან ეს ღორები, სთხრიან, ღრუტუნებენ, აბინძურებენ იქაურობას. თვითონ აბრამას ეზო ხომ ისე ჰყარს, რომ კაცი ახლო ვერ გაუვლის.

— მოსპე, კაცო, ეს ღორები, რად გინდა, რომ ინახავ?!—ეუბნებიან მეზობლები.

— შნო მაქვს და იმიტომ ვინახავ. თუ შნო გაქვთ, თქვენც შეინახეთ!—უპასუხებს მათ თავხედი მეეტლე.

— კაცო! ჰყარს აქაურობა, კაცს არ დაედგომება ამ სიბინძურეში!

— არაფერიც არა ჰყარს. თქვენ ისე გეჩვენებათ, რომ ჰყარსო, მაგრამ შემცდარი ხართ; ღორი და სიბინძურე ვის გაუგონია!—ასეთი პასუხით უმასპინძლდება ბატონი მეეტლე აბრამა თავის მეზობლებს, რომელნიც მზად არიან გადასახლდენ სადმე ამ ღორებისაგან გაბინძურებულ ქუჩიდან.

მილიცია, მოარჯულე ეს ურჯულო მეეტლე!

მუშა ნ. ასლი.

მცხეთის სახალხო თეატრი.

დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, მცხეთაშიაც გახსნეს თეატრი. თეატრის შენობა მოხდენილ ადგილზეა აშენებული. მაგრამ, როგორიც საჭირო იყო, ისეთი თეატრი ვერ მოეწყო. რომ შეუშალა ხელი, ეს გამოურკვეველია. შენობა ძლიერ უშნოთ და ულაზათოდ არის აჩოხმახებული; ჭერიდან ყოველ კუთხეში წვიმიან დღეში წყალი ჩამოდის. წყლისაგან ჩანოტიოებულია მთელი თეატრის დარბაზი. კლუბის გამგე, თათარაშვილი, ცდილობს როგორმე შეასწოროს ეს ნაკლი, მაგრამ რა შეუძლია მარტო ცდას, თუ მას ხელს არ უწყობს ეკონომიური მდგომარეობა.

საჭიროა ყურადღებით მოპყრობა და თეატრის გაუმჯობესებისათვის ენერგიული შრომა.

თუ ასე არ იქნება, მაშინ მცხეთის თეატრი სრულიად ზედმეტი ბარგი იქნება.

მუშკორი ა. გვ—ძე.

მოგვაშორეთ ეს თავხედი დედაკაცი.

ლენინის უბანში, საბჭოთა შესახვევში, სახ. № 10, ცხოვრობს კაპასი დედაკაცი სოფიო ელიზბარის ასული შალამბერიძისა. მისგან აქაური მუშა და მუშის ცოლშვილი ძალზე შეწუხებულია. ეს კაპასი ქალი აგინებს ბინძური და ქუჩური სიტყვებით. იგი მაშინ უფრო ბრაზდება, როდესაც არავინ არ ეკამათება. ამ დროს ეზოში ბავშვებს დაუწყებს ცემას და თან გაიძახის: „ეხლა მაინც არ გამობრძანდებით გარეთ, რომ დაცვა?".

მილიციამ უნდა მიიღოს ზომები ამ კაპასი ქალის ასალაგმავად.

მუშა მ. დამურა.

გათავხედდნენ დალალ-მაკლერები.

ეს თავისებური ჯურის ხალხი წინათაც იყო და დღესაც არის. ჩალიჩობენ უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაზე და გასამრჯელოს იღებენ.

თითქმის ყველა უბანშია ეს უპატენტო ამქარი, უფრო სახლების გაყიდვა-შესყიდვას მისდევს იგი და ამაში „ინტელიგენტები" და ქალებიც ურევია. რასაკვირველია, კეთილსინდისიერი და სამართლიანი შუაკაცობა და შუამდგომლობა კარგი საქმეა ზოგიერთ შემთხვევაში. მაგრამ მუშა-მოსამსახურეთა ნდობის ბოროტად გამოყენება არავის ეპატიება.

აქა-იქ უკვე ისმის ჩივილი და გოდება ზოგიერთი დანდობილ მუშისა „მოტყუება-ჩათრევაზე" საბრალო საქმეებზე და ხელშეკრულებებში. დალალი კი მიმალულა, თავისთვის უშველია.

ყოფილა ამნაირი შემთხვევა: მშრომელისთვის დაუქირავ მაკლერს „გასამრჯელო-საკომისიონერო" და საგანი კი არა, თვითონ მაკლერიც ველარ მოუნახავს.

ეს ხალხი ასე მოტყუილებით კარგა ბლომა ფულებს ხვეტავს.

საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ შანტაჟისტობას.

ჰალარა ვანო.

ყვისყვიაზე ა.ო სუვოზგ უვოჯ ო უვო უვო

კაკას ომები.

მლიუტინის ქუჩაზე, სახ. № 7-ში, მცხოვრებ მოქ. კაკა ზარიძისა დიდი ომხუბარი დედაკაცია. დღეს არ გაატენს ისე, რომ ვინმე არ მონათლოს თავისებურათ და ლანძღვა-გინებით არ გაუმასპინძლდეს მას. ხანდახან გვარიანი მოტკეპნაც იცის იმ განსხვავებით, რომ, თუ მოზრდილს ვერ მოერია, პატარაზე, ე. ი. ბავშვზე იცის „გულის ჯერება".

ამას წინეთ არც ექიმი ჯაფარიძე დასტოვა მან ყურადღების გარეშე და მასაც გაუმასპინძლდა თავისებურათ. ჯაფარიძემ ხმა არ გასცა, რაზედაც ჩვენი კაკა უფრო გაწიწმატდა და გული ჯაფარიძის ბავშვზე იჯერა. კაკა ეზოში ქვაბს ადუღებდა, სადაც იქვე ბავშვებიც თამაშობდენ, ერთ-ერთი ბავშვი, სახელდობრ, ჯაფარიძის, მივიდა კაკასთან და თამაშობა დაუწყო ბავშვურად, კაკემაც თავისებურად გაუხუმრა. ამოიღო ქვაბიდან მდუღარიანი ტილო და ბავშვს დაადო... ბავშვი ექიმთან წაიყვანეს...

მილიციავ, ასწავლე ჭკუა შინებურად „ქალბატონ" კაკას.

მუშკორი ზღვისპირელი.

პროფკავშირებში

შენიშვნები

კითხვა-პასუხის საღამოები

მუშათა მასის გათვითცნობიერებისა და პროფესიული აღზრდისათვის კითხვა-პასუხის საღამოებს აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც მასიურ კულტურულ მუშაობის ერთ-ერთ დარგს. ამიტომ სრულებით არ არის გასაკვირი, რომ საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკების უზარმაზარ ტერიტორიაზე თითქმის ყოველ წარმოება - დაწესებულებაში სისტემატიურად იმართება ასეთები. მუშა-მოსამსახურეები იჩენენ ყოველგან დიდ აქტივობას და ინტერესს აღნიშნულ საღამოებისადმი. ჩვენში კი, სამწუხაროდ, ეს საღამოები იშვიათად თუ სადმე ეწყობა ხოლმე, და ისიც მუშათა კლუბებში და არა თვით დაწესებულებაში, სადაც მუშები მუშაობენ და რომლის (დაწესებულების) საქმიანობის და საერთო მდგომარეობის გარშემო უნდა იმართებოდეს ასეთები.

კითხვა-პასუხის საღამოებმა ჩვენში ძალაუნებურად მიიღეს საკლუბო და საჭრამოო თათბირების მუშაობის ხასიათი, ვინაიდან ეს მუშაობა ჩვენში ძალზე მოისუსტებს. მასთან, აღნიშნულ საღამოებზე იმართება ხშირად დაუსრულებელი კამათი მუშა-მოსამსახურეთა და ადმინისტრაციას შორის და გამოაქვთ სხვადასხვაგვარი დადგენილებები და სხვ. ეს კი აღნიშნულ საღამოებს უკარგავს აღმზრდელობით ხასიათს; დაიბა იქცევა არა სასიამოვნო და ხშირად ორივე მხრით მოსაწყენ მოვლენათ, სადაც მუშები ცდილობენ „უკბინონ" ადმინისტრაციას ამა თუ იმ დეფექტზე, ან „უკანონობაზე" მითითებით და თავის მხრით თვით ადმინისტრაციაც ცდილობს მოუთითოს მუშებს მხოლოდ დანაშაულზე და სხვ.

ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ რატომ გაურბიან ჩვენში ადმინისტრატორები კითხვა-პასუხის საღამოებს და რატომ თვით მუშებშიც მათ ვერ მოიპოვეს სათანადო პოპულარობა და ნდობა.

საჭიროა ჩვენმა უმაღლესმა პროფორგანოებმა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ: 1) კითხვა-პასუხის საღამოები მოეწყოს ყველა ფაბრიკა-ქარხნებთან და ადგილკომებთან, 2) მათ მიეცეს მეგობრული საუბრის და რჩევა-დარიგების ხასიათი და 3) თვით მუშათა შეკითხვები და ადმინისტრაციის პასუხები უნდა ეხებოდენ მიმდინარე წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიურ საჭირბოროტო საქმეს და სხვ.

ვინმე კეთილი.

არც ესაა მოსაწონი.

ჩვენი პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა საქმიანობაში ხშირია ასეთი მოვლენები: მოდის, მაგალითად, ფაბრ-ქარხკომის და ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი, ან და კავშირის უბრალო წევრი ც. გ—ში; სურს ნახოს გამგეობის პასუხისმგებელი წევრი, გამოელაპარაკოს მას საჭირბოროტო საკითხებზე და მისგან მიიღოს სათანადო რჩევა-დარიგება. მაგრამ იშვიათია ისეთი „ბედნიერი" დღეები, როდესაც მას დახვდებიან ადგილობრივ გამგეობის წევრები და დაუყოვნებლივ [illegible] მისცემენ პასუხს. ხშირად კი რჩევისათვის მოსულ ამხანაგებს უხდებათ საათობით ცდა. გამგეობის წევრები ან ჯერ კიდევ (თუმცა უკვე 10—11 საათია) არ გამოცხადებულან სამსახურში, ან და იმყოფებიან გამგეობის სხდომაზე. ასეთი მოვლენები ყოვლად დაუშვებელია. პროფსაბჭომ უნდა მიიღოს ამის წინააღმდეგ ზომები.

პროფმუშაობის ქრონიკა

აფხაზეთის პროფსაბჭოში.

— **იურიდიული ბიურო.** აფხაზეთის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა საბჭოსთან არსებული იურიდიული ბიუროს შტატი გაადიდოს სამ კაცამდე.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** აფხაზეთის პროფსაბჭომ დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები კავშირის წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.

— **საკლუბო მუშაობის გასაცხოველებლად.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა დათვალიერებულ იქნეს ყველა კლუბები და წითელი კუთხეები მათში მუშაობის გასაძლიერებლად. საბჭომ გადასწყვიტა ამასთანავე ყოველთვიურად გამართოს კლუბების გამგეობათა თათბირები ყველა საკლუბო საკითხების გასარჩევად.

— **კულტმუშაკების თათბირი.** საბჭომ გადასწყვიტა მაისში მოიწვიოს სრულიად აფხაზეთის კულტმუშაკთა თათბირი ჩატარებულ მუშაობის გამოსარკვევად და საზაფხულო კულტმუშაობის გეგმის გამოსამუშავებლად.

— **სასპორტო მოედანი.** საბჭომ დაადგინა ახლო მომავალში მოაწყოს ფიზკულტურის მოედანი „ტირი"-თ და საბანაოებით ქალაქ სოხუმში.

— **მუშკორთა წრეები.** საბჭომ დაადგინა კავშირებთან დაარსებულ იქნეს მუშკორთა წრეები.

— **საკავშირო თანხების გაფლანგვის საქმეები.** საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა საკავშირო თანხების გამფლანგველების საქმეების გარჩევის დროს საზოგადო ბრალმდებლად გამოვიდნენ კავშირების წარმომადგენლები.

— **საგამომცემლო განყოფილების დაარსება.** პროფსაბჭოს გადაწყვეტილი აქვს დაარსოს პროფსაბჭოსთან სარედაქციო - საგამომცემლო განყოფილება.

საქ. მბეჭდავთა კავშირში.

— **საზაფხულო კლუბისათვის.** კავშირმა გადასწყვიტა მიიღოს ზომები და ჩაატაროს მუშაობა საზაფხულო კლუბის მოსაწყობად.

— **პროფტეხნიკური განათლებისათვის** კავშირის გამგეობამ საჭიროდ სცნო წევრებისათვის საღამოს პროფტეხნიკური სკოლის გახსნა.

წითელ ჯარში

კავშირი ნაწილსა და ცვალებად წითელ არმიელთა შორის

ცვალებადი წითელი არმიელი შეკრების დამთავრების შემდეგ მიემგზავრება თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. იგი მეორე შეკრებამდის მოწყვეტილია ამ სამხედრო ნაწილს, რომელზედაც არის მიწერილი. მეორე შეკრებამდის მას შეიძლება სრულიად დაავიწყდეს ის სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, რომელიც შეიძინა ყაზარმაში. უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება ფსიქოლოგიურად სრულიად მოსწყდეს ყაზარმას და გასწყვიტოს მასთან ყოველგვარი კავშირი.

მთავარი საკითხი; რომელიც სდგას ტერნაწილების წინაშე შეკრების დამთავრების შემდეგ, არის კავშირის დამყარება ცვალებადელებთან. ამ კავშირის მიზანია არ მისცეს საშუალება ცვალებადელს მოსწყდეს ყაზარმას და იყოლიოს იგი თავის გავლენის ქვეშ.

როგორ ხორციელდება ეს კავშირი ჩვენ სინამდვილეში?..

ნაწილი, რომელსაც ჰყავს ცვალებადელნი, გზავნის რეგულარულად ცვალებადელთა საცხოვრებელ ადგილებში სამხედრო და კედლის გაზეთებს და აწარმოებს მათთან მიწერ-მოწერას. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა: გაზეთები და წერილები აგონებენ ცვალებადელებს, რომ თუმცა დღეს-დღეობით ისინი იმყოფებიან სახლში და ეწევიან მშვიდობიან შრომას, მაგრამ ამავე დროს ისინი არიან წითელ არმიელნი, რომელნიც ყოველთვის მზად უნდა იყვნენ.

ამის გარდა შემოღებულია ცოცხალი კავშირი. დრო გამოშვებით ნაწილის მეთაური და პოლიტმუშაკი მიემგზავრებიან ცვალებადელებთან. ამ გამგზავრებას იყენებენ ცვალებადელების მუშაობის და ყოფა-ცხოვრების გასაცნობად. ამავე დროს ეწყობა ცვალებადელების კრებები და კონფერენციები.

ყაზარმაში ხშირად მოდის წერილი ამა თუ იმ ცვალებადელისაგან. ცვალებადელი იწერება შეატყობინონ ნაწილის ცხოვრება-მუშაობა და ახალი განკარგულებები ტერსისტემაში. გვთხოვენ აგრეთვე მივცეთ დარიგება სწავლებაში და ითხოვენ სახელმძღვანელო წიგნებს.

ხშირად თვით ცვალებადელნი მოდიან პირადათ ყაზარმაში და ნახულობენ მეთაურებს და პოლიტხელს. ბრუნდებიან სახლში საჭირო დარიგებებით და ინსტრუქციებით.

ე. ხ.

გასამხედროების ფრონტზე

(აფხაზეთი)

№ ლეგიონის მიერ გახსნილია და ამუშავებული სამხედრო კუთხეები აფხაზეთის შემდეგ ადგილებში: სოხუმი, ოჩემჩირი, კილასური, ლიხნი, ალექსანდროვსკი, გუმისტა და ეშერი, კუთხეებში მრავლად არის სამხედრო მასალა. ჩამოყალიბებულია ბევრგან სამხედრო ცოდნათა წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მოცდილი ამხანაგები.

კარგათ არის დაყენებული აგრეთვე სასროლი საქმე.

ი.

მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის.

სომხეთის და აზერბეიჯანის გაერთიანებულმა სამხედრო სკოლებმა გამოჰყვეს და მიამაგრეს ქართულ ნაწილებზე უფროსი კურსის მსმენელები, რომლებიც აწარმოებენ სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობას ნაწილის ეროვნულ უმცირესობათა წითელ არმიელთა შორის.

ზაჰესი

ელექტრონის გაყვანა სახლებში

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო აღნიშნული, „ელგანმა" (ელექტრო-გაყვანილობის სამმართველომ) უკვე დაიწყო განცხადებების მიღება ელექტრო-გაყვანილობათა გადაყვანის შესახებ „ზაჰეს"-ის ენერგიაზე.

განცხადების მიღების შემდეგ „ელგანი" გზავნის თავის კონტროლიორებს ელექტრო გაყვანილობათა შესამოწმებლად. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრო-გაყვანილობა საჭიროებს გადაკეთებას, ან ხელახლა მოწყობას აბონენტსა და „ელგანს" შორის იდება ხელშეკრულება, რომლის ძალით „ელგანი" კისრულობს აბონენტის გადაყვანას „ზაჰესის" ენერგიაზე.

ხელშეკრულების მიხედვით მავთულის გაბმა ქუჩის მაგისტრალიდან სახლში შესაყვან უჯრამდე სწარმოებს „ელგანის" ხარჯზე, ხოლო ბინაში ელექტრონის გაყვანა—აბონენტის ხარჯზე.

ფულის გადახდა სწარმოებს ნაწილ-ნაწილად, ვადების მიხედვით. აბონენტები, რომლებისათვის ელექტრონი ნისიათ გაყავთ, იყოფიან სამ კატეგორიად: საცხოვრებელი ბინების, სავაჭრო-სამრეწველო შენობის და დაწესებულებათა აბონენტები. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს საცხოვრებელი ბინების აბონენტები იხდიან მთელი ქირის 10 პროცენტს, მეორე კატეგორიის აბონენტები 15 პროცენტს; დანარჩენ ფასს იხდიან ნაწილ-ნაწილად, ყოველთვიურად, თანაბარი რაოდენობით. საცხოვრებელი ბინების აბონენტებს კრედიტი ეძლევათ 10 თვის ვადით, ხოლო დანარჩენებს 6 თვის ვადით; ბინის ნებაყოფლობით დატოვებისას, ან სხვა ქალაქში წასვლის დროს, მდგმური მოვალეა ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს „ელგანს", რომელსაც მან უნდა გაუსწოროს ანგარიში ელექტრონის გაყვანის დღიდან ბინის დატოვების დღემდე.

ახალ მდგმურს მავთულით სარგებლობის უფლება მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ კი ის თავს იდებს ყოფილი მდგმურის შეუსრულებელ ვალდებულებათა შესრულებას.

ჯერ გამორკვეული არ არის, თუ რა დაუჯდება აბონენტს გაყვანის ყოველი წერტილი; უმეტეს შემთხვევაში ეს არის დამოკიდებული არმატურის რაოდენობასა და ბინის სივრცეზე. წინასწარი გამოანგარიშებით 5 მეტრის სიგრძის წერტილი ჯდება—7 მან. 75 კაპ-დან—10 მანეთამდე. „ელგანი" უკვე ხელშეკრულია სხვადასხვა ელექტრო-ტრესტებთან. რომელნიც კისრულობენ ელექტრო-გასაყვან სამუშაოების შესრულებას.

მთავარი სამონტაჟო სამუშაოები აღებული აქვს „ელექტროსელსტროის", რომელიც თავისი მასალებით და საშუალებით კისრულობს ბინებზე სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებში ელექტრო-დადგმათა მოწყობას.

ლენინის ძეგლი ზაჰესში

ახლო მომავალში თბილისში მოსკოვიდან ჩამოვა მხატვრების და ხუროთ-მოძღვრებისაგან შემდგარი კომისია აკადემიკოს ჩერნოვის მეთაურობით.

ამ კომისიას დავალებული აქვს გამონახოს ზაჰესის სამუშაოთა ადგილზე თვალსაჩინო ადგილი ლენინის ძეგლის დასადგმელად და აგრეთვე განიხილოს ძეგლის დასადგმელი მოედნის გეგმა.

შედგენილ პროექტის მიხედვით ლენინის ძეგლის დასადგმელი მოედანი დაიჭერს 600 კვადრატიულ მეტრს. ძეგლის ფუძეს ექნება 4 ნახ. საჟენი სიმაღლე. ლენინის ფიგურა-ნაკვთი ჩამოსხმული იქნება ბრინჯაოდან. ეს ნაკვთი კეთდება მოსკოვში და გამოიგზავნება რამოდენიმე ხნის შემდეგ. ნაკვთს ექნება 3 ნახ. საჟენი სიმაღლე. მთელი ძეგლი იქნება სიმაღლით 8 საჟენი.

შრომის კონფლიქტები

რესპუბლიკანურმა მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა მოახდინეს შრომის კონფლიქტების და შრომის და იუსტიციის სახალხო კომისარიატების ორგანოების მუშაობის გამოკვლევა.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ხშირად ადგილი აქვს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებისათვის დაწესებულ დებულების დარღვევას კონფლიქტების განხილვის დროს; ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების წევრები არ იცნობენ შრომის კანონმდებლობის ძირითად დებულებებს. მოქმედი წესების, ცირკულიარების და დადგენილებების უქონლობა ადგილობრივ ენებზე აღრმავებს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობის დეფექტებს.

მხარეების წარმომადგენლები, უმთავრესად, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხშირად არ ესწრებიან შემარიგებელი კამერების და სამედიატორო სასამართლოების სხდომებს, რის გამო კონფლიქტების გადაწყვეტა ამ ინსტანციებში მეტად ჭიანურდება, რაც თავის მხრივ იწვევს ზედმეტი თანხების ხარჯვას სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებების მხრიდან.

არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც მხარეების წარმომადგენლებს არ აქვთ რწმუნება კონფლიქტების გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად.

აზერბეიჯანში შრომის სასამართლოების მოწყობის დროს ყოველთვის არ არის დაცული მიღებული ნორმები. მაგალითად, სასამართლოს წევრებად ირჩევენ სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებს. აჭარისტანში სასამართლოს წევრებს ნიშნავს პროფსაბჭო და შრომის სახალხო კომისარიატი, რაც აგრეთვე არ არის კანონიერი.

მეთვალყურეობის ბიურო სავსებით ახორციელებს მეთვალყურეობას მხოლოდ საქართველოში, სადაც მისი მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. აზერბეიჯანში და სომხეთში კი ბიუროს მუშაობა სუსტად მიმდინარეობს. განსაკუთრებით სუსტია მუშაობა აჭარისტანში, სადაც ნათელი წარმოდგენაც კი არა აქვთ ბიუროს ფუნქციებზე და მის ამოცანებზე.

მეთვალყურეობის ბიურო რესპუბლიკებში მეთვალყურეობას შრომის საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ დაინტერესებული მხარეების საჩივრების მიხედვით, რადგან შემარიგებელ-საკონფლიქტო ორგანოების ოქმების წარდგენა მეთვალყურეობის ბიუროში სავალდებულო არ არის. ამის გამო, მეთვალყურეობა შრომის საქმეებზე ვერ ტარდება მთლიანად, რამდენადაც ბიურო საკმაოდ ვერ იცნობს შემარიგებელ-საკონფლიქტო ორგანოების მუშაობას.

გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაამტკიცა მთელი რიგი ღონისძიებები და წინადადებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს შენიშნული დეფექტების აღმოფხვრას.

კომუნალურ და სანიტარულ-ტეხნიკურ მუშაკთა თათბირი

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან. მორიგი მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა თბილისის აღმასკომის წარმომადგენელს ამხ. **ახრიევს**.

თბილისის კომუნალური მეურნეობა

თბილისის კომუნალურ მეურნეობას, ამხ. ახრიევის სიტყვით, ერთი უდიდესი ადგილი უჭირავს საქართველოს სახალხო მეურნეობაში. თბილისის წარმოებები საბჭოთა ხელისუფლებას დახვდა ან სრულიად, ან ნაწილობრივათ გაპარტახებული. დაზიანებული იყო წყალსადენი, ტრამვაი, ელექტრო-სადგურები და სხვა.

წყალსადენის აღდგენის საქმეში მიღწეულია დიდი შედეგები. თუ 1913 წელს ქალაქის წყლის მოხმარება ყოველდღიურათ უდრიდა 861.694 ვედროს, 1924 წელს იგი გაიზარდა 1.175.915 ვედრომდე. საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოღებულმა წყალსაზომებმა ძლიერ გაადვილეს წყლის აღრიცხვა. გასაბჭოებიდან დიდი ყურადღება ჰქონდა აგრეთვე მიქცეული წყალსადენის ახალ ხაზების გაყვანას. სულ გაყვანილ იქნა ახალი ხაზები 122 პუნქტში. ქალაქს საგრძნობი შემოსავალი აქვს, მაგ. 1925 წ. წყალსადენის შემოსავალი უდრის 96.608 მანეთს და გასავალი კი 64.464 მანეთს.

ტრამვაიც კატასტროფიულ მდგომარეობაში იყო გასაბჭოებამდე. 1921 წელს ქალაქში მუშაობდა 33 ვაგონი, ხოლო წელს კი მუშაობს 110. საგრძნობლათ გადიდდა მგზავრების გადაყვანა; იმატა შემოსავალმაც. 1921 წელს ქალაქს შემოსვლია ტრამვაიდან 10.203 მანეთი, ხოლო 1925 წელს 212.697 მანეთი.

ელსადგურები. ქალაქს ამჟამად აქვს 17 ელსადგური, რომლებიც შეკეთებულ იქნენ და დღეს საგრძნობ შემოსავალს იძლევიან. შრომის ნაყოფიერებამ იმატა 52%.

კომუნალურმა განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრეთვე **აბანოებისა** და **სასაკლაოს** გაუმჯობესებას. სასაკლაო დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ასევეა ქალაქის 11 აბანოს მდგომარეობაც.

დასასრულ, ორატორი ვრცლათ შეჩერდა აგურის ქარხნების მუშაობაზე და ქალაქის კეთილ-მოწყობის საკითხებზე. მან დაწვრილებით ჩამოსთვალა თუ რა გაკეთებულა კეთილმოწყობის დარგში, სად და როდის.

ფოთის აღმასკომიდან მოხსენებით გამოდის ამხ. **მეიშვილი.** მისი მოხსენებიდან ირკვევა, რომ ფოთის აღმასკომთან არ არსებობს კომუნალური განყოფილება, არამედ არის ადგ. მეურნ. განყოფილება, კომუნალური ქვე-განყოფილებით. განყოფილებას თავის მუშაობა უწარმოებია უმთავრესად ელსადგურის, სტამბის, ცხენმავლის და სხვა წარმოებების გაუმჯობესების მიმართულებით. [illegible] შეუკეთებიათ და გაუფართოებიათ რამოდენიმე ქუჩა, შეუკეთებიათ ელსადგური, სასაკლაო, აუგიათ ახალი ხიდები და სხვა.

ქუთაისის აღმასკომის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. **ქუთათელაძე.** იგი აღნიშნავს რომ აღმშენებლობითი მუშაობა ქუთაისში და მის მაზრაში დამაკმაყოფილებლათ მიმდინარეობს. თვით ქალაქში გაშენებულია ახალი ბაღი, მოწყობილია ძმათა სასაფლაო, გაფართოებულია ქუჩები და ამჟამად სწარმოებს წინასწარი სამზადისი წყალსადენის გამოსაყვანათ და კანალიზაციის მოსაწყობათ.

მესამე სხდომა

საღამოს სხდომა იხსნება ამხ. **დ. აფციაურის** თავმჯდომარეობით. სხდომაზე გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან.

სიღნაღის აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. **ნადირაშვილი** თავის მოხსენებაში ასწერს მაზრის კომუნალური მეურნეობის მდგომარეობას და დაწვრილებით ეხება იმას, თუ რის გაკეთებას ეპირებიან მომავალში.

სენაკის მაზრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. **მიმინოშვილი.** იგი დაწვრილებით ეხება მაზრაში წარმოებულ მუშაობას და მომავალ პერსპექტივებს.

მოხსენებით გამოდის აგრეთვე **ახალციხის** მაზრიდან ამხ. **ექსკუზიანი.** მომხსენებლის სიტყვიდან ირკვევა, რომ იქ დიდ ყურადღებას აქცევენ საგზაო მშენებლობას და ელსადგურების მუშაობას.

შორაპნის აღმასკომიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. **ცუცქირიძე.** იგი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება აქვს ამჟამად მიქცეული საბინაო მშენებლობას, გზებს, ხიდებს და სხვა. ამას გარდა განზრახულია აგებულ იქნეს აგურის ქარხანა, ლითონის ჩამომსხმელი ქარხანა და სხვა წარმოებანი.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიდან მოხსენებით გამოდის ამხ. **გოკინაევი.** ორატორი დაწვრილებით ეხება კომუნალური საქმის მდგომარეობას ოლქში და ამბობს, რომ კომუნალური განყოფილება იქაც ახალი მოწყობილია. ამჟამად სწარმოებს თვით ქალაქ ცხინვალის კეთილმოწყობა. ვაგებთ ახალ ბაღს, ვაფართოებთ ქუჩებს. ვაგებთ ხიდებს და ვაწარმოებთ მუშაობას გზების გასაყვანათ ოლქში.

მესამე სხდომაზე დასრულდა მოხსენებები ადგილებიდან.

ეკონომიური ცხოვრება

აბრეშუმის ტრესტი

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსდება აბრეშუმის ტრესტი, რომელსაც საბრუნავ თანხად მიეცემა 1.500.000 მანეთი. ტრესტში გაერთიანებული იქნება აბრეშუმის ყველა ფაბრიკა-ქარხნები, როგორც საქსოვი და ამოსართავ-მოსახვევი.

ტრესტს დაექვემდებარებიან: ფილიპე მახარაძის სახელობის აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკა, სამტრედიის, ხონის, ოზურგეთის, თელავის ფაბრიკები და სხვა. ზემოჩამოთვლილ ფაბრიკებიდან ამჟამად მუშაობას აწარმოებს მხოლოდ ფ. მახარაძის სახელობის საფეიქრო ფაბრიკა, რომელიც ჯერ კიდევ ძველ შენობაში არის მოთავსებული. მოკლე ხანში ფაბრიკა გადატანილი იქნება ახალს, სპეციალურად ამ ფაბრიკისათვის აგებულ შენობაში, სადაც იდგმება ახალი სისტემის მანქანები. ახალი ფაბრიკის საწარმოო იარაღები დიდათ გაუმჯობესებულია და საუკეთესო ნაწარმოების დამზადების საშუალებას იძლევა. ფ. მახარაძის სახელობის ფაბრიკა საქ. აბრეშუმის ტრესტის მთავარი ცენტრალური საწარმოო დაწესებულებაა.

ამ უახლოეს დღეებში გაიხსნება აბრეშუმის ტრესტში შემავალ აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკები—ერთი ხონში და მეორე თელავში.

ორივე ფაბრიკის შენობის აგება და მოწყობა უკვე დამთავრებულია. ხონის ფაბრიკა ყოველწლიურად დაამუშავებს 1.420 ფუთ აბრეშუმის ხმელ პარკს.

თელავის ფაბრიკა დაამუშავებს წელიწადში 1.550 ფუთ ხმელ პარკს. ორივე ამ ფაბრიკების მოწყობილობა მიღებულია იტალიიდან.

ერთ თვეში დამთავრდება ოზურგეთის აბრეშუმის ამოსახვევი და სართავი ფაბრიკის შენობის აგება და მოწყობა. ამ ფაბრიკის მოწყობილობაც იტალიაშია შეძენილი. ფაბრიკა დაამუშავებს წელიწადში 2.120 ფუთ აბრეშუმის ხმელ პარკს.

ბაზრის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოს ვაჭრობის ინსპექტორმა ამხ. **გაგუამ** მოახდინა ფართლეულობის და სხვა საქონლის ფასების გამოკვლევა თბილისის სახელმწიფო-სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში. გამოკვლევის მიზანი იყო გამორკვევა იმისა, თუ რამდენად შეეფერება აღნიშნული საქონლის ფასები ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებს.

გამოირკვა, რომ დამატებითი ფასები მანუფაქტურაზე, რომელსაც აწესებს კოოპერატიული და სახელმწიფო-სავაჭრო ორგანიზაციები თბილისში, სავსებით შეეფერება შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ საამისოდ დაწესებულ დამატებითი ფასებს. გამონაკლის ჰქონდა ადგილი მუშკოოპის ერთ მაღაზიაში, სადაც ჩითი 44, 55 კაპეიკის მაგივრად იყიდებოდა 47 კაპ. მეტრი.

გამოკვლევის შემდეგ გამოირკვა, რომ ფასის გადიდება გამოანგარიშების დროს დაშვებული, არითმეტიკული შეცდომის შედეგია. შეცდომა ჩქარა იქნა შემჩნეული და მაღაზიაში გაიგზავნა განკარგულება ფასის შეცვლის შესახებ. 47 კაპ სულ გაყიდულია მანუფაქტურის მცირე პარტია 170 მეტრის რაოდენობით.

ასეთივე შემთხვევას ჰქონდა ადგილი „მეომარი"-ს ერთ მაღაზიაში, სადაც ფართალი იყიდებოდა 1 მან. 35 კაპეიკად, როდესაც შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ფასების მიხედვით უნდა გაყიდულიყო 1 მან. 26 კაპ.

ამას გარდა, შემოწმებული იქნა მარილის, პაპიროსის, ჩაის, ასანთის და საპნის ფასები. საცალო ფასები საპონზე შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ჯერ-ჯერობით დაწესებული არ არის. დანარჩენი საქონლის ფასები ეთანხმება ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებს.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

მეტრიული სისტემა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ამიერ-კავკასიაში მეტრიული სისტემის გატარების გეგმა 1925—26 საოპერაციო წლისათვის.

მეტრიული სისტემის გამტარებელ ამიერკავკასიის კომიტეტს დაევალა შეიმუშაოს სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა.

ბამბის დახარისხების შესახებ

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ დაადგინა მუღანლოს ბამბა მიჩნეულ იქნეს უმაღლესი ხარისხის ბამბად.

საკონტროლო ციფრები

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ დაადგინა, რომ წინასწარ საორიენტაციო საკონტროლო ციფრებად მიჩნეული იქნეს ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული პერსპექტიული გეგმები.

ახალი აგრონომები

სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი წელს დაამთავრა ათმა კაცმა:

1. თევდორაძე მელენტი, 2. ლეჟავა კლიმენტი, 3. სეფერთელაძე გრიგოლ, 4. თავბერიძე ილია, 5. კუტუხიძე დორა, 6. კობახიძე მარიამი, 7. ულენტი პეტრე, 8. ბათიაშვილი, 9. ვეფხვაძე ოლღა და 10. კუხელაშვილი.

აქედან ორი კაცი სინდიკატ „სელმაშ"-ის მიერ მიწვეულია აგრონომ-მემანქანეებათ ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ავიოქიმი

სექციების დაარსება

საქართველოს ავიოქიმთან დაარსდა საორგანიზაციო-საპროპაგანდო, და სასოფლო-სამეურნეო და ქიმიური სექციები.

საორგანიზაციო-საპროპაგანდო სექცია მიზნათ ისახავს საორგანიზაციო-საპროპაგანდო მუშაობის სფეროში ავიოქიმის საბჭოს და გამგეობის დადგენილებების გატარებას. სასოფლო-სამეურნეო და ქიმიური სექციის მიზანია ქიმიური და საჰაერო საკითხების შესწავლა და დამუშავება მათ გამოსაყენებლად ჩვენს მეურნეობაში. გარდა ამისა, სექციის მიზანია საქართველოს ქიმიურ ნედლეულის მარაგის შესწავლა და აქ ქიმიური მრეწველობისათვის ხელის შეწყობა.

სექციებმა მუშაობა უკვე დაიწყეს.

ნიაღვარი რაჭაში

28 და 29 მაისს რაჭაში ადგილი ჰქონდა დიდ ნიაღვარს. რაჭის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **პ. წულუკიძე.** საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ატყობინებს, რომ ნიაღვარმა წალეკა მრავალი ნათესები, წაიღო საქონელი და სხვა. ზარალის გამორკვევა სწარმოებს.

მძიებელთა მომზადება

მიმდინარე წლის სექტემბრიდან, შინ. საქმეთა კომისარიატის გადაწყვეტილებით, მილიციის უფროსშემადგენლობის სკოლასთან გაიხსნება სისხლის სამართლის მილიციის მუშაკთა მოსამზადებელი განყოფილება. ამ განყოფილებაში კურსდამთავრებულნი გაიგზავნებიან სისხლის სამართლის მილიციის მძიებელ ორგანოებში სამუშაოდ.

ლექციების საკითხავად გადაწყვეტილია მოიწვიონ ცნობილი სპეციალისტები, რომლებიც მსმენელებს შეასწავლიან ძიების ყოველგვარ მეთოდებს.

ამავე სკოლასთან გადაწყვეტილია მოეწყოს აგრეთვე სამაზრო მილიციის უფროსთა მოსამზადებელი განყოფილება.

მძიებელთათვის დაწესებული იქნება ერთწლიანი კურსი, ხოლო სამაზრო მილიციის უფროსთათვის 2 წლის კურსი.

გლეხკომებში

— **აბანო.** ნათლისმცემლის თემგლეხკომმა გადასწყვიტა თავის ხარჯით თემში აგოს აბანო.

— **სახალხო სახლი.** ხუფის თემგლეხკომმა ადგილობრივი სახალხო სახლის მოსაწყობათ გადასდო 104 მან.

სამკითხველო. სამხთოს (ოზ. მაზ.) თემგლეხკომმა სამკითხველოსათვის შენობის ასაგებათ გადასდო 600 მან.

— **ელსადგური.** ქ. ლანჩხუთის გლეხკომმა თავის ხარჯით მოაწყო ელსადგური. გლეხკომის ხარჯითვე ქალაქიდან თითო ვერსის დაშორებით დადგმულია ბოძები გლეხებისათვის სინათლის მისაწოდებლათ.

— **ბახმაროს გზაზე** ასკანის თემგლეხკომმა ააგო სასტუმრო-შესასვენებელი სახლი.

— **კოოპერაცია.** აცანის თემგლეხკომმა თავის ხარჯზე კოოპერაციის წევრებათ ჩაწერა 8 უღარიბესი გლეხი.

— **გლეხკომების საარჩევნო კამპანია.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი დღეს 5 ივნისს დაუგზავნის რესპუბლიკის ყველა მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს საბოლოოთ შესწორებულ და დამტკიცებულ ცირკულიარს იმის შესახებ, თუ როგორ და რა წესით უნდა იქნეს ჩატარებული მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში გლეხკომების საარჩევნო კამპანია. ცირკულიარის მიღებისთანავე ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში დაიწყება გლეხკომების საარჩევნო კამპანია.

მუზეუმი

, საქ. მუზეუმის [illegible] ჩვენს თანამშრომელს [illegible]:

— მუზეუ[illegible] პროექტების [illegible] ამიტომ გაფართოებული მუშაობა სჭირდება ახალი შენობის დასამთავრებლად. შენობის პირველ გეგმაში ცვლილებების შეტანამ საშუალება მოგვცა შენობის ქვედა სართული ახლო ხანში იქნეს მზად, რომ იქ გადავიტანოთ ზოგიერთი ლაბორატორიები. ამით საგრძნობლად გაუმჯობესდება მუზეუმის ლაბორატორიების მუშაობა.

ამ დღეებში მუზეუმი გადმოიტანს თავის შენობაში მოქ. კობიაშვილისაგან შეძენილ იარაღისა და ბუდისტური ნივთების იშვიათ კოლექციას. გადაწყვეტილი გვაქვს უახლოეს დროში მოვაწყოთ და გავხსნათ არქეოლოგია-ეთნოგრაფიის განყოფილება.

მორიგ საკითხს წარმოადგენს აგრეთვე გეოლოგიური განყოფილების მოწყობა და გახსნა.

ზოოლოგიის პოპულიარიზაციის მიზნით იბეჭდება ღია ბარათები დამახასიათებელი სურათებით.

სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობა თანდათან უფრო ცხოველი ხდება; კოლექციების გაცვლის მიზნით და შეკითხვებით სხვადასხვა სპეციალური საკითხების შესახებ, მოგვმართავენ არა მარტო საბჭოთა კავშირიდან, არამედ უცხოეთიდანაც, როგორც, მაგ., გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, დანიიდან და ამერიკიდან.

ზაფხულის მოახლოების გამო, დღის წესრიგში გვიდგას საზაფხულო ექსპედიციების მოწყობის საკითხი. მუზეუმს განზრახული აქვს რამოდენიმე ასეთი ექსპედიცია მოაწყოს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში, შესასწავლათ და კოლექციების შესაგროვებლად.

ქალაქის გაჯანსაღება

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება იმუშავებს ზომებს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის. ამ მიზნით ამ ახლო მომავალში განზრახულია თბილისის ყველა სახლებში მოეწყოს ე. წ. ჯანმრთელობის ანუ სანიტარული უჯრედები.

ამ უჯრედების მოწყობის პროექტი დამუშავებულია ქალაქის სანიტარულ ექიმის ამხ. **ცინცაძის** მიერ, რომელიც ამ საქმეს პრაქტიკულად გაეცნო მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც ასეთი უჯრედები დიდი ხანია მოწყობილია და დიდ სამსახურს უწევენ ქალაქს.

გამომუშავებულ პროექტის თანახმად, სანიტარული უჯრედები მოეწყობა ყოველ სახლში. ყოველ კვარტალს ეყოლება ჯანმრთელობის საბჭო, რომელშიაც შევლენ სახლების სანიტარული უჯრედების წარმომადგენელნი; კვარტალის საბჭოების წარმომადგენელნი შეადგენენ სარაიონო საბჭოს, რომელიც სათავეში უდგას პრეზიდიუმი. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შედიან: რაიონის სანიტარული ექიმი, რაიონის არქიტექტორი, სარაიონო კომიტეტის და მილიციის წარმომადგენელნი და კვარტალების ერთი წარმომადგენელი.

სანიტარული უჯრედების მთავარი მოვალეობა იქნება სახლებში სანიტარულ ღონისძიებათა გატარებაზე თვალყურის დევნება; გადამდები ავადმყოფობის გავრცელების დროს—სახლების დაცვა ეპიდემიისაგან—ავადმყოფების თავის დროზე გამოაშკარავების და მათი განცალკევების საშუალებით. ამასთან ერთად, სანიტარულ უჯრედებს დაეკისრებათ საგანმანათლებლო-სანიტარული მუშაობის წარმოება: ამ უჯრედების საშუალებით განხორციელებული უნდა იქნეს საბჭოთა მედიცინის ლოზუნგი: მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა—თვით მშრომელთა საქმეა.

როგორც აღნიშნული იყო, ასეთი უჯრედები პირველად მოწყობილი იქნა მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც მათ სავსებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება: ამჟამად ეს უჯრედები წარმოადგენენ საექიმო და სანიტარულ მუშაობის საფუძველს ზემოხსენებულ ქალაქებში.

შუშეულობის წარმოება

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურმა განყოფილებამ დაამუშავა ბოთლების მექანიკური საწარმოო ქარხნის აგების პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა. პროექტით ბოთლების ქარხნის აგება განზრახულია ამიერკავკასიის რკინისგზის ხაზის ახლოს სოფელ ლაშეში, სადაც უხვად მოიპოვება ბოთლების საწარმოებლად საჭირო ნედლი მასალა—კვარცის ქვიშა და ცარცი. ამ მადნების მარაგი საკმარისია ასეული წლების განმავლობაში.

ამჟამად მთელი ამიერ-კავკასია და საქართველო განიცდის მინის ჭურჭლის (ბოთლების) დიდ კრიზისს, რის გამოც სახელმწიფო ღვინის ტრესტი იძულებულია შეამციროს თავისი წარმოება. ჭურჭლეულობის სიმცირე მძიმე მდგომარეობაში აყენებს აგრეთვე ხელოვნური მინერალური წყლების წარმოების საქმეს. ქართული ღვინოების გასაღებას აბრკოლებს აგრეთვე ბოთლების სიმცირე. უკანასკნელ დრომდე ამიერკავკასიის არც ერთ რესპუბლიკაში არ არსებობს ბოთლების მექანიკური წარმოება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბორჯომის შუშეულობის ქარხანას, რომელიც დიდის გაჭირვებით აკმაყოფილებს საკუთარ საჭიროებას. რაც შეეხება ავჭალის შუშეულობის ქარხანას, იგი პრიმიტიულად არის მოწყობილი და უმეტეს შემთხვევაში უქმად არის. სხვადასხვა მეურნეობათა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ბოთლები მოაქვთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებიდან. ამიტომ ხშირად ჭურჭელი უფრო მეტი ჯდება, ვიდრე შიგ ჩასასხმელი სასმელი. ერთ-ერთი მიზეზი ამისა, რომ სასმელის მწარმოებელი ორგანოები კრიზისს განიცდიან, არის ჭურჭლეულობის უქონლობა. მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე ბოთლეულობის დეფიციტი უდრის 1500 ათასს ფუთს. ცხადია, ჭურჭლეულობის მექანიკური ქარხნის მოწყობა საქართველოში საგრძნობლად შეანელებს ამ ნაკლებობას.

ქრონიკა

ინგლისის მუშების დასახმარებლად

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გაერთიანებამ — ცეკავშირმა კოოპერატიულ ალიანსს (საერთაშორისო კოოპერატიულ გაერთიანებას) მიმართა დეპეშით, რომელშიაც წინადადებას აძლევს გაერთიანებულად აღმოუჩინონ დახმარება ინგლისელ სამთამადნო მუშებს. დეპეშაში ნათქვამია:

„საქართველოს კოოპერაცია, რომელიც გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ინგლისის სამთამადნო მუშების ბრძოლის განვითარებას, წინადადებას აძლევს ალიანსს, რათა ალიანსის წევრების მონაწილეობით მოაწყოს გაფიცულ მუშებისათვის მატერიალური დახმარების საქმე. ჩვენი მხრით, მზად ვართ მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოთ ინგლისელ სამთამადნო მუშებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება".

პროფსაბჭოს პლენუმი

1 ივლისს შესდგება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი.

საძოვრების საკითხი

საქართველოს მიწადმოქმედების კომისარიატისა და დაღესტანის სოც. საბჭ. რესპ. მთავრობის შორის მოხდა შეთანხმება საძოვრების საკითხის შესახებ.

ამ შეთანხმების ძალით, დაღესტნელ მეცხვარეებს უფლება ეძლევათ გადინონ ცხვრის ფარები ზამთრის საძოვრებში შირაქის ველზე.

ამის მაგივრად საქართველოს მეცხვარეებს უფლება ეძლევათ დაღესტანის მთავრობისაგან გადინონ ცხვრის ფარა ზაფხულის საძოვრებზე დაღესტანში.

სკანდინავიის დელეგაცია

სკანდინავიის მუშა ახალგაზრდობის დელეგაციას თბილისში მოელიან ივნისის შუა რიცხვებში. დელეგაციაში შედიან შვეციის, ნორვეგიის და დანიის ახალგაზრდობის წარმომადგენლები რიცხვით 18 კაცი.

აქციზი.

მაგარ სასმელებზე (პურის და ჭაჭის არაყი, კონიაკი, სპირტი და სხვ.), რომლებიც გააქვთ ამიერ-კავკასიიდან, დაწესებულია დამატებითი აქციზი.

თბ. აღმასკომში.

— **დან. ჭონქაძის სახელობის ბაღი.** ფუნიკულიორთან ახლად გაშენებულ ბაღს ეწოდა დან. ჭონქაძის სახელობის ბაღი.

— **გლეხთა ცენტრალურ სახლს** სესხის სახით თბ. აღმასკომმა მისცა 4.500 მანეთი.

— **მუსულმანთა კლუბი.** თბ. აღმასკომმა მუსულმანთა კლუბის მოსაწყობათ გადასდო 500 მანეთი.

— **როზა ლიუქსემბურგის ძეგლი,** რომელიც ამჟამად დგას კომინტერნის ქუჩაზე, თბ. აღმასკომის დადგენილებით გადატანილი იქნება ყოფ. ზემელის აფთიაქის პირდაპირ ახლად მოწყობილ ბაღში.

— **ახალი მუშათა სახლი.** თბ. აღმასკომმა დაადგინა ააგოს მე-2-ე მუშათა სახლი. სახლის აგების საქმე გადაეცა საზ. „სამშენს".

საბავშვო ბაღები.

— **იმ ბავშვებისათვის,** რომლებიც ვერ იქნებიან წელს გავზავნილი აგარაკებზე, თბილისში ეწყობა 7 დროებითი ბაღი.

— **საბავშვო ბაღებში** მეცადინეობა შეწყდება 1-ლ ივლისს და განახლდება 1 სექტემბერს.

კეთილმოწყობა.

— **მაზრის ელექტროფიკაციისათვის** თბ. აღმასკომი საკავშირო ელექტრობანკიდან იღებს სესხად 480.000 მანეთს.

— **ციონეთის გზის** შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო 12.000 მანეთი.

— **კანალიზაცია.** წელს ქალაქის საკანალიზაციო ქსელი გადიდებული იქნება 4 ვერსით.

— **აღმასკომის საკურორტო სექციამ** კოჯორში წელს შეაკეთა და მოაწყო 771 ოთახი.

სხვადასხვა.

— **ინვალიდების სახლები.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატს თბილისში აქვს ინვალიდთა 3 სახლი, რომლებშიაც ირიცხება 250 ინვალიდი.

— **თბილისის მცხოვრებთა რიცხვი,** უკანასკნელ ცნობების მიხედვით, აღწევს 280.000-ს.

— **თბილისის კომუნალურ ბანკს** ამჟამად გახსნილი აქვს 7 განყოფილება პროვინციაში.

— **საბინაო კავშირი** წელს თბილისში ააგებს 110 ახალ ბინას.

— **წარმოკავშირი** წელს დაამზადებს სულ 30 ათას ფუთ მატყლს.

— **ახალი არტელი.** უმაღ. ს. მ. საბჭომ დაამტკიცა ახალი საამშენებლო არტელი „ბლოკი".

კრებები და მოხსენებები.

— **არტელ „ბაღის შრომის"** წევრთა კრება შესდგება კვირას, დღის 12 საათზე, ტყავტრესტის კლუბში.

შემთხვევები.

— **ცეცხლი.** 3 ივნისს ღამით „სევკავტორგი"-ს საწყობს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

— **თავის მოწამვლა.** 3 ივნისს ღამით კუბის ქუჩაზე, № 17, თავი მოიწამლა ალექსანდრე ნარიმანიძემ.

— **შეპყრობა.** 3 ივნისს შეიპყრეს ეგიაზაროვის ბინის გაქურდვისათვის სერგო დანელიანცი.

— ამავე დღეს ქურდობისათვის დააპატიმრეს ალექსანდრე ისკორკინი.

— **თავდამსხმელის დაპატიმრება.** 3 ივნისს შეიპყრეს—ოქტომბერში ზაჰესში ჩაჩუაზე თავდასხმის გამო—ვარლამ მოწონელიძე.

— **ქურდობა.** 2 ივნისს პუშკინის ქ., № 23, გაქურდეს არუთინიანის სავაჭრო.

„ ამავე დღეს ღამით აბანოს ქ., № 6, გაქურდეს მაშადი ალი ალიევის ბინა.

— 3 ივნისს კუბიანის ქუჩაზე გაქურდეს ლევან აბოიანცის ბინა.

— მე-86-ე შრომის სკოლის გამგეს საგატელიანს მოჰპარეს 18 მან. ეჭვით დაპატიმრებულია ამავე სკოლის დარაჯი.

— 3 ივნისს პანაჩევის ქ., № 10, გაქურდეს ელენე ადამოვის ბინა.

— **მტკვარში გადავარდნა.** გუშინ, დილით მტკვარში გადავარდა მუხრანის ხიდიდან და თავი დაიხრჩო ჰაიკ გოზიანცმა.

— **500 მ. მოპარვა.** გუშინ წყალსადენის სამმართველოში მოლარე შარაშენიძეს მოპარეს 500 მანეთი.

— **60 მან. მოპარვა.** გუშინ ღია ფანჯრიდან გაქურდეს მოქ. ლიზა მელუქანის ბინა. წაიღეს 60 მან. ნივთები.

— **გაქურდვა.** გუშინ გაქურდული იქნა მოსკოვის ქ. № 27 სალომე ჯორბენაძე. წაიღეს 30 მანეთის ნივთები.

სასამართლო

ივანე ლომინაძის საქმე

გუშინ უზენაეს სასამართლოში ამხ. **ბედიას** თავმჯდომარეობით და პროკურორ **გაბუნიას** მონაწილეობით გაირჩა საკასაციო საჩივარი **ივანე ლომინაძის** საქმეზე.

ლომინაძეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ 4.903 მან. გაფლანგვისათვის მისჯილი ჰქონდა დახვრეტა

უზენაესმა სასამართლომ სამი საათის თათბირის შემდეგ დაადგინა: ივანე ლომინაძის საკასაციო საჩივარი ოლქის სასამართლოს განაჩენზე დატოვებულ იქნას უშედეგოთ და მაზე მისჯილი უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა დამტკიცებულ იქნას.

მსჯავრდადებულ ლომინაძეს უფლება მიეცა შუამდგომლობა აღძრას ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე პატიების შესახებ.

ნიკოლოზ მალანიას საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. პაპავას თავმჯდომარეობით დაიწყო **ნიკოლოზ მალანიას** საქმის გარჩევა.

ბრალდებული 1924 წლიდან ირიცხებოდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბის გამგეთ. აღნიშნულ წლიდან 1925 წლის ბოლომდე მის ხელში იმყოფებოდა თანხები: შეკვეთების, მუშების ჯამაგირების, მუშებიდან აკრეფილ შეშის საფასურის და სხვა. გასული წლის სექტემბერში მომხდარმა რევიზიამ აღმოაჩინა, რომ აღნიშნულ თანხებიდან მოქ. მალანიას გაუფლანგია 6.213 მანეთი.

ბრალდებულმა რევიზიას განუცხადა, რომ მას არას გზით არ შეეძლო გაეფლანგა ამდენი ფული.

ბრალს სდებს პროკურორი **პავლიაშვილი**, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი შ. მესხიშვილი, სამოქალაქო მოსარჩლის მხარეს იცავს ილია ფირცხალაიშვილი.

სამოქალაქო ძიება წამოყენებულია 6.212 მან. რაოდენობით.

გამოწვეულია ექიმ-ექსპერტი პროფ. ხასთიანი და პონდოევი.

ბრალდებულმა დაწვრილებით მოუთხრო სასამართლოს, თუ როგორ პირობებში უხდებოდა მას მუშაობა. იგი ხშირად აძლევდა მუშებს ავანსებს, რომელსაც ატარებდა მის წიგნაკში. შესაძლებელია—განაცხადა ბრალდებულმა—მე დამეხარჯოს ჩემი ოჯახის საჭიროებისათვის 1000 ან 1200 მანეთი.

აგრეთვე განაცხადა, რომ ის არის ავადმყოფი, შეპყრობილია ავი ზნით. რომ მას ხშირად ეკარგებოდა მახსოვრობა, ეშლებოდა ანგარიში და სხვა. ბრალდებულის თქმით, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ავადმყოფობის შემდეგ მას ეკარგებოდა 20-50 მან.

საღამოს სხდომაზე სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

დაჭრა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით დაიწყო **მამირ-ასტან-ოღლის** საქმის გარჩევა.

მამირ-ასტან-ოღლის ბრალათ ედება ალი აბასოვის და ალი კასუმოვის დაჭრა მოკვლის მიზნით.

ბრალს სდებს პროკურორი **კუპრაშვილი**, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი შურღაია.

ბრალდებული მამირ-ასტან-ოღლი და ალი აბასოვი წინეთ სავაჭრო საქმეებს აწარმოებდენ ერთად. ამ ნიადაგზე მათ უსიამოვნება მოუხდათ. შელაპარაკების დროს ბრალდებულმა დანით ჭრილობა მიაყენა აბასოვს და კასუმოვს.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავეთ.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებულსა და აბასოვს შორის წინეთ უსიამოვნებას ჰქონია ადგილი სავაჭრო საქმეების ნიადაგზე.

სასამართლოს მიერ გამოწვეულია ექსპერტები.

მკვლელობა აღელვების ნიადაგზე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით გაირჩა **ევგენი ადამიას** საქმე.

ადამიას ბრალდებოდა მოქ. ბებულატოვის მოკვლა.

ბრალს სდებს პროკურორი **ჯანჯღავა**, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი მჭედლიშვილი.

ადამია ირიცხებოდა მე-12 უბნის მილიციელად. ერთ დღეს, ღამის 1-ლ საათზე, როდესაც ის საგუშაგოზე იდგა—წააწყდა ასეთ სურათს: ქუჩაზე გარბის ვილაც მოქალაქე და მას მისდევს რამოდენიმე კაცი. მილიციელმა ის დააპატიმრა; დაპატიმრებული აღმოჩდა მოქ. ბებულატოვი. გუშაგ მილიციელის მოთხოვნას ბებულატოვი არ დაემორჩილა, ეცა მას და დაუწყო ცემა. მილიციელმა მას წინაამდეგობა ვერ გაუწია ხელით და რევოლვერით მოკლა.

სასამართლოს წინაშე ბრალდებულმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა ბებულატოვი.

სასამართლომ დაჰკითხა მთელ რიგ მოწმეებს, რომლებმაც დაადასტურეს წინასწარი გამოძიებით გამორკვეული ფაქტები.

სასამართლომ განიხილა საქმე დაწვრილებით და, მიიღო რა მხედველობაში, რომ ბრალდებულს აღნიშნული დანაშაული ჩაუდენია სრულიად შემთხვევით და, რომ წინასწარ განზრახვას ადგილი არ ჰქონია, მიუსაჯა მას 1½ წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ შესაძლებლად სცნო მისი გამოსწორება და სასჯელი შეუცვალა პირობით.

ექიმ გოგნიაშვილის საქმე

წინასწარი გამოძიება ექიმ **გოგნიაშვილის** საქმეზე დასრულდა.

გოგნიაშვილს ბრალათ ედება ავადმყოფის მიმართ დაუდევრათ მოქცევა.

ლენინის სახელობის ბავშვთა სახლში მარტიროსოვის ძუძუმწოვარი ბავშვი ავათ გახდა. ავადმყოფისათვის საჭირო იყო ფიზოლოგიური ხსნარის კანქვეშ შეშხაპუნება. მედიკამენტების შესანახ შკაფში სხვა წამლებთან ერთად იყო სპირტით სავსე შუშა. ექიმმა ფიზიოლოგიური ხსნარის მაგიერ რამოდენიმეჯერ სპირტი შეუშხაპუნა კანქვეშ ავადმყოფ ბავშვს, რამაც გამოიწვია სიკვდილი.

საქმე გასარჩევათ გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

დახვრეტა თავდასხმისათვის

1-ლ ივნისს, სოფ. იყალთოს (თელავის მაზრა) აღმასკომთან დიდძალ გლეხობას მოეყარა თავი. ისინი ჯგუფ-ჯგუფად რაღაცაზე ბაასობდენ. ეტყობოდათ, რომ ეს ბაასი ამაღელვებელი საქმით იყო გამოწვეული. უცბათ გაისმა ხალხში ხმა, რომ თბილისიდან სასამართლოს სესია მოდისო. ხალხი დიდი აღტაცებით შეხვდა თბილისიდან ჩამოსულ ოლქის სასამართლოს სესიას ამხ. **შ. ოდილავაძის** თავმჯდომარეობით.

1-ლ ივნისს, ამხ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა სასამართლოს სესიის სხდომა. ირჩეოდა საქმე **ვანო ბაზიერაშვილისა** და **მიხეილ ბოტკოველის**, რომელსაც ბრალდებოდათ **სონა მაყაშვილის** მოკვლა გაძარცვის მიზნით.

სხდომა გაიხსნა ცის ქვეშ, რადგან სასამართლოს პროცესზე დიდძალი გლეხობა გამოცხადდა.

ბრალს სდებდა პროკურორი ელენტი, ბრალდებულებს იცავდენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ი. ბარათაშვილი და მ. ხერხეულიძე.

სასამართლოს წინაშე ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ისინი არ სცნობენ თავს დამნაშავეთ სონა მაყაშვილის გაძარცვაში და მკვლელობაში. სინამდვილეს არ შეეფერება ის გარემოება, ამბობს ბრალდებული ბოტკოველი, რომ თითქმის სონა მაყაშვილისას სიკვდილის წინ განეცხადებინოს, რომ „მე მომკლა ბოტკოველმაო“. ბაზიერაშვილი სხვისი რჩევით ჩავითრიე ამ საქმეში—განაგრძობს ბრალდებული. ამ ბოროტმოქმედების ჩადენაში ბაზიერაშვილს ბრალი არ მიუძღვის.

სასამართლომ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეებისა, დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მაყაშვილის ქალი მოკლული იქნა ორთავე ბრალდებულის მონაწილეობით.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მოკლული მაყაშვილის ქალი ყოფილა ქველმოქმედი და გლეხკაცობისათვის თავდადებული ადამიანი. სახლში მუდამ ჰქონია წამლეულობა, რომელსაც უფასოდ აწვდიდა გლეხობას, ასწავლიდა გლეხის ბავშვებს წერა-კითხვას, აძლევდა მათ სამოსწავლო ნივთებს, წიგნებს, რაშიდაც არასოდეს ჯილდოს არ ღებულობდა. სიკვდილის წინ მაყაშვილის ქალს განზრახვა ჰქონია თავისი ქონება გაღაეცა გლეხობისათვის, მაგრამ ამ საქმის შესრულება მას არ დააცალეს და გასულ წელს, თავს დასხმიან ბრალდებული ბოტკოველი და ბაზიერაშვილი, რომლებსაც გაძარცვის მიზნით ყელი გამოსჭრეს მას.

სასამართლოს სხდომა გაგრძელდა ორ დღეს; მიუხედავათ ცუდი ამინდისა ინტერესით უსმენდა გლეხობა სასამართლოს კვლევა-ძიებას.

2 ივნისს, საღამოს 7 საათზე, 4 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ბრალდებულ ბოტკოველს და ბაზიერაშვილს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

ხალხი ტაშით მიეგება განაჩენს.

აღსანიშნავია, რომ გასამართლებამ მასიური ხასიათი მიიღო. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

ქ.

შესწორება

ჩვენი გაზეთის მე-105 ნომერში მოთავსებული ცნობა გამფლანგველ ალექსანდრე ტაბატაძის შესახებ, არ შეეხება ა.-კ. რკ. გზ. მთავარ მოლარე ალექსანდრე თედოაზისძე ტაბატაძეს.

რკინის გზებზე

ხილისა და ბოსტნეულის გადატანა

ა.-კ. რკინის გზების სამმართველომ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები მიმდინარე ზაფხულში ისეთი საქონლის სასწრაფოდ გადასატანად, რომელიც მალე ფუჭდება (ხილი, ბოსტნეული და სხვ.).

მოწყობილ იქნება თავის სპეციალური სადგურები მათ შესანახად სამტრედიაში და ერევანში. ასეთივე სადგურების მოწყობა განზრახულია აგრეთვე განჯაში და გორში.

ამ სადგურებში შენახული ხილი და ბოსტნეული, რომელიც მოითხოვს სისწრაფით გაგზავნას, გადაგზავნილი იქნება საყინულე ვაგონებში სახალხო მატარებლით როგორც ამიერ-კავკასიის, ისე მის გარშემო გზებზე.

ასეთი ტვირთების უკეთესად გადაზიდვისათვის, ამიერ-კავკასიის რკინის გზების შუამდგომლობით ცენტრის მიერ დაწესებული ტარიფი, რომლის თანახმად ფასს გადაახდევინებენ არა ვაგონზე, არამედ რეალურ წონაზე.

გარდა საყინულე ვაგონებისა ხილი და ბოსტნეული გადაგზავნილი იქნება გაუციებლად ადგილობრივი მიმოსვლის სახალხო და ჩქარი მატარებლებით საბარგო ვაგონებში—200 ფუთამდე თითეულ მატარებელზე.

ვაგონების გადავარდნა

4 ივნისს ღამის 9 საათზე ქვალონ-ჰალადიდის შუა მატ. № 121, რომელიც შესდგებოდა 60 დატვირთული ვაგონებისაგან, დაეტაკა კამეჩს.

ლიანდაგს ასცდა 9 ვაგონი და საგრძნობლად დაზიანდა 14 ვაგონი. შემთხვევის დროს ფოთის საყუდის ერთ მუშას ფეხი დაუშავდა მძიმედ. ლიანდაგი დაზიანდა 100 საჟენის მანძილზე. მოძრაობა შეწყდა.

შემთხვევის ადგილზე მოვიდენ დამხმარე მატარებლები, ფოთიდან 9 საათზე და 45 წუთზე და სამტრედიიდან 12 საათზე და 30 წუთზე.

მატ. № 33 დაკავებულ იქნა ახალ-სენაკში და დააბრუნეს უკან. ფოთში მიმავალი მგზავრები გადასვეს მატ. № 9-ზე.

შემთხვევის ადგილზე გაემგზავრენ უბნის სალიანდაგო ნაწილის უფროსი და სხვები.

ორთქლმავლის გაფუჭება გზაში

3 ივნისს ღამის 9 საათზე ზაზალა-განჯას შუა დაზიანდა მატ. № 1302-ს ორთქმავალი. იგი ამოიტანეს განჯაში 9 საათზე და 30 წუთზე. ამ შემთხვევის გამო გზა დაკავებული იყო სამ საათ ნახევრით.

ორთქმავლის გაფუჭება

4 ივნისს მატ. № 311 ორთქმავლის გაფუჭების გამო გაჩერდა მე-457 ვერსზე ალაბაშლი-განჯას შუა. მატარებელი ნაწილ-ნაწილობით ამოიტანეს განჯაში.

ხაზი დაკავებულ იქნა 3 საათით და 15 წუთით.

ამ შემთხვევის გამო მატ. № 14 დაკავებულ იქნა განჯაში 2 საათით და მატ. № 5 ალაბაშლიში 1 საათით და 25 წუთით.

ლიანდაგის წალეკვა

უკანასკნელ წვიმების გამო შამხორ-ალაბაშლის შორის ნიაღვრებმა მე-449 ვერსზე წალეკა ლიანდაგი. ხაზი დაკეტილი იყო მოძრაობისათვის 1 საათით და 20 წუთით.

მეცნიერება და ტეხნიკა

რამდენი ობსერვატორია არის დედამიწაზე

ბერლინის ასტრონომიული გამოანგარიშებითი ინსტიტუტის ყოველწლიურ კრებულში მოთავსებულია სია ყველა ცნობილ ასტრონომიული ობსერვატორიების, რომელსაც დართული აქვს ამ ობსერვატორიებზე მოხდენილ დაკვირვებათა დასამუშავებლად საჭირო აუცილებელი ცნობები. სიაში შედის 282 ობსერვატორია. ყველაზე მეტია ობსერვატორიების რიცხვი ევროპასა და ამერიკაში, შემდეგ აზიასა და აფრიკაში. უკანასკნელი ადგილი უჭირავს ავსტრალიას. დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარ სფეროში უფრო მეტია ობსერვატორიების რიცხვი, ვიდრე სამხრეთისაში.

ობსერვატორიების მოწყობილობათა სიმძლავრით და ტეხნიკის სიმდიდრით პირველი ადგილი უჭირავს ამერიკას მისი 100 და 120 დიუმიანი რეფლექტორებით. ევროპის ობსერვატორიები, რომლებსაც სულ რამდენიმე ხნის წინათ პირველი ადგილი ეჭირათ, ამჟამად საგრძნობათ ჩამორჩებიან ამერიკისას.

ასტრონომიულ გამოკვლევათა ცენტრი ამერიკაში გადადის. ეს უკანასკნელი გარემოება აიხსნება არა მარტო იმით, რომ ამერიკის ობსერვატორიებს უფრო გაუმჯობესებული და მძლავრი ასტრონომიული მოწყობილობანი მოეპოებათ, არამედ იმითაც, რომ ამერიკაში მეტი ფინანსიური საშუალებებია ასეთ მოწყობილობათა შესაძენათ.

ობსერვატორიების საერთო რიცხვიდან 6 ორი კილომეტრის და უფრო მეტ სიმაღლეზეა მოწყობილი. ამ ობსერვატორიებს შორის ყველაზე განთქმულია **პრიკვიპის ობსერვატორია** პერუში (სამხრეთ-ამერიკა), რომელიც 2451 მეტრის სიმაღლეზეა მოწყობილი. პრიკვიპის ობსერვატორიას განაგებს ცნობილი ასტრონომი პროფ. **პიკერინგი**. ცნობილია აგრეთვე **ფლაგსტაფის ობსერვატორია**, მოწყობილი განსვენებულ ასტრონომის **პერსივალ ლოუელის** მიერ 2210 მეტრის სიმაღლეზე. აქ ახდენდა ლოუელი თავის შესანიშნავ დაკვირვებებს მარსზე.

5 სამთო ობსერვატორია მოწყობილია ერთ კილომეტრის მეტ სიმაღლეზე. მათ რიცხვში შედის **ლიკის ობსერვატორია**, ჰამილტონის მთაზე, 1283 მეტრის სიმაღლეზე; ცნობილი **„მზის ობსერვატორია“** ვილსონის მთაზე, კალიფორნიაში (ჩრდილოეთ ამერიკა) 1731 მეტრის სიმაღლეზე, მისი ორიგინალური კოშკებით, ტელესკოპებით და უზარმაზარ ას დიუმიანი რეფლექტორით. კიდევ უფრო მაღლა, 1806 მეტრის სიმაღლეზეა მოწყობილი **იოგანსენბერგის ობსერვატორია** (აფრიკაში). 500 მეტრს ზევით არის მოწყობილი 10 ობსერვატორია. ამრიგად მთელ დედამიწაზე 21 სამთო ობსერვატორია არის.

შემდეგ, 18 ობსერვატორია მოწყობილია სამასი მეტრის სიმაღლეზე, 71—100 მეტრის, დაბლოს, 106 ობსერვატორია—100 მეტრზე დაბლა. მათ რიცხვში შედის **პულკოვის ობსერვატორია** (საბჭოთა კავშირში), მოწყობილი 75 მეტრის სიმაღლეზე, და უძველესი **გრინვიჩის ობსერვატორია** (ინგლისში), მოწყობილი 47 მეტრის სიმაღლეზე, გრინვიჩის ობსერვატორიამ წარსულ წელს გადაიხადა არსებობის 250 წლის თავი. კიდევ უფრო დაბლაა მოთავსებული **მადრასის ობსერვატორია** (ინდოეთში) —7 მეტრის სიმაღლეზე. საერთოდ ევროპის ობსერვატორიების უმრავლესობა დაბლობებშია მოწყობილი. ევროპის ობსერვატორიების ტელესკოპების სიმძლავრე მერყეობს 15-დან 40 დიუმამდი.

ჩანასახების სქესის გამოცვლა ქიმიური ზეგავლენით

ამ რამოდენიმე ხნის წინად დამტკიცებული იქნა, რომ შესაძლებელია თეთრი თაგვების თაობაში დედალი და მამალი თაგვების ნორმალური შეფარდების შეცვლა, მშობლებზე ალკოჰოლის საშუალებით ზეგავლენის მოხდენით. შემდგომი ცდების დროს გამოირკვა, რომ ჩანასახების სქესის ხელოვნურათ შეცვლა შეიძლება სხვა ნივთიერებათა (მაგ. კოფეინის) შეშხაპუნებით მშობლების კანს ქვეშ. განსაკუთრებით საინტერესოა აქ ის გარემოება, რომ კოფეინის შეშხაპუნებამ სქესის შეცვლაზე გავლენა მოახდინა მხოლოდ მაშინ, როცა იგი მამალ თაგვს შეუშხაპუნეს ტანში. მამალი თაგვებისათვის კოფეინის შეშხაპუნებით შემდეგ თაობაში მამალი თაგვების რიცხვი 10%-ით გადიდდა ნორმალურთან შედარებით. ეს შედეგები სავსებით ეთანხმება არსებულ შეხედულებას, რომ ჩანასახის სქესს განსაზღვრავს მამის სპერმატოზოიდი (და არა დედის კვერცხი). ის სპერმატოზოიდები, რომლებიც დედლებს ეძლევიან, უფრო მეტად მგრძნობიარე არიან კოფეინის მიმართ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომშობი სპერმატოზოიდები. კოფეინის ზეგავლენით მდედრობითი სქესის სპერმატოზოიდების რიცხვი კლებულობს და მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ნაკლები რიცხვი იბადება.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა სოფლის საბჭოს მოთხოვნა

კითხვა

მე ვარ გლეხი, ხნოვანებით 60 წლის. მყავს ორი შვილი. ერთი ქალი და ერთი ვაჟი. ორივენი ცხოვრობენ თბილისში. ვაჟიშვილი სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში და მასთან ერთად მსახურობს აფთიაქში პროვიზორის თანაშემწეობაზე. მე ჩემი მოხუცებული ცოლით ვცხოვრობ სოფელში ჩემ მიწაწყალზე, და 60 წ. მოხუცს, საკუთარი შრომით შემიძლიან მხოლოთ თავი გამოვიკვებო. შვილი არაფერს მიგზავნის, პირიქით მთხოვს გაგზავნას.

სოფელს ვაჰყავს გზა და გზაზე სამუშევრად მიწვევენ მე მოხუცებულს. გთხოვთ განმიმარტოთ, შეუძლია თუ არა სოფლის საბჭოს მომისაჯოს შრომის ბეგარის სახით გზა გასაკეთებელი—ან ჩემი ან შვილის სახელზე. შვილი რომელიც თბილისში ცხოვრობს ყოველივე სახელმწიფო ბეგარას იქვე იხდის.

ოზურგეთის მაზრის, სოფ. აცანის მცხოვრები გლეხი **ჯამლეთი ჩხაიძე.**

პასუხი

თქვენ, როგორც სამოც წლის მოხუცი, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 12-ისა, სრულიად თავისუფალი ხართ შრომის ბეგარისგან და სოფლის საბჭოს არა აქვს არავითარი უფლება დაარღვიოს შრომის კოდექსის პირადი ხასიათი, ამიტომ თქვენი შვილის მაგიერობა თქვენ არ მოგეთხოვებათ და არც ხართ ვალდებული იკისროთ.

მამის მოქმედება კანონიერია თუ არა

კითხვა

1919 წელს ჩემი მშობლები განქორწინდნენ და უძრავ-მოძრავი ქონებაც გაინაწილეს მათ ურთიერთშორის ჩვენთვის წილდაუდებლად. ჩვენ კი მცირეწლოვანი ბავშვები დავრჩით უყურადღებოთ მამისგან და ვცხოვრობთ დღემდე დედასთან. მამამ კი შეირთო მეორე ცოლი და სარგებლობს აღნიშნული ქონებით. დღეს როდესაც მოვსთხოვეთ ნაწილი უარით გვიპასუხა და ყიდის ყველა უძრავ-მოძრავ ქონებას და აწყობს გადასახლებას.

გთხოვთ გვიპასუხოთ გვაქვს თუ არა უფლება ჩვენი ნაწილი მოვსთხოვოთ მას, ან და რა გზით.

ოზურგეთის მაზრის ზომლეთის თემის მცხოვრები, **თამარა თავაძე.**

პასუხი

დეკრეტი № 28-ის მუხ. 123-ის თანახმად შვილებს არა აქვთ უფლება მშობლების ქონებაზე (მათი სიცოცხლის დროს) ისე, როგორც არც მშობლებს აქვთ უფლება შვილების ქონებაზე.

მიწის გაყიდვის უფლება არა აქვს, რადგან მიწა შეადგენს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საკუთრებას და ვინც მიწას გაყიდის, იგი მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით (იხ. მიწის კანონთა კოდექსი მუხ. 24).

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხვრობ შერმეტიევის ქუჩაზე სახლი № 29-ში; მიჭირავს ერთი ოთახი დაბალ სართულში, ოთახი შეიცავს 35 კვადრატიულ არშინს. ვცხოვრობ ცოლშვილით, სახლის პატრონს ვაძლევ 1 მანეთს თვეში და არ ღებულობს; მე ვარ მუშა და ვმსახურობ რკინისგზის მთავარ სახელოსნოში. ჯამაგირს ვღებულობ მე-5-თე ხარისხით 28 მანეთს. გთხოვთ განმიმარტოთ რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირად. ვარ კავშირის წევრი (წიგნაკის № 31019) თუ სახლის პატრონმა არ მიიღოს ფული სად შევიტანო?

მუშა **ლ. ჭოხონელიძე.**

პასუხი

თითეულ კვადრატიულ არშინზე ბინის ქირად გადაიხდით ერთნახევარ კაპეიკს.

თუ სახლის პატრონი აღნიშნულ ქირას არ მიიღებს, შეიტანეთ იგი თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახკომის დეპოზიტში.

მერგება თუ არა გამოუყენებელ შვებულების საკომპენსაციო ჯილდო

კითხვა

ვმსახურობდი ოზურგეთის მაზრაში სამკითხველოს გამგედ რვა თვე ნახევარი, ვარ დაზღვეული და პროფკავშირის წევრი 1923 წლიდან. შტატის შემცირების გამო განთავისუფლებული ვიქენი სამსახურიდან.

მერგება თუ არა შვებულების უსარგებლობისათვის კომპენსაცია, ან და უმუშევრობის დროს დახმარება, შემიძლია მივიღო თუ არა?

გ. ნინუა.

პასუხი

ანგარიშის გასწორების დროს, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ.—91-ისა, და ამ.-კავკ. შრომის სახკომატის 1924 წ. 25 ნოემბრის განმარტებისა (იხ. „შრომის კანონმდებლობის მოამბე“ № 14—1924 წლ.) გამოუყენებელ შვებულებისათვის თქვენ აუცილებლად უნდა მოგეცეთ საკომპენსაციო ჯილდო.

დახმარებას, როგორც უმუშევარი თქვენ მიიღებთ საერთო წესით თქვენივე კავშირის მეშვეობით.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ მახათის შესახვევში: (მე-7 უბ.) სახ. № 13-ში ვმსახურობ მუშკოოპში: ჯამაგირს ვღებულობ მე 10-თე ხარისხით 63 მანეთს.

რამდენი უნდა ვიხადო თვიურ ქირად—თვითეულ კვადრატ. არშინზე. ვირიცხები გემოკვების კავშირის წევრად.

ვარდენ კირვალიძე.

პასუხი

ბინის ქირად თითეულ კვად. არშინზე იხდით ხუთ კაპეიკ ნახევარს. (5,5 კაპ.).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 5 ივნისს, მილიციის კულტკუთხის ბინაზე (ველიამინოვის ქ., 7), საღამოს 5 საათზე, შესდგება ქალაქის რაიკომის უჯრედების სააგიტაციო-საპროპაგანდო კომისიების და საგ.-საპროპაგანდო ორგანიზატორების თათბირი ნებაყოფლობითი საზოგადოებათა რაისაბჭოების ფრაქციებთან ერთად.

კვირას, 6 ივნისს, დილის სრულ 9 ნახ. საათზე, მესამე რაიკომის შენობაში შესდგება მესამე რაიონის **შემოკლებულ, ნორმალურ პოლიტცოდნის სკოლათა და საღამოს საბჭ. პარტსკოლების მსმენელთა და ხელმძღვანელთა კონფერენცია.**

დღის წესრიგშია:

1. პარტმუშაობის ანგარიში 1925—26 სამოსწავლო წელში. 2. პოლიტსკოლელთა საზაფხულო მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ აგრეთვე კომუჯრედების ყველა აგიტპროპორგანიზატორები და სკოლების რწმუნებულები.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ საარიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში: რაზმაძე ალექსანდრე, სირაძე სერაპიონ, კურბატოვი ალექსანდრე, სიტაშვილი ველიკო მიხეილისძე.

დღეს, შაბათს, საღამოს 5 საათზე რემედასის ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე—კომინტერნის ქ. № 5 (მეორე სართ.) შესდგება საქ. რემედასის ც. კ. და ტ. კ.-ს მორიგი **სხდომა.** დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებისათვის სავალდებულოა: 1. მ. ჩოდრიშვილი, 2. ა. ჯიჯაძე, 3. გრ. მუშიშვილი, 4. არჩ. რუხაძე, 5. ბელიაევი, 6 ათაბეგოვი, 7. ჯაიანი, 8. გენელიძე, 9. ასირბეკოვი, 10. გუდავაძე, 11. ნაცვლიშვილი, 12. მუმლაძე, 13. არაზაშვილი, 14. ჭელიძე, 15. ნუცუბიძე, 16. ალიხანოვი, 17. ხახანოვი და 18. კიზირია.

განუზომელი მწუხარებით აღსავსე, სიცოცხლით დატანჯული მეუღლე ოლღა, შვილებით: საშა, სერიოჟა და ირაკლი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათვის უძვირფასესი, და უსაყვარლესი

გიორგის ქაიხოსროსძის
ჯაფარიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება მოხდება კვირას, 6 ივნისს, საკუთარ ბინიდან გრაფის ქ. № 5 დილის 11 საათზე. დაკრძალვა კუკიის (წმინდა ნინოს) სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. ქვ. 2709

გულდათუთქული შვილები: საშა, სერიოჟა, ირაკლი, რძალი მადლენა და შვილისშვილი—გალოჩკა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, მათთვის მუდამ დაუვიწყარი მამის

გიორგის ქაიხოსროსძის
ჯაფარიძის

უდროოდ დაკარგვას, გამოსვენება მოხდება კვირას, 6 ივნისს, საკუთარ ბინიდან გრაფის ქ. № 5, დილის 11 საათზე; დაკრძალვა კუკიის (წმინდა ნინოს) სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე ქვ. 2709

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება საქმეთა მმართველის

გიორგი ქაიხოსროს ძე ჯაფარიძის

ტრაღიკულ გარდაცვალების შესახებ ა. წ. 3 ივნისს. დაკრძალვა მოხდება კვირას ა. წ. 6 ივნისს დილის 11 საათზე საკუთარ ბინიდან (გრაფის ქ. № 5) სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე ნ. 1387

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის და თბილისის ფინინსპექციის ადგილკომი მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგ-თანამშრომელთ, ნაცნობთ და მეგობრებს ამა კომისარიატის საქმეთა მმართველის საყვარელ ამხანაგის და დაუღალავ მუშაკის

გიორგი ქაიხოსროს ძე ჯაფარიძის

ტრაღიკულ გარდაცვალებას ა. წ. 3 ივნისს, დაკრძალვა მოხდება კვირას ა. წ. 6 ივნისს დილის 11 საათზე საკუთარ ბინიდან (გრაფის ქ. № 5). სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღ. 6 ს. ნ. 1387

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველობის გულ-დათუთქული თანამშრომელნი მწუხარებით აცხადებენ, რომ ხუთშაბათს, 3 ივნისს, დილის 8 საათზე, ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი უფროსი და მეგობარი

გიორგი ქაიხოსროს ძე ჯაფარიძე

დაკრძალვა მოხდება კვირას ა. წ. 6 ივნისს დილის 11 საათზე კუკიის სასაფლაოზე საკუთარ ბინიდან (გრაფის ქ. № 5) სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე. ნ. 1387

გულდამწვარნი კირილე და ოლღა ჭყონიები თავის შვილებით, პარმენ და ლიუსია ჯაფარიძეები თავის შვილებით დიდის მწუხარებით აცნობებენ თავიანთ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი

გიორგი ქაიხოსროს ძე ჯაფარიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება სახლიდან კვირას, დილის 11 ს. (გრაფის ქ. № 5). ღ.

თბილისის საბინაო საამშენებლო კოოპერატიური ამხანაგობის „ვაკე“ ს გამგეობა აცნობებს მეგობრებს და ამხანაგობის წევრებს, რომ 3 ივნისს ტრაღიკულად გარდაიცვალა გამგეობის წევრი, დაუღალავი მუშაკი, საქართველოს ფინსახკომის საქმეთა მმართველი

გიორგი ქაიხოსროს ძე
ჯაფარიძე

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია კვირას 6 ივნის

2711 **გამგეობა**

გლეხის ცენტრალური სახლი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამა წლის 3 ივნისს ტრაღიკულად გარდაიცვალა იმავე სახლის საბჭოს წევრი

გიორგი ქაიხოსროს ძე
ჯაფარიძე

ქ. 2704

ნიო (ასიკო) კანდელაკი-სირაძისა აუწყებს ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი

გიორგი ჯაფარიძის

ტრაღიკულად დაღუპვას ნ. 1385

ვალოდია ოჯახითურთ და ბიქტორ მეგრელაძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 6 ივნისს, გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო, სოფელ ზომლეთში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის უსაყვარლესი დისწულის

ლიუბა ქრისტიფორეს ასულის
ცინცაბაძის

მოსაგონებლად. ღ. ნ.

ღრმად დამწუხრებული ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე და იოსებ ალექსანდრეს ძე ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 6 ივნისს, კვირას, დღის 2 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში იქნება გადახდილი პანაშვიდი ძვირფასი დედის

ანასტასია ალექსანდრეს ასული
გარათაშვილისა

გარდაცვალებიდან 7 დღის აღსანიშნავად. ღ. 2—1

თბილისის მე-8 შრომის სკოლის მე-4 ჯგუფის მოწაფეები და მათი მასწავლებლები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ საუკეთესო და საყვარელ მოწაფის.

თამარი (თამრიკო) გვრიტიშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ივნისის 5-ს ნაშუადღევის 4 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე 19 თებერვლის ქ. № 70 ქვ. 2708

დამწუხრებული მეუღლე აგრაფინა სპირდონის ასული ენუქიძისა, მამა გრიგოლ ალექსის ძე, ძმა გიორგი და ევგენია გომურაშვილი და სიდედრი მარიამ ენუქიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 ივნისს დღის 1 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

საშა გომურაშვილის

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო ღ. ნ.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ანიჩკა ირაკლის ასული, შვილები: თინა და ნუნა, მშობლები: პელაგო და თეიმურაზ, ძმები: გრიგოლ, ვლადიმერ და ბიქტორ თეიმურაზის ძენი, და ლასიონი, რძლები: ბრონია და რაისა, ძმისწულები: ბორისი, თამარ და რიტა კეჭაღმაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1 ივნისს ღამის პირველ საათზე გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მათი საყვარელი და დაუვიწყარი

მიხეილ (მიშა) თეიმურაზის ძე
კეჭაღმაძე

გამოსვენება ბინიდან, ნიკოლოზის ქ. № 95, შაბათს ნაშუადღევის 5 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე ქვ. 2700

ღრმად დამწუხრებული მამა თომა ვასილის ძე სურმავა, დები—ნადია და მარგო, ძმები—ვლადიმერი და ალექსანდრე, დეიდები—დარიკო, თამარი და ეკატერინე—მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ 2 ივნისს დილის 4 საათზე გარდაიცვალა მათი საყვარელი

კონსტანტინე (კოტე) სურმავა

ცხედარი ასვენია ქაშვეთის ეკლესიაში. პანაშვიდი ყოველდღე საღ. 6 საათზე. გაასვენებენ კვირას, 6 ივნისს 12 საათზე კოჯორში.

2703 2—2

საქართველოს წყალთა მეურნეობის და სამგორის არხის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული ადგილკომი მწუხარებით აცნობებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ჩვენი თანამშრომელი, ახალგაზრდა ენერგიული მუშაკი ტეხნიკოსი

კონსტანტინე სურმავა

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება კვირას 6 ივნის დღის 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიიდან კოჯორში. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. ქვ. 2706

თავზარდაცემული მშობლები ბარბარე ივანეს ასული და ვასილ ილარიონის ძე გვრიტიშვილი შვილებით ოლიათი და ილარიონით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათი უსაყვარლესი შვილის

თამარის (თამრიკოსი)

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, ბინაზე, 19 თებერვლის ქუჩა № 70. დაკრძალვა შაბათს 4 საათზე- წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 2690 3—3

აპოლლო
არფასტრო
სოლეი

ახალი სურათი
„მიხაელ“
მხატვრული დრამა 7 ნაწილად
ანონსი: ამ დღეებში გაიხსნება საზაფხულო კინო „აპოლლო“ ბაღ „არტო“-ში (სასტუმრო „ნოეს“ ახლო).
იჩქარეთ ნახვა, მალე შეწყდება ჩვენება
„მოწყენილი ქუჩა“
ასტა ნილსენის მონაწილეობით
პირველად თბილისში მსოფლიო კომიკები
პატი და პატაშონი სურათში
„ყველაფერს ვხედავთ“ ყველაფერი ვიცით
აპოლოში, არფასტოში და სოლეიში პროგრამის გარეშე:
ა.-კავ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა
0—21. ნ. 1265

1926 წ. 20 ივნისს, ხელოვანთა სასახლეში მაჩაბლის ქ. № 13. შესდგება

ბეჭდვითი საქმის საპაიო ამხანაგობა
„ქართული წიგნი“-ს
საზოგადო კრება

დღის წესრიგი:

1) გამგეობის მოხსენება საგამომცემლო მუშაობის შესახებ საანგარიშო წლის განმავლობაში. მომავალ მუშაობის გეგმასთან დაკავშირებით.
2) გამგეობის საფინანსო ანგარიში, სამოქმედო წლის განმავლობაში.
3) სარევიზიო კომისის მოხსენება.
4) გამგეობის მოხსენება მე-7 პარაგრაფის შესახებ, ძირითადი თანხის შესამცირებლად.
5) მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
6) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა.
7) მიმდინარე საკითხები.

ნ. 1386. **„ქართული წიგნი“-ს გამგეობა.**

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ, საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა, № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის სავადმყოფო. 25—12

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
ტფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6 საათ. კამოს ქუჩა, № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა). 25—7

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. „დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს, დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 32. 25—

გამოვიდა და დაურიგდა
მაღაზიებს გასასყიდათ
ახალი იუმორისტული მოთხრობა
თაგუნა
„თამარ ცბიერი“
ფასი 30 კაპ. ნ. 1381

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლად. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 19 ივნისს 1926 წელსა დილის 10 საათზე ადგილობრივ, ქ. ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩის მე-2 შესახვევში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება გიორგი სილოვანის ძე სანებლიძის უფლება ნახ. ნაწილზე ქვიტკირის ორსართულიანი სახლისა, რომელიც შესდგება ათი საცხოვრებელი ოთახისაგან, ორი საკუჩნაო ოთახისაგან, აივნებისაგან, შუშაბანდებისაგან და სამზარეულოსაგან; დახურული კრამიტით მეორენახევარი ნაწილის უფლება ეკუთვნის სიმონ სილოვანის ძე სანებლიძეს, აგებულები საეზოვე ნაკვეთ ადგილზე, მდებარე ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩის მე-2 შესახვევში, ზომით მიწა მთლად ასი კვად. საჟენი, შეფასებული 1320 მანეთ., ლიუდმილა ასლანის ასულის სანებლიძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ყველა იმ პირმა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს, ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1382

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ს. გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 8 ივნისს 1926 წ. დილის 10 საათზე პლეხანოვის ქუჩა № 122, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ტრიფონ გადელიას მოძრავ ქონებას, რომელიც შესდგება: საბინაო მოწყობილობიდან და კინემატოგრაფის სარტყელების დასამზადებელ საგნებისაგან, შეფასებულს 486 მან. გაზეთ „მუშა“-ს რედაქციის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 17 და 21 მაისის 1926 წ. №№ 1490 და 1537 გაცემულის სასამართლო ბრძანებებისა. ნ.1384

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ ა. წ. 8 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე არცრუნის ქ. № 24 გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ორ სართულიანი სახლის ნახევარი, რომელიც ეკუთვნის გარდაცვალებულ ანა შამშეს ასულ წერეთელს და მდებარეობს ქ. თბილისში, არცრუნის ქ. № 24, მთელ სახლში იმყოფება 18 ოთახი, 5 კუხნა და 1 სამრეცხველო. ეს სახლის ნახევარი შეფასებულია 1500 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია ანა სიმონის ასულის წერეთლის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად საერთო ჯამით 2740 მან.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები; გარდა ამისა უნდა ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც., ე. ი. 150 მან. 2705

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. ივნისს 10, დღის 2 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ალფეს ფარჯანაძეს და იმყოფება მე-4 მილიციის უბ. სომხის ბაზარი № 1 და შესდგება პიანინოსაგან, სამზარეულოს ჭურჭლეულობიდან, მაგიდებიდან, ვენური სკამებიდან და სხვა სასადილოს მოწყობილობიდან; შეფასებულია 360 მან. 50 კაპ. რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

ქონება აწერილია სახალხო კვების კავშირის და სხვ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 20 იანვრის 1926 წ. თარიღით № 132 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა და იყიდება კულვეცის პრეტენზიით. საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო-ნაჩვენებ მისამართზე სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღეს. 2715

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს. მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18, შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-5ნახ.—9-5ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82. 25—1 ქვ. 2356

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე. პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—7

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა) ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ., საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი, № 15.

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 2537 25—1

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 2215 3—1

ექიმი ბ. მ. უხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 22—

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოების ყველა განყოფილებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის. 25—6

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა საქონლის და ინვენტარის გაყიდვაზე დანიშნულია ა. წ. 6 ივნისისათვის დილის 9 საათზე **მუშკოოპის** ბინაზე, ყორესის ქ. № 7, შესასვლელი კამოს ქ. მუშათა კოოპერატივის გამგეობა. ნ. 1308

დაკარგე საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის წიგნაკი № 13612, არჩილ გიორგის ძე მესხიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2710

დაკარგე საარიცხვო ბარათი № 769, ბაღშო მატინიანცის სახელზე, ჩ. გ. 2712

დაკარგე პირადობის მოწმობა № 104, რეგისტრაციის ფურცელი ფორმა 4, № 53, მიხეილ ოსეფაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2707

დაკარგე მოწმობა № 482, ალექსანდრე გიორგის ძე ბერაძის სახელზე, ჩ. გ. 2718

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 10233, ალექსი რევაზიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2716

დაკარგე პასპორტი, ვასილ გიორგის ძე სურმავას სახელზე, ჩ. გ. 2717

დაკარგე სამთამადნო კავშირის წიგნაკი გერვასი დომენტის ძე ხარშილაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1383

დაკარგე სამთამადნო კავშირის წიგნაკი № 5006, ალექსანდრე ტოგონიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1383

დაკარგე სამთამადნო კავშირის წიგნაკი № 5031, სოსო გოგოლიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1383

დაკარგე სამთამადნო კავშირის წიგნაკი № 6124, სერგო მურმანის ძე ჭოტაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1383

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68